http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან



თსუ-ში არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 110 წლის იუბილე აღინიშნა

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

31 მარტი, ორშაბათი, 2008 წ. №4 (2071) ფასი 30 თეთრი

სწორად განსჯის ის, ვინც განსჯის თავისუფლად!

თსუ-ში საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

საბერძნეთი თითქმის ორი საუკუნეა ეროვნულ დღესასწაულს 25 მარტს აღნიშნავს. ამ დღეს ბერძნებმა საერთო ელინური აჯანყება წამოიწყეს, მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად ოსმალური უღელი მოიშორეს და ევროპას საბოლოოდ დაუკავშირდნენ.

მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიცია 21 მარტს საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით გაგრძელდა.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც ბერძენ ხალხს ეროვნული დღესასწაული მიულოცა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ეს ერთგვარი მოკრძალებული მცდელობაა იმისა, რომ ხაზი გაესვას — რამდენად მნიშვნელოვანია ქართული კულტურისთვის ბერძნულ კულტურასთან დაკავშირებული ნებისმიერი ასპექტი.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საბერძნეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთობის დიდი ტრადიციები გააჩნია. საბერძნეთი, ბერძნული კულტურა, ქართველებისთვის ათასწლეულების წინ იყო ცნობილი, თუმცა ასეთი კავშირებიც კი მუდმივ განახლებას საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ელინისტიკამ უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მოიპოვა ადგილი ჩვენს სამეცნიერო და სასწავლო პროგრამებში, რისი შედეგიცაა ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელინისტიკის ცენტრი დღეს რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთი წარმატებულია. თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს აღიარებენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის მაგალითი გახლავთ ცოტა ხნის წინ გამართული დიდი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე — „არგონავტიკა და მსოფლიო კულტურა“, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მე-3 გვერდზე

„ილაპარაკეთ ქართულად და გააგებინეთ მათაც, ვისაც არ ესმის“

ქართული ჟურნალისტიკის დღე თსუ-ში

ქართული ჟურნალისტიკის დღის, ქართული ჟურნალისტიკის საუკუნოვანი ისტორიისა და მისი მნიშვნელობის სიმბოლურად აღნიშვნის ადგილად, უკვე მეორე წელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა. 21 მარტის პროფესიულ დღედ გამოცხადებას, შესაძლოა, თავის დროზე სხვადასხვა მოტივი და არგუმენტები დაედო საფუძვლად, მაგრამ თსუ-ში მისი განსაკუთრებულად ცნობის ინიციატივა ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორ დალი ჩიკვილაძეს ეკუთვნის, რომელიც ჟურნალისტიკის ისტორიის ათვლის სათავედ პირველი ქართული გაზეთის „ტფილისის უწყებანის“ გამოსვლის თარიღს — 1819 წლის 21 მარტს (ძველი სტილით 8 მარტს) მიიჩნევს.

ხათუნა ხატიაშვილი

„ცხოვრებაში ყველაფერი იწყება და შემდეგ გრძელდება. დასაწყისი ძირითადად რთულია და დღეს პრესის, ტელევიზიისა და ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა საშუალებების მფლობელი — 21-ე საუკუნის ჟურნალისტები სწორედ იმ პირველ გაზეთს უნდა ვუმადლოდეთ“, — ასე მიმართა დალი ჩიკვილაძემ კურსდამთავრებულებს და მომავალ პროფესიონალებს.

ქართული ჟურნალისტიკის დღე უნივერსიტეტში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა, სადაც თავი ამ დარგის ყველა თაობის წარმომადგენელმა მოიყარა. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ადამიანები მოკრძალებული ემოციებით შეეცადნენ საკუთარი მოსაზრებებისა და საინტერესო დეტალების გახსენებას.

რა თქმა უნდა, ამ სფეროში შემდგომი პროფესიული საქმიანობისთვის უნივერსიტეტის როლი და მნიშვნელობა დიდია, მაგრამ არსებობს ასპექტები, სადაც პროფესიული ხარისხი ხშირად კრიტიკას, დამოკიდებულებების გადახედვას, რაღაცის დახვეწას, ან სულაც შეცვლას მოითხოვს. როგორც მომავალი ჟურნალისტებისა და საზეიმო ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოსულმა უფროსი თაობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თანამედროვე მედიის „სუსტი წერტილი“ თავად ის ქართული ენა და სიტყვაა, რომლითაც ჟურნალისტი თავის უმთავრეს და ურთულეს ფუნქციას ასრულებს.

„მტკიცება არ სჭირდება, რამდენად რთულია თავისუფალი სიტყვის გამოხატვა. საზოგადოების მედიატორის თითოეულ სიტყვაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და უსამართლობა იქნება იმ გამოცდილებისა და დამსახურების უარყოფა, რომელიც ამ პროფესიის ბევრ წარმომადგენელს მიუძღვის ქვეყნისა და თანამედროვე საზოგადოების წინაშე“, — ასე მიმართა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწე, ყველაზე ძველი თაობის იმ კარგად ნაცნობ სახეებს, რომელთა შორის ბევრმა პროფესიული გამოცდილება საუნივერსიტეტო განათლების გარეშე მოიპოვა და, გარკვეულწილად, ჟურნალისტური კულტურის ჩამოყალიბებაშიც სერიოზული როლი ითამაშა.

მე-3 გვერდზე

როდის დასრულდება უძრაობის პერიოდი მეცნიერთათვის?
მე-4 გვერდზე

გამოდის, რომ მოსახლეობის პოლიტიკური შეგნება და კულტურა უფრო მაღალია, ვიდრე ოპოზიციის
მე-5-6 გვ.

რატომ მოითხოვს რუსეთი აფხაზეთისთვის ეკონომიკური ემბარგოს გაუქმებას
მე-6 გვერდზე

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებას შორის „ჩატეხილი ხიდი“ უნდა აღდგეს
მე-7 გვერდზე

„ადამიანი ენობრივი არსებაა და იგი მისი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს“
მე-9 გვერდზე

რას მოუტანს დედამიწას კლიმატის გლობალური დათბობა და ბუნებრივი კატასტროფები
მე-12 გვერდზე

პოეტები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ იბადებიან საქართველოში
მე-14 გვერდზე

ბრძანებები

№13/01-01 05.03.2008

2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების განმეორებით მოსმენის პროცესის მოწესრიგების მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინის მოსმენა და შესაბამისი კრედიტის მინიჭება 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით მოისმინოს ცალკეული დისციპლინები სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობის დაცვით.

2. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება მიეცეს თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არაუმეტეს, ოთხი სემესტრის მანძილზე. დამატებით სემესტრში სწავლის საფასური განისაზღვროს დეკანატის წარდგინების საფუძველზე, ჩასაბარებელი საგნების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად. სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის სრულად განმეორებისას საფასური განისაზღვროს მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით. ცალკეული დისციპლინის განმეორებით შესწავლისას საფასური განისაზღვროს საგნისათვის მინიჭებული სრული კრედიტული მოცულობის შესაბამისად, ბაკალავრიატში ყოველ კრედიტზე 25 ლარის, ხოლო მაგისტრატურაში 35 ლარის ოდენობით.

3. თსუ-ს ან პარტნიორი კვლევითი ინსტიტუტების ყოფილ ასპირანტებსა და მაძიებლებთან, რომელთაც შესასრულებელი აქვთ სასწავლო ან კვლევითი კომპონენტის გარკვეული ნაწილი, თსუ-ის დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ორი თვის ვადაში დაიდოს ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება შესასრულებელი მოთხოვნებისა და გადასახადის ოდენობა. გადასახადი გამოითვალოს შესასრულებელი კრედიტების შესაბამისად, ერთ კრედიტზე 35 ლარის ოდენობით.

4. უნივერსიტეტის ფაკულტეტებს მიეცეთ უფლება ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდის ფარგლებში დააფინანსონ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა სწავლა ნაწილობრივ ან სრულად ფაკულტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.

5. სტუდენტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლიდან არაუმეტეს 4 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი კარგავს თანხის დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში მისი გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

6. სტუდენტის მიერ თსუ-ში დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სასწავლო პროცესში მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას, მოითხოვოს დამატებით ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება.

7. ბრძანების შესრულება უზრუნველყოს უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტმა.

8. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი", უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და მოხდეს მისი ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი
გ. ხუბუა

№44/02-01 21.03.2008

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლის საფასურის ოდენობის დადგენის შესახებ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დოქტორანტურაში სწავლის სემესტრული გადასახადი განისაზღვროს 1000 ლარის ოდენობით.

2. დოქტორანტთა სწავლის გადასახადიდან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლება განხორციელდეს თსუ-ის რექტორის 05.03. 2008წ. №13/01-01 ბრძანების მე-4 პუნქტით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ.ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისთვის.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი" და განთავსდეს თსუ ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
გ. გალდავა

№16/01-01 24.03.2008

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სასწავლო პროცესის მოწესრიგების მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დოქტორანტის მიერ დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესში მონაწილეობა და შესაბამისი კრედიტების მოპოვება განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

ა. დოქტორანტურის პროგრამით დადგენილი სასწავლო (60 კრედიტი) და კვლევითი (120 კრედიტი) კომპონენტებისათვის დადგენილი კრედიტების მოპოვება ხორციელდება სემესტრული 30 კრედიტის მოცულობით დოქტორანტურაში სწავლებისათვის დადგენილი 6 სემესტრის განმავლობაში.

ბ. დოქტორანტს, რომელიც დოქტორანტურის პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (6 სემესტრში) ვერ მოიპოვა შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს სასწავლო პროგრა მომდევნო, არაუმეტეს, ოთხი სემესტრის მანძილზე.

გ. დოქტორანტის მიერ სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლების მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა.

დ. დოქტორანტს, რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, უჩერდება დოქტორანტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას.

ე. დოქტორანტი, რომელსაც 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით არა აქვს გავლილი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

ვ. დოქტორანტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი, კარგავს დროის ამ მონაკვეთში შესრულებული სამუშაოსათვის კრედიტების მინიჭების მოთხოვნის უფლებას. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ სამუშაოზე, რომელსაც დოქტორანტი ასრულებს ფაკულტეტთან (სამეცნიერო ხელმძღვანელთან) შეთანხმებით უცხოეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში.

2. ბრძანების შესრულება უზრუნველყოს თსუ სასწავლო დეპარტამენტმა.

3. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი", უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და მოხდეს მისი ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

რექტორი, პროფესორი
გ. ხუბუა

საუნივერსიტეტო რეფორმის ხვალინდელი დღე

თინათინ მარგალიტაძე, სასწავლო დეპარტამენტის უფროსი:

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეფორმირების რთული გზა განვლო. სტრუქტურული ცვლილების შედეგად არსებული 22 ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ექვსი ფაკულტეტი, რასაც, ბუნებრივია, სასწავლო პროცესის, სასწავლო პროგრამებისა და გეგმების მნიშვნელოვანწილად კორექტირება მოჰყვა; უნივერსიტეტი კარგა ხანია სრულად გადავიდა (გარდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა) ორსაფეხურიან განათლებაზე – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა; 2007 წლის შემოდგომაზე კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – დროებით შეჩერებული ასპირანტურის ბაზაზე დაფუძნდა სწავლების მესამე, უმაღლესი საფეხური – დოქტორანტურა. პარალელურად უნივერსიტეტში დაინერგა რეფორმის თანმდევი არაერთი სიახლე: კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების სრულიად ახალი წესი, სტუდენტთა მობილობა და სხვა.

ცხადია, ასეთ ფართო, ხშირ შემთხვევაში, რადიკალურ ცვლილებებს ხარვეზებიც ახლდა.

ვფიქრობთ, დადგა დრო, როდესაც უნივერსიტეტში მოღვაწე სპეციალისტები უნდა შეჯერდნენ და რეფორმების ფონზე კრიტიკულად შეაფასონ დარგების დღევანდელი მდგომარეობა და საგანმანათლებლო პროგრამები.

სულ ახლახანს, სწორედ ამ მიზნით, ამოქმედდა შიდასაუნივერსიტეტო პროექტი „სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია". თითოეულ დარგში შეიქმნა დარგობრივი კომისია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დარგების განვითარების კონცეფციების შემუშავება და მათ საფუძველზე მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია.

დარგების დღევანდელი მდგომარეობის კრიტიკული გადახედვა გულისხმობს უაღრესად კონკურენტული დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას, რომლებიც, ზოგადად, უმაღლეს განათლებას და, კონკრეტულად, ყოველ ცალკეულ დარგს წაეყენება, თუმცა საუნივერსიტეტო განათლებას მხოლოდ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს ვერ მოვარგებთ. უნივერსიტეტში ყოველ დარგს თავისი უნიკალური ისტორია და ტრადიცია აქვს. შესაძლოა, ზოგიერთ მათგანზე დღეს არ არის დიდი მოთხოვნა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათ გადარჩენაზე. უნივერსიტეტმა შიდა რესურსების ხარჯზე უნდა აღზარდოს მეცნიერები, რომლებიც მის წიაღში ამა თუ იმ დარგის ისტორიას გააგრძელებენ.

დარგების განვითარების კონცეფციებზე მუშაობა ბოლონიის პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. ამ თვალსაზრისით, დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, დგება დარგობრივი ცოდნის, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მკვეთრად გამიჯვნა თითოეული დარგისათვის სწავლების სამივე საფეხურზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ბაკალავრიატის შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის". მიუხედავად იმისა, რომ ბაკალავრიატი მხოლოდ პირველი, სწავლების სამსაფეხურიან სისტემაში ზოგად განათლებაზე ორიენტირებული ეტაპია, სავალდებულო 240 კრედიტის ფარგლებში — საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო, ძირითადი და დამატებითი სპეციალობების, თავისუფალი კრედიტების გონივრულად დაგეგმვის პირობებში, სწავლების ამ საფეხურზეცაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდა. დარგობრივმა კომისიებმა ძირითადი სპეციალობის კურიკულუმის გარდა, დამატებითი სპეციალობის – მაინორის საკითხებსაც უნდა დაუთმონ მნიშვნელოვანი ყურადღება. დასახვეწია ტუტორების ინსტიტუტის მუშაობის მეთოდები, ვინაიდან სწორედ ამ რგოლის კომპეტენციასა და გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული სტუდენტების გააზრებული და სწორად ორიენტირებული არჩევანი.

საუნივერსიტეტო განათლების შემდეგი საფეხურის — მაგისტრატურის მიმართ მიდგომა განსხვავებული და გაზრდილია. ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტი პროგრამული მრავალფეროვნება და ინტეგრირებულობაა — ერთ ან ორ საბაკალავრო პროგრამაზე გაცილებით მეტი სამაგისტრო პროგრამის დაშენებაა საჭირო, ვიდრე ეს დღეს არის. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების პროპაგანდასა და ფართოდ დანერგვას უნივერსიტეტში, ვინაიდან სწორედ მათზეა დამსაქმებელთა მოთხოვნა და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ახალგაზრდებისთვისაც ამგვარი პროგრამები ბევრად უფრო მიმზიდველი და პერსპექტიულია.

რაც შეეხება დოქტორანტურას, იგი ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს, ჩამოყალიბების პროცესშია. კონცეპტუალური საკითხების სწორად გააზრება, თანამედროვე მიდგომების პროპაგანდა და დანერგვაა საჭირო დოქტორანტურის როგორც სასწავლო და კვლევით კომპონენტებთან, ასევე დაფინანსებასთან მიმართებაში.

სამუშაო სერიოზული და რთულია, პრობლემები — ოპერატიულად გადასაჭრელი. დაწყებული საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა, კონკურენტული გარემო დაყოვნების უფლებას არ გვაძლევს, საქმე ჩვენი გასაკეთებელია. გონივრულობა, მიზანსწრაფვა და პროფესიონალიზმი გვმართებს! მხოლოდ ამ გზით შეიძლება არსებული ტრადიციისა და მოწინავე პოზიციების შენარჩუნება.

სწორად განსჯის ის, ვინც განსჯის თავისუფლად!

თსუ-ში საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

პირველი გვერდიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს საბერძნეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობს. ამჟამად ათენის უნივერსიტეტთან ერთად რამდენიმე საინტერესო პროგრამა ხორციელდება. მათ შორის ერთერთია „ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში“. თსუ-ში ასევე მოქმედებს სხვადასხვა სასწავლო პროგრამა ბიზანტინისტიკაში.

თანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა პირეუსის უნივერსიტეტი, რომელთანაც, საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უნივერსიტეტი მეწარმეობის სასწავლო კურსს ნერგავს. აღსანიშნავია, ასევე, მემორანდუმი ტრინიტის ტურიზმის საერთაშორისო სკოლასთან. ასეთი პროგრამები საშუალებას გვაძლევს, კიდევ უფრო განვავითაროთ სამეცნიერო კვლევები ელინოლოგიის სფეროში, რომელიც სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებსა და თარგმანებში ჰპოვებს გამოხატულებას. ეს პროგრამები საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს და თანამშრომლებს, კვალიფიკაცია აიმაღლონ საბერძნეთის საუნივერსიტეტო ცენტრებში“, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა.

საბერძნეთის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საქართველოში გეორგიოს ხაძიმიხელაკისმა მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საბერძნეთის ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნისთვის და განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია საქართველოში ყოფნა და იმ ადამიანების ნახვა, ვისაც საბერძნეთზე გული შესტკივა.

„არ ვითხოვთ არც მეტს, არც ნაკლებს — ვითხოვთ უფლებას, ვიცოცხლოთ და ვიაზროვნოთ თავისუფლად, ბერძნულად. მადლიერნი ვართ თქვენი ღვაწლისთვის, რომ სტუდენტებს თავისუფლებას ასწავლით. სწორად განსჯის ის, ვინც განსჯის თავისუფლად!“, — განაცხადა მან.

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობის ისტორია, რომელიც ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს და 35 საუკუნეა გრძელდება. მან აღნიშნა, რომ ქართველთა იდენტიფიკაციის ისეთი საკვანძო ცნებები, როგორიცაა „კოლხიდა“, „იბერია“, „აიეტი“, „მედეა“, „კირკე“, „პრომეთე“, „კავკასია“ და მრავალი სხვა, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილ სიმბოლოებად სწორედ ბერძნულმა ტრადიციამ აქცია. ბერძნული წყაროების დიდი დამსახურებაა ისიც, რომ საქართველოს ანტიკური ხანის ისტორიის შესახებ საკმაოდ კარგად ვართ ინფორმირებული. „დარწმუნებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან ბერძნების ისტორიული პარტნიორები იყვნენ და ქართული კულტურა ადრეულ შუა საუკუნეებშიც ევროპაზე იყო ორიენტირებული“, — აღნიშნა მან თავის გამოსვლაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ კახა ჩიტაიამ საქართველო-საბერძნეთს შორის თანამედროვე ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

„ჩვენი კავშირი მოიცავს ქვეყნებს შორის ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა სფეროს. მათ შორის აღსანიშნავია, რომ საბერძნეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის გაწევრიანებას ევროატლანტიკურ სივრცეში. გარდა ამისა, სიმბოლურია, რომ ის არის ერთერთი უმთავრესი პარტნიორი სამხედრო სფეროში — საბერძნეთის მიერ გადმოცემული ხომალდი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანია.

თავის მხრივ, საქართველო ყოველთვის უჭერდა მხარს საბერძნეთის გავლენის გაზრდას შავი ზღვის რეგიონში.

იმ პროექტებიდან, რომელიც საქართველოსა და საბერძნეთის მთავრობებს შორის ხორციელდება, გამოვყოფ პროექტს, რომელიც ზაფხულში განხორციელდება. ამ დროისთვის დაგეგმილია ლეგენდარული „არგოს“ ისტორიული მარშრუტის განმეორება, რასაც დიდი სიხარულით ველოდებით“, - განაცხადა კახა ჩიტაიამ.

საბერძნეთს ეროვნული დღესასწაული მიულოცა თსუ-ის სტუდენტმა ეკატერინე ქართველიშვილმა, რომელიც ათენის უნივერსიტეტში ორთვიანი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ლევან ტრაპაიძემ, ანა ხუფერაშვილმა, სალომე მეტრეველმა და ლალი ჭოღოშვილმა წარმოადგინეს თანამედროვე ბერძენი პოეტების — იანნის რიცოსის, კონსტანტინოს კავაფისის და ოდისეას ელიტისის ლექსები, რომლებიც ქართულად თარგმნეს თსუ-ის სტუდენტებმა გიორგი წულაძემ, ანდრო ბარნოვმა და ხათუნა მონიავამ.

საზეიმო სხდომის დასასრულს, საბერძნეთის შესახებ დოკუმენტური ფილმი აჩვენეს. ამავე ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტში მოეწყო კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნების და ფოტოხელოვან გურამ წიბახაშვილის ნამუშევრების — „თესალონიკი ქართველი ხელოვანის ობიექტივში“ გამოფენა.

„ილაპარაკეთ ქართულად და გააგებინეთ მათაც, ვისაც არ ესმის“

ქართული ჟურნალისტიკის დღე თსუ-ში

პირველი გვერდიდან

იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ყველა სფეროში წარმატებულობის ხარისხი შრომის ფასად მიიღწევა, ცნობილი სახეები: დავით სოკოლოვი, ლია მიქაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე, ჯამლეტ ხუხაშვილი, ნუგზარ ჯუღელი და თამარ ბალავაძე უნივერსიტეტმა 21 მარტს პროფესიული ღვაწლისთვის სიმბოლურად დაასაჩუქრა. მათ რექტორისგან მიიღეს შეთავაზება, რომ ახლო მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ახალი პროგრამის განხილვაში მიიღონ მონაწილეობა.

უნივერსიტეტს თანამედროვეობაშიც ტრადიციულად ეამაყება პროფესიულ საქმიანობაში წარმატებული კურსდამთავრებულების სიმრავლე, განსაკუთრებულად ეხალისება და ეადვილება მათთან პარტნიორობა, მაგრამ ყველა თაობისთვის კარგად ნაცნობ სატელევიზიო დიქტორს ლია მიქაძეს არც უნივერსიტეტი დაუმთავრებია და არც შესაბამისი განათლება მიუღია. როგორც მან საზეიმო ღონისძიებაზე განაცხადა, ის მიხეილ თუმანიშვილისა და ლილი იოსელიანის ნამოწაფარია, მაგრამ სატელევიზიო საქმიანობაში მისთვის საინტერესო მოგონებები შალვა ნუცუბიძესაც უკავშირდება. მაშინ, როცა დიდი ენათმეცნიერი სატელევიზიო სალექციო კურსს კითხულობდა და გადაცემების ჩასაწერად ტელევიზიაში მიდიოდა, მას სტუდიაში ერთი ვიდეო მოწყობილობა და ახალგაზრდა ლია მიქაძე ხვდებოდა. აუდიტორიასთან და ადამიანის თვალებთან ურთიერთობის მოყვარულ მეცნიერს კამერის ობიექტივთან პირისპირ საუბარი არ სიამოვნებდა, მას „დასწრების ეფექტი“ სჭირდებოდა. რამდენიმე პროტესტის შემდეგ გამოსავალი მოიძებნა — ლია მიქაძე კამერის შტატივის ქვეშ სკამზე ჯდებოდა და შალვა ნუცუბიძეს სატელევიზიო ლექციის ჩატარებაში „თავისი ცოცხალი თვალებით“ ხელს უწყობდა.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტს ბევრ საინტერესო ადამიანთან უწევს შეხვედრა და მის პროფესიულ დახვეწაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის მიუხედავად, მათ არც ის პირველი ნაბიჯი ავიწყდებათ, საიდანაც მათი „კარიერა“ იწყება ხოლმე. ასეთ დროს ჟურნალისტისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მიღებული აქვს თუ არა საჭირო თეორიული და თანაც საუნივერსიტეტო განათლება. ასეთები არიან სპორტული ჟურნალისტიკიდან ჯამლეტ ხუხაშვილი და ნუგზარ ჯუღელი. „ჟურნალისტიკას მეოთხე ხელისუფლებად მოიხსენიებენ, მაგრამ როგორც ამ დარგში გამოცდილი, ვფიქრობ, რომ ის პირველია და სხვა დანარჩენი — ჟურნალისტიკიდან იწყება“, — აღნიშნა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

შესაძლოა, ჟურნალისტიკა მართლაც პირველია, რადგან იგი სიტყვების წყობასა და მისი გადაცემის ოსტატობაზეა დამყარებული. თუმცა ხშირად მედიის მისამართით გამოთქმული კრიტიკა ქართული ენის „არასწორად გამოყენებას“ უკავშირდება. ნუგზარ ჯუღელსაც ეს აწუხებს და ნაკლოვანების გამოსწორებას იმ მომავალი ჟურნალისტებისგან მოელის, ვინც ახლა ჯერ მხოლოდ სტუდენტია. „თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა საქმეს შეეჭიდეთ და რამხელა პასუხისმგებლობა დგას თქვენს წინაშე. ჩემი თაობის მისამართით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ ვიყავით ნაღდი ჟურნალისტები. ეს დრო ახლა დადგა. ამ თავისუფალ საქართველოში, ვისურვებდი, თქვენი ქმედითი სიტყვა გეთქვათ. გახსოვდეთ, რომ ტელევიზიაში მთავარი ქართული სიტყვაა, სადაც მახვილი მოდის პირველ ბგერაზე“.

უფროსი თაობის შენიშვნები ახალგაზრდა მოქმედ ჟურნალისტებსაც ეხება, რადგან მათი პროფესიონალიზმიც ქართული ენის სწორად მოხმარებას საჭიროებს. სატელევიზიო დიქტორის, დავით სოკოლოვის მოკრძალებული თხოვნაც სწორედ ეს არის: „სულ გახსოვდეთ, რა პროფესიის ხალხი ხართ და რა ენას ემსახურებით. ამ ღვთითბოძებული სასწაულის მოფრთხილებას გთხოვთ. ილაპარაკეთ ქართულად და გააგებინეთ მათაც, ვისაც არ ესმის... ვინც არ სწავლობს — გაიგოს მანაც. ეს თქვენი პროფესიაა, დალოცვილი იყავით იმ სასახელო გზაზე... აბა, თქვენ იცით!!!“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

13 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და ინსტიტუტის დირექტორმა ნუგზარ ღლონტმა მოაწერეს ხელი.

შურთხია გეროშვილი

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გეოფიზიკის დარგის განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ქართული სამეცნიერო სკოლების ტრადიციების აღდგენით ახალგაზრდა თაობას საშუალება მიეცემა თავისი ინტელექტუალური რესურსი ამ სფეროშიც წარმატებით გამოიყენოს.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ვალდებულებას იღებენ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, დარგის პოპულარიზაციის მიზნით, დაამყარონ სამმხრივი სამეცნიერო ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევებისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომების პოპულარიზაციას და საჯარო ლექციების წაკითხვას, ასევე, მოთხოვნილებების შესაბამისად, აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას, გათვალისწინებულია უნივერსიტეტის უფროსკურსელების ჩაბმა სამეცნიერო საქმიანობაში.

გეოფიზიკის ინსტიტუტი საშუალებას მისცემს უნივერსიტეტის სტუდენტებს, დოქტორანტებს და პროფესორებს ისარგებლონ ინსტიტუტის ექსპერიმენტული თუ მონაცემთა ბაზებით, მონაწილეობა მიიღონ ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ექსპედიციაში.

„ყველამ ერთად უნდა მოვიძიოთ შინაარსობრივი ფორმა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაცია. უნივერსიტეტი ნელნელა ახერხებს, რომ ამ დარგებს დაკარგული პრესტიჟი აღუდგინოს. ახალგაზრდას, რომელიც მომავალ პროფესიად ამ სფეროს აირჩევს, უნდა ჰქონდეს მოტივაცია, რომ თუ იგი გამორჩეული მეცნიერი გახდება, მისი შრომა შესაბამისად დაფასდება“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

მისი თქმით, ეს პრობლემა მხოლოდ ერთიანი ძალებით შეიძლება მოგვარდეს და წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როდესაც მეცნიერება იზოლირებულად ვითარდებოდა.

„საჭიროა ინტერდისციპლინარული კვლევებისა და სამაგისტრო პროგრამების წახალისება, ასევე, დამსაქმებლებთან ურთიერთობის გააქტიურება და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება. დარწმუნებული ვარ, ის პოექტები, რომელსაც გეოფიზიკის ინსტიტუტი ახორციელებს, საინტერესო იქნება ჩვენი დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მისი ინფორმაციით, უნივერსიტეტში მიმდინარეობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის შიდა ექსპერტიზა, რომლის მიზანია სასწავლო პროგრამების სრულყოფა.

რექტორის განცხადებით, ამ პროცესში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების გარდა კვლევითი ინსტიტუტები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები და გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ჩაერთვებიან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პრობლემები, რომელიც ამ სფეროში რეალურად არსებობს, მოგვარებადია და რომ საბუნებისმეტყველო დარგების განვითარება ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

როდის დასრულდება უძრაობის პერიოდი მეცნიერთათვის?

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებული სხდომა თსუ-ში

რა პრობლემების წინაშე დგას ქართული მეცნიერება, რა უმნიშვნელოვანესი საკითხებია გასაანალიზებელი და გადასაწყვეტი, რა პრიორიტეტებსა და ფაქტორებზე უნდა იყოს იგი ორიენტირებული – ეს ის საკითხებია, რომელიც 22 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს. უნივერსიტეტმა პირველად დაიწყო ამ პრობლემებსა და შეცდომებზე ხმამაღლა საუბარი და პრეტენზიაც გამოითქვა, რომ ეს საკითხები აუცილებლად უნდა გასცდეს საუბრის ფორმატს და ამდენმა განსჯამ რეალური შედეგები უნდა მოიტანოს.

თამარ მარუაშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიაში ორმოცდაათამდე ღვაწლმოსილი მეცნიერია გაწევრიანებული. აკადემიის აქტივობა ბოლო პერიოდში ძალიან თვალშისაცემი გახდა, რაც მეცნიერებასა და განათლებაში შექმნილმა არასახარბიელო მდგომარეობამ გამოიწვია. ის, რა იმიჯი და პოტენციალიც მას თუნდაც ათი წლის წინ ჰქონდა, შესუსტებული და ინტერესმოკლებულია.

რა პრობლემების წინაშე დგას მეცნიერული კვლევა-ძიება, როგორ ხორციელდება საერთაშორისო მეცნიერულ წრეებთან თანამშრომლობა — სწორედ ეს საკითხები განიხილეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც აკადემიის წევრთა გარდა, მოწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ.

სხდომა სიტყვით გახსნა მათემატიკოსმა, პროფესორმა დავით გორდეზიანმა: „მეცნიერებისა და განათლების საკითხები მეტად მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ქვეყანაში ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვა გარკვეული გარდაქმნები. ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ახლო წარსულში მომხდარმა მოვლენებმა გამოიწვია, შოკური თერაპიის ეფექტით აისახა მეცნიერებასა და განათლებაზე, მის განვითარებაზე, იმიჯსა და ავტორიტეტზე, რამაც საზოგადოების მეცნიერებისადმი ინტერესის შესუსტება და ახალგაზრდების მეცნიერებისაკენ მისწრაფების დაქვეითება გამოიწვია“, — აღნიშნა მან.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით აუცილებელია, ჩატარდეს მონიტორინგი, შედეგად ჩამოყალიბდება საზოგადოებრივი აზრი და ნათელი გახდება, რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის მეცნიერებისა და განათლების სისტემის სრულყოფა, განვითარება და ცხოვრებაში მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ეს ის საკითხებია, რომლითაც აუცილებლად უნდა დაინტერესდეს საზოგადოება და განსაზღვროს ის მიმართულებები, რომელიც მეცნიერებისა და განათლების განვითარების გარანტიას განაპირობებს. მეცნიერული მიღწევების პროპაგანდა მაღალ დონეზე არ არის წარმოდგენილი და რატომ გვიკვირს მის მიმართ საზოგადოების დაბალი ინტერესი, ანდა ახალგაზრდების ინერტულობა? რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობის ჩამოყალიბებაში საინფორმაციო და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს ლომის წილი მიუძღვის. საგამომცემლო სახლები კომერციული ხასიათის ლიტერატურის ბეჭდვასა და პროპაგანდაზე არიან გადასულები... არანაკლებ დამნაშავეა მეცნიერული სექტორიც, რომელიც დღემდე ხმამაღლა არ გამოხატავდა ამ საკითხების მიმართ თავის დამოკიდებულებას. მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენების პროპაგანდა, მეცნიერული მოღვაწეობის მნიშვნელობა და შედეგები – ქართველი მეცნიერებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს, რაც საზოგადოების ინტერესის გაძლიერებასა და ამაღლების გარანტიას მოგვცემს. ასე რომ, საქართველოს მეცნიერების წარმოჩენისთვის ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ.

ევროკავშირისა და მსოფლიო მასშტაბით მეცნიერებისა და განათლების პროგრამებში მონაწილეობა და ამ პროგრამებით ხელმძღვანელობა უნდა გახდეს ქართული მეცნიერების ერთერთი უმთავრესი მიზანი, მაგრამ საქართველოში არ არის შექმნილი სისტემური საშუალებები, რომლებიც მოგვცემს შანსს — ამ პროგრამებიდან სერიოზული დაფინანსება მივიღოთ. ეს საკითხებიც მოსანესრიგებელი და მისახედია. ევროკავშირში მეცნიერებისა და განათლების განვითარებისთვის ახალ შვიდწლეულზე 50,5 მილიარდი ევროა განაწილებული. ეს თანხები მოხმარდება აგრეთვე „ცოდნის რეგიონების“ შექმნას ევროპაში, რაც იძლევა საშუალებას — მეცნიერების განვითარების დონე აწიოს. ეს თანხა მოხმარდება, აგრეთვე, სამეცნიერო ლაბორატორიების შექმნას, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ენერგეტიკის, ნანოტექნოლოგიების, საბუნებისმეტყველო დარგების და მის საფუძველზე ინოვაციური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია 1993 წლიდან ცდილობს ხელისუფლების წინაშე საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების პრობლემატური საკითხების დაყენებას, მეცნიერებისა და განათლების სათანადო დაფინანსების საკითხების მოგვარებას, მაგრამ ამას ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაქცია არ მოჰყოლია. როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პაატა კერვალიშვილმა აღნიშნა: „არ შეიძლება ფეხბურთის გუნდის დაფინანსება ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის დაფინანსებაზე მეტი იყოს. როცა ამის თაობაზე თეთრ სახლში ვთქვი, შოკში ჩავარდნენ! მაგრამ ეს ყველა ჩვენგანის ბრალია, რადგან სათანადო დონეზე არ ვსვამთ საკითხს. ქვეყანა, რომელიც თავდაცვას მილიარდი ლარით აფინანსებს, უნდა გამონახოს რესურსი მეცნიერული პრობლემების გადასაჭრელად. 2007 წლის გაეროს მოხსენების მიხედვით, განათლებასა და მეცნიერების განვითარებაზე დახარჯული სახსრებით საქართველო აფრიკულ ქვეყნებს თუ გაუტოლდება მხოლოდ... ჩვენ „საპატიო“ ადგილი გვიჭირავს ბურკინა ფასოსა და პანამას შორის. საბჭოთა პერიოდში, 1985 წელს განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის 300 მილიონი დოლარი გამოიყო, 2001 წელს კი მხოლოდ 10 მილიონი. შეიძლება ასეთი დაფინანსება ჰქონდეს საქართველოში მეცნიერებას, რომელსაც საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს და რომელიც მინიმალური საშუალებებით აღწევს გრანდიოზულ, მსოფლიო დონის შედეგებს?“

პაატა კერვალიშვილი

ამიტომ ჩვენ, ყველანი, მთელი საზოგადოება უნდა გავერთიანდეთ და ხმა მივაწვდინოთ ჩვენს ხელისუფლებას, მთელ მსოფლიოს, რომ ქართული მეცნიერება არსებობს, რომ ქართულ მეცნიერებას საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს, რომ ქართული მეცნიერების რესურსით ყველა ქვეყანა იამაყებდა, რომ ქართველი მეცნიერი, თავისი ცოდნის რეალიზებით, გრანდიოზულ შედეგებს აღწევს და რომ მას მხარში დგომა და დაფინანსება სჭირდება.

სხდომაზე დაისვა საკითხი, ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემების შესასწავლად და გასაანალიზებლად, საქართველოს მასშტაბით შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც სურვილისამებრ გაერთიანდება ყველა მეცნიერი და მკვლევარი. იგი არ იქნება პოლიტიზირებული. საბჭოს თითოეული წევრი დააფიქსირებს საკუთარ აზრს, გამოთქვამს შენიშვნებს. ყველა საკითხებზე შემუშავდება დეტალური რეკომენდაციები, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეზე განიხილება. საკონსულტაციო საბჭოზე შეჯერებული თემატიკა საზოგადოების მსჯელობის საგანიც გახდება.

„მოხარული ვარ, რომ თსუ-ში გამოითქვა სამეცნიერო საზოგადოების მოსაზრებები მეცნიერების განვითარების სტრატეგიის შესახებ. უნივერსიტეტი მარტო სასწავლო დაწესებულება არ გახლავთ. ის უნდა იყოს სამეცნიერო მუშაობის, კვლევების აქტიური მხარდამჭერიც. უნივერსიტეტმა უკვე დაამტკიცა სტრატეგიული განვითარების გეგმა“, — აღნიშნა თავის გამოსვლაში თსუ რექტორმა გიორგი ხუბუამ, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა მეცნიერებისა და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის საკითხებზეც.

გაფართოებულ სხდომაზე დაისვა საკითხი უმაღლესი სასწავლებლების კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების შესახებაც, რაც საკანონმდებლო ინიციატივებით უნდა გამყარდეს. მეცნიერული კვლევებისთვის დაფინანსების მოპოვება სახელმწიფოსა და მეცნიერების ურთიერთანამშრომლობისა და ძალისხმევის შედეგად უნდა ხდებოდეს.

სხდომაზე გამოიკვეთა ქართული სამეცნიერო გამოცემების, ჟურნალების ავტორიტეტის ზრდის აუცილებლობაც. როცა უცხოურ და ქართულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალები სხვადასხვაგვარად ფასდება, ეს, ცოტა არ იყოს, არაერთგვაროვნულია. მას, ორივე შემთხვევაში, ერთნაირი ფასი უნდა ჰქონდეს... ამ მხრივაც ბევრია გასაკეთებელი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება და სამეცნიერო კვლევა არ შეიძლება ერთმანეთს გაემიჯნოს. აქცენტი უნდა გაკეთდეს სამეცნიერო კვლევებზე. ისაუბრეს ინდიკატორებზეც, რომლითაც კვლევების შედეგები ფასდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კვლევების თვალსაზრისით უნივერსიტეტის სტრატეგიას, რომელიც კვლევების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური პროფილი. მართალია, ყველა მიმართულებით ძლიერი ვერ ვიქნებით შეზღუდული ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების გამო, მაგრამ კონცენტრირება იმ პრიორიტეტებზე უნდა მოხდეს, რომლებიც განისაზღვრება აკადემიურ საზოგადოებასთან ერთად. ამ თემას უკავშირდება საუნივერსიტეტო პროექტების შეფასების საუნივერსიტეტო სისტემის შექმნაც. დღეს ამ საკითხზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტიც მუშაობს. არსებობს იდეა, ჩამოყალიბდეს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდი. ამ ფონდიდან გაღებული ინვესტიციის შედეგი საინტერესო იქნება უნივერსიტეტისთვის. აღსანიშნავია, რომ პროექტების მართვა სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს, ამიტომ დოქტორანტები მეცნიერების მენეჯმენტის კურსს შეისწავლიან. ფონდის საკონსულტაციო სამსახური მხოლოდ ფონდების მოძიებით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ პროექტების წარდგენითაც, რაც უდავოდ წაახალისებს ჩვენს მეცნიერებას. პროექტის გამარჯვების შემთხვევაში მეცნიერი მიიღებს სახელფასო დანამატს. „მეცნიერების კომერციალიზაცია უალტერნატივო გზაა. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი ინტელექტუალური რესურსი და უნდა ვისწავლოთ, როგორ დავუკავშიროთ იგი ფინანსურ რესურს“, — აღნიშნა ბატონმა გიორგი ხუბუამ. ამ კუთხით იგეგმება ბიზნეს წრეებთან თანამშრომლობა, ურთიერთპარტნიორობა. მხოლოდ საქველმოქმედო შემოწირულობებით მეცნიერება ვერ იარსებებს და ვერც განვითარდება. აქტუალურია აგრეთვე არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო წრეებთან ინტეგრაციაც. უნივერსიტეტმა მაგნიტივით უნდა მოიზიდოს არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო სეგმენტიც.

რექტორმა ისაუბრა ტექნოპარკების მნიშვნელობასა და ჩამოყალიბებაზეც — როგორც რეალურ პროექტზე. პროექტს აფინანსებს „ქართუ ჯგუფი“. დაგეგმილია თსუ პირველი და მეორე კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ლაბორატორიების განახლება. მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე კი აშენდება სტუდენტთა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებლები, მინისაწარმოები, რისთვისაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული და ამ პროექტის განხორციელებას საქართველოს პრეზიდენტი უჭერს მხარს.

გაფართოებულ სხდომაზე მწვავედ დაისვა მეცნიერების და უმაღლესი განათლების სფეროებიდან სამეცნიერო პერსონალის გადინების საკითხიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც ისევ და ისევ ფინანსურ საკითხს უკავშირდება. ინტელექტუალური შრომის სოციალური მნიშვნელობის ასე დაქვეითება საგანგაშოა და ყურადსაღები. საზოგადოებაში მკვლევარის იმიჯის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება შეიმჩნევა და, ამ მხრივ, აუცილებელია მუშაობის გაძლიერება.

ქართველი მეცნიერების მიზანია, მეცნიერებაში სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით გამოწვეული უძრაობის პერიოდი დასრულდეს. არ უნდა განმეორდეს ის შეცდომები, რომელმაც განათლების განვითარებას არასასურველი შედეგები მოუტანა. ქვეყნის, სახელმწიფოს კაპიტალი ხომ ჩვენი ინტელექტუალური რესურსი და პროდუქტია!

მოკლედ

ანა კალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა პოეზიის საღამო

ანა კალანდაძე ყველა თაობის საყვარელი პოეტია და მისი შემოქმედებით კიდევ მრავალი თაობა იამაყებს, — აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოზე — „ღამეულ ცათა ჩუმი შრიალი“, რომელშიც კულტურის და სპორტის ცენტრთან არსებულ ლიტერატურულ სახელოსნოში გაერთიანებული სტუდენტები მონაწილეობდნენ.

ლიტერატურული სახელოსნოს ხელმძღვანელმა, პოეტმა ქეთევან შენგელიამ ყველა მსურველს საშუალება მისცა — წაეკითხა თავისი ლექსები და ამგვარად მიეგოთ პატივი ჩვენი დროის უდიდესი პოეტის ხსოვნისთვის.

მსმენელის წინაშე თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ: ბექა ნიკასონი, სალომე მაღლაკელიძე, გიორგი ძამუკაშვილი, არმენ არუთინოვი, გვანცა დელიბაშვილი, ციცი ხოსრუაშვილი, სალომე შენგელია, აჩიკო აბესაძე, გიორგი ბზიშვილი, ბესიკ ლიპარტელიანი, ლელა კურტანიძე.

ქეთევან შენგელიას თქმით, ლიტერატურული სახელოსნო მომავალშიც მრავალ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს, სადაც შემოქმედ ახალგაზრდებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ექნებათ.

გამოდის, რომ მოსახლეობის პოლიტიკური შეგნება და კულტურა უფრო მაღალია, ვიდრე ოპოზიციის

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე თითქმის ორი ათეული წელი გავიდა და ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა კვლავაც მიუღწეველია. რამდენიმე დღის წინ პოლიტიკური ისტებლიშმენტი კიდევ ერთხელ დადგა პრობლემის წინაშე — ვის გვერდით აღმოჩნდებოდა პოტენციური ამომრჩეველი და ვის დაუჭერდა მხარს — ხელისუფლებას თუ მოშიმშილე ოპოზიციას? მოსახლეობის დიდი ნაწილი, ამჯერად, მაყურებლის როლით შემოიფარგლა, რასაც პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი მისი მაღალი პოლიტიკური კულტურით ხსნის. რატომ შეიცვალა დამოკიდებულება აქტიური საპროტესტო აქციების მიმართ? არის თუ არა ეს იმის მიმანიშნებელი, რომ მოქალაქეთა ცნობიერებაში ცვლილება მოხდა? ამ საკითხებზე გვესაუბრებიან ექსპერტები.

მაია ტორაძე

ალექსანდრე კუხიანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— პოლიტიკური კულტურა ემყარება ცოდნას — დაიცვან ურთიერთობის გარკვეული ნორმები. იმ საზოგადოებაში, სადაც დემოკრატია უკვე მომწიფებულია, პოლიტიკური კულტურაც მაღალ დონეზეა. იქ, სადაც დემოკრატია ჯერ დაღვინების პროცესშია, პოლიტიკური კულტურა დაბალია.

ამ პროცესში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ისტორიული გამოცდილება. ამერიკას დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისთვის 200 წელი დასჭირდა, ევროპას — 500, ჩვენ კი ჯერ მხოლოდ ერთი ათეული წელია დემოკრატიას ვაშენებთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საიდანაც ვითვლით ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდს, ჩვენ დემოკრატიის აღმშენებლობის ნაცვლად სამოქალაქო ომებითა და ნგრევით ვიყავით დაკავებულნი. უფრო მეტიც, რეალურად მხოლოდ ბოლო წლებში დავიწყეთ სახელმწიფოს შენება და ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩვენი პრობლემა — თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, ბალტიის ქვეყნების გარდა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველი ეტაპი ხელისუფლების კრიმინალიზაციით დაიწყო.

ზოგადად, პოლიტიკური კულტურა განპირობებულია არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერების პიროვნული თვისებებით, არამედ ობიექტური პირობებით — რამდენად მწვავეა პოლიტიკური სიტუაცია კონკრეტულ ქვეყანაში. საქართველო მდებარეობს ურთულეს რეგიონში, სადაც დიდ როლს თამაშობს რუსეთის ფაქტორი, სეპარატისტების ფაქტორი, დასავლეთის ინტერესები და ა.შ. ეს ყველაფერი ცალკე და განყენებულად არ არსებობს, ერთიან სპექტრში განიხილება. თუმცა არის საკითხები, რომელიც მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული: მაგალითად, შიდაპოლიტიკური პროცესები. იქ, სადაც ხელისუფლება შეცდომებს უშვებს, რომელთა შორის ზოგიერთი შეიძლება ძალიან სერიოზულად ჩაითვალოს, კონფლიქტი მწიფდება. ამ დროს საინტერესოა, ვინ როგორ მოიქცევა. აქ იჩენს თავს ადამიანების, მათ შორის, პოლიტიკოსების პოლიტიკური კულტურა, მათი გამოცდილება, ცოდნა და ქცევის ჩვევა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტს თავისი ადგილი აქვს. ჩვენ პლურალისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და აზრთა სხვადასხვაობა, სწორედაც, დემოკრატიისათვის აუცილებელი ატრიბუტია. ორი სპექტრი — უმრავლესობა (ხელისუფლება) და ოპოზიცია ამ სხვადასხვაობას უნდა გამოხატავდეს და ეს ნორმალურია. დაუშვებელია ის, რომ წინააღმდეგობები და კონფლიქტები ძალადობრივი მეთოდებით გადაწყდეს. ფილოსოფიური თვალსაზრისით, განვითარება წყდება იქ, სადაც არ არის კამათი, კონფლიქტი და აზრთა სხვაობა. ქვეყანაში ოპოზიცია ძლიერი უნდა იყოს და ხელისუფლებას მისი უნდა ესმოდეს. სამწუხაროდ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხელისუფლებას ოპოზიციასთან დიალოგი ნაკლებად ჰქონდა. ის, რაც დღეს ხდება, სწორედ ამის შედეგია.

სხვა საკითხია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოება უცებ გახდეს დემოკრატიული და მომწიფებული იმისთვის, რომ სწორად აირჩიოს ლიდერები და პარტიები. თუ დავაკვირდებით ანალოგიურ პოლიტიკურ პროცესს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იქ მოქალაქეთა დიდი ნაწილი საერთოდ არ მონაწილეობს არჩევნებში, რადგან პოლიტიკა არ აინტერესებს. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ არა საზოგადოების მენტალიტეტზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ჩამოყალიბებული და ძლიერია სახელმწიფო სტრუქტურები, რამდენად დამოუკიდებელია სასამართლო სისტემა, რამდენად გავლენიანია ომბუდსმენის ინსტიტუტი, რამდენად კონტროლირდება სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობა. ამ ყველაფერს ძლიერი ინსტიტუტები და დახვეწილი კანონმდებლობა სჭირდება. როდესაც სახელმწიფოში არის დისბალანსი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რა თქმა უნდა, დემოკრატიაზე ლაპარაკი შეფარდებითი ცნებაა.

როგორი მთავრობაც არ უნდა ავირჩიოთ, თუ არჩევნებიდან არჩევნებამდე მასზე არ არსებობს ძლიერი, ეფექტური, ყოველდღიური სამოქალაქო კონტროლი, ეს მთავრობა განნირულია. ამ შემთხვევაი იგი მოწყდება ხალხს და იარსებებს თავისი კანონებისა და ინტერესების მიხედვით. ბოლო 4 წელიწადში სწორედ ეს მოხდა: სამწუხაროდ, საქართველოში ერთერთი ყველაზე აქტიური დემოკრატიული ინსტიტუტის — არასამთავრობო სექტორის აქტივობა შემცირდა. თავიდან, როდესაც შევარდნაძე მოსკოვიდან დაბრუნდა, დასავლური ორგანიზაციები, შევარდნაძის ავტორიტეტით სახელისუფლო სტრუქტურების დაფინანსებას შეუდგნენ და ნაკლები ყურადღება დაუთმეს სამოქალაქო სექტორს. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაფინანსების მიმართულება შეიცვალა, სამოქალაქო სექტორის დახმარება გაძლიერდა, რისი შედეგიც იყო დემოკრატიული პროცესების განვითარება და „ვარდების რევოლუცია“. 2003 წლის შემდეგ დასავლეთის დონორმა ორგანიზაციებმა იგივე შეცდომა დაუშვეს — ყურადღების კონცენტრირება მთლიანად გადაიტანეს სახელმწიფო სტრუქტურებზე. სამოქალაქო სექტორი კვლავ დაუფინანსებელი დარჩა. ამან შეასუსტა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ყურაღება აღარ ექცეოდა და დღესაც არ ექცევა.

რაც შეეხება ოპოზიციის ტაქტიკას, შეგახსენებთ — ერთერთ სატელევიზიო გადაცემაში აჩვენეს ინტერაქტივის შედეგები, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის 63 პროცენტი ოპოზიციის შიმშილობის წინააღმდეგი იყო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ოპოზიციის იმ ნაწილის ტაქტიკა, რომელმაც პროტესტის გამოსახატად ეს ფორმა აირჩია, არასწორი იყო. მესმის, რომ ისინი იბრძვიან საარჩევნო ხმებისათვის, მაგრამ მოსახლეობას დღეს არ აწუხებს არც ოპოზიცია, არც უმრავლესობა და არც მათ შორის პოლიტიკური კინკლაობა. მისი ინტერესებია პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. გამოდის, რომ მოსახლეობის პოლიტიკური შეგნება და კულტურა უფრო მაღალია, ვიდრე ოპოზიციის.

მე-6 გვერდზე

ჩვენ გვინდა კონკურენტუნარიანი წინასაარჩევნო პროგრამები და სამართლიანი არჩევნები

18 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი დისკუსია თემა ზე: „არჩევნების როლი ქვეყნის განვითარებაში“. დიკუსიაში მონაწილეობდნენ პოლიტოლოგები, მეცნიერები და არასამთავრობო ორგანი ზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც გააანალიზეს არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტი: მოქალაქეთა მოტივაცია არჩევანის გაკეთების პროცესში; შუალედური პოლიტიკური კულტურა საქართველოში; ხელისუფლებაზე ამომრჩევლის ზემოქმედება არჩევნების გ ზით; მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა; არადემოკრატიული რეჟიმები და არჩევნები; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები წინასაარჩევნო პერიოდში; არჩევნების ეფექტიანობა...

მაია ტორაძე

დისკუსია გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გუგული მაღრაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არჩევნების დემოკრატიულობის ერთერთი მთავარი დეტერმინანტი არის მოქალაქის მოტივაცია – რატომ მიდის ადამიანი არჩევნებზე. ამის მიხედვით ამომრჩეველი ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს — პირველი, ვისაც მოსწონს ხელისუფლება და სურს, რომ მან გააგრძელოს საქმიანობა და მეორე, ვისაც არ მოსწონს ხელისუფლება და ცდილობს, არჩევნების მეშვეობით შეცვალოს იგი. სწორედ ამ კონტექსტში აქვს მნიშვნელობა დემოკრატიულ არჩევნებს. იგი ხალხს საშუალებას აძლევს, მოახდინოს ხელისუფლების ფორმირება.

ქალბატონმა გუგული მაღრაძემ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელისშემშლელ ფაქტორებზეც ისაუბრა. მისი აზრით, ამის ერთერთი მიზეზია არჩევნების წესის ხშირი ცვლა: „დამეთანხმებით, ყველა ხელისუფლება შეეცადა თავის თავზე მოერგო საარჩევნო კანონი, რადგან სწორედ კანონის ცვალებადობაში დევს ხელისუფლების ინტერესები. წესით, ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, მაჟორიტარებით დაკომპლექტდეს პარლამენტი თუ პროპორციული სისტემით მოსული დეპუტატებით. თავის მხრივ, სახელმწიფომ გამოკვლევების ნიადაგზე უნდა დაადგინოს, რა სჯობს ჩვენნაირი ისტორიის, ტრადიციისა და პერსპექტივის მქონე ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განვითარებისთვის — პროპორციული თუ მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნები? მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის პროპორციული სისტემა ყველაზე მისაღებია. ეს პატარა ქვეყანაა და არ არის აუცილებელი — რომელიმე რეგიონის პრობლემის გასაცნობად მაინც და მაინც იმ რაიონის დეპუტატი იყო. პარლამენტს არ ეხება გზისა და წყლის პრობლემის მოგვარება. მან უნდა მიიღოს კანონი, რომელიც ნებისმიერი რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამასთან, პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებისას თანდათან წარმოჩინდებიან ის პარტიები, რომლებიც არჩევნებიდან არჩევნებამდე სტაბილურ შედეგებს აღწევენ. სწორედ ეს პარტიები შექმნიან მომავალში პოლიტიკურ ამინდს საქართველოში“, — განაცხადა გუგული მაღრაძემ.

სტრატეგიული კვლევების ფონდის დირექტორმა ნიკოლოზ მელიქიძემ ყურადღება გაამახვილა წინააღმდეგობებზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების პროცესში ხვდება. მან მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალოგიების მაგალითზე გააანალიზა ამ პრობლემის პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური წინაპირობები საქართველოში, გაიხსენა საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომები და განაცხადა, რომ მიუხედავად აშკარა საჭიროებისა, ამ პრობლემების მეცნიერული ანალიზის შედეგებს ხელისუფლება სათანადოდ დღესაც ვერ იყენებს.

„ჩვენი ცენტრი სტრატეგიულ ანალიტიკურ პროდუქტებს „ამზადებს“ და ცდილობს, ხელისუფლება „შეიტყუოს“ ამ პროდუქტების „მოხმარებაში“. აღმოჩნდა, რომ საქართველო არ სწავლობს რუსეთის მაგალითზე, რომელიც ჩვენი მთავარი მოპაექრე და მეზობელია. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის არც ერთი ინსტიტუციონალური ფორმა, რომელიც სისტემატურად სწავლობს — რა ხდება ამ ქვეყანაში მაშინ, როცა დანარჩენ მსოფლიოში (მაგალითად, ფინეთსა და ნორვეგიაში) პირიქით, სისტემატურად სწავლობენ და იკვლევენ – რა არის რუსეთი, რა ამოძრავებს მას, რა ჭია ღრღნის მის ევრაზიულ ცივილიზებულ პრეტენზიებს, რა ხიფათია აქედან და რა ხერი შეიძლება ნახონ მის ამ აკვიატებულ უაზრობაში.

მეორე მაგალითია ენერგეტიკა. საქართველო პატარა, მაგრამ მაინც მსოფლიო ენერგეტიკული „მოთამაშეა“. დღეს ცივილიზებულ სამყაროში დგას უზარმაზარი ენერგეტიკული პრობლემა, რომელშიც ყველაზე უფრო ძლევამოსილი ინტერესები დევს. სამწუხაროდ, საქართველოში არც ამ მიმართულებით არსებობს რაიმე სახის ანალიტიკური ცენტრი, რომელიც ამ ინტერესებს, დინებებს, პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს იკვლევს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების კუთხით“, — განაცხადა მან.

არასამთავრობო ორგანიზაციის „კანონი ხალხისთვის“ ხელმძღვანელმა ზაქარია ქუცნაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის გამოწვევები, რის წინაშეც საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ პერიოდში იდგა, დღესაც გამოწვევად რჩება. მისი აზრით, არჩევნები ის პოლიტიკური პროცესია, რომლის თანამედროვე დემოკრატიული მოთხოვნების დონეზე ჩატარება დღემდე პრობლემაა.

„არჩევნებს თანამედროვე საზოგადოებაში სამი მთავარი ფუნქცია აკისრია: თავისუფლების, განვითარების და სტაბილურობის, ანუ მშვიდობის დამკვიდრება. მოსაზრება, რომ არჩევნების მთავარი მიზანია ხელისუფლების შეცვლა, ძალიან ვიწრო ამოცანაა. რატომ გამოვყავი ეს სამი მთავარი ფუნქცია? საქმე ისაა, რომ კომფორტულიდან არაკომფორტულ გარემოში გადასვლა არავის უნდა. ყველა ცდილობს, იყოს არა პასუხისმგებელი, არამედ, ამ მდგომარეობის გარედან მაყურებელი, რითაც გაურბის თავისუფლებას, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება — გადაწყვეტილების მიღება და მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა. ვისაც ეს შეუძლია, თავისუფალი ადამიანია. ძალიან ბევრი ცნობილი პიროვნება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გაქცევის მიზნით ემიჯნება ამ დამოკიდებულებას და ამბობს — მე გუშინ ვიყავი მხარდამჭერი, დღეს აღარ ვარ. რატომ ხდება ასე? ძალიან მარტივი მიზეზის გამო — ის ხვდება, რომ საზოგადოება, ცნობილი პოზიციის გამო, მას პასუხს მოსთხოვს.

არჩევნები რატომ გულისხმობს განვითარებას? ბევრი პოლიტიკოსი ცდილობს, პოლიტიკურ არენაზე დამკვიდრდეს არა თავისი პროგრამით, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ იბრძვის. როცა პოლიტიკოსს ეკითხები – რის გამო უნდა მოგცე ხმა, გაქვს თუ არა მიზანი? არჩევნები შენთვის საეტაპო ამოცანაა თუ საბოლოო ამოცანა? ხშირად ის ან პასუხს გაურბის, ან, ელემენტარულად, იტყუება. განვითარებაში იგულისხმება პროგრამების კონკურენცია. არცერთ პოლიტიკოსს არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ მხოლოდ ბრძოლის და დაპირისპირების საფუძველზე დაგვაყენოს არჩევანის წინაშე. ხალხმა გარკვევით უნდა თქვას — არ მოგცემთ ხმას მარტო იმის გამო, რომ სააკაშვილი არ მოგწონთ, თქვენ უნდა მოგცეთ ხმა იმის გამო, რომ უკეთესად შეძლებთ პრობლემების გადაჭრას.

ჩვენ გვინდა თვისობრივად ახალი, კონკურენტუნარიანი წინასაარჩევნო პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს სწორი არჩევანის გაკეთებას, რათა ქვეყნის სათავეში შედარებით პროგრესული ხელისუფლება მოვიდეს.

არჩევნები მშვიდობის, სტაბილურობის გარანტია. მარტინ ლუთერ კინგის ცნობილი სიტყვებია — „თუ გინდა მშვიდობა, მოგვეცით სამართლიანობა“. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ არჩევნებიც, რადგან სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების შედეგები საზოგადოებაში სტაბილურობას ამკვიდრებს“, - განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

დისკუსიაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორებმა წარმოადგინეს „2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გეოგრაფიული სურათის“ ანალიზი.

გამოდის, რომ მოსახლეობის პოლიტიკური შეგნება და კულტურა უფრო მაღალია, ვიდრე ოპოზიციის

მე-5 გვერდიდან

კორნელი კაკაჩია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— ოპოზიცია არ ითვალისწინებს მთავარს — რა სურს ხალხს დღევანდელი გადასახედიდან. ხალხს მობეზრდა რადიკალიზმი, ამიტომაც ვერ აგროვებენ იმდენ მომხრეს, რამდენსაც ადრე აგროვებდნენ. ხალხს დღეს სჭირდება სტაბილურობა და სტაბილური განვითარება. ამაში ყველა თანხმდება და, აქედან გამომდინარე, რადიკალიზმი უკვე არ არის საჭირო.

ოპოზიციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ამბიციები, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელია. დიდი ანალიზი არ არის საჭირო იმისთვის, რომ მიხვდე — რეფერენდუმის შედეგად, როცა ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ პარლამენტართა რაოდენობა 150-მდე უნდა შემცირდეს, კონკურენცია გაიზარდა. ოპოზიცია მიხვდა, რომ ცალცალკე ვერ გადალახავდა ამ ბარიერს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დონე და სისტემა ისეთი არ არის, რომ ეს პარტიები იდეოლოგიური ნიშნით გაერთიანდნენ, მაინც გადაწყვიტეს შეერთებულიყვნენ. ამიტომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გაერთიანების ის ფორმა, რომელსაც დღეს ვხედავთ, ქაოტურია და გათვლილია მოკლევადიან მიზანზე — პარლამენტში მოსახვედრად არჩევნებში ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა.

სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი ვერ დაიწმინდა და ვერ ჩამოყალიბდა 3-4 კლასიკური პარტია. შედეგად, ყოველ წელს ახალ პარტიას ვიღებთ.

ოპოზიციამ უნდა წარმოადგინოს ალტერნატიული პროექტები და პროგრამები. ვთქვათ, არ მოგწონს სოციალური პოლიტიკა, მაშინ შენ უნდა გქონდეს შემუშავებული ალტერნატიული პროექტი. მაგალითისთვის ავიღოთ უკვე ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები. ერთი-ორი კანდიდატის გამოკლებით, არც ერთ კანდიდატს არ ჰქონდა საგარეო პოლიტიკის პოლიტიკური კონცეფცია. მესმის, რომ მჭიდრო ვადები იყო, მაგრამ როგორ შეიძლება ქვეყნის მართვის პრეტენზია ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული კონცეფციები საგარეო პოლიტიკაში, სოციალურ სფეროში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ. სწორედ ამიტომაც არის, რომ ქაოტური ტიპის პლატფორმებისგან შემდგარი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლა ქვეყანაში ყოველთვის დაძაბულობას იწვევს.

ბრიტანეთში არის ე.წ. „ჩრდილოვანი კაბინეტი“, რომელსაც აყალიბებს პოლიტიკური პარტია. მას ჰყავს, ვთქვათ, პოტენციური „ფინანსთა მინისტრი“. თუ ეს პარტია გაიმარჯვებს, ყველამ იცის, რომ ეს პიროვნება იქნება ფინანსების გამგებელი ქვეყანაში. ეს ადამიანი ყოველდღიურად მუშაობს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს იმ შემთხვევაში, თუ ის მოვა ხელისუფლებაში. ასე უნდა მუშაობდეს პარტია. მას კონცეფციების დონეზე მაინც უნდა ჰქონდეს ექსპერტებისა და პროფესიონალების მიერ შემუშავებული სამუშაო პროგრამა. საქართველოში ამას ამომრჩეველი ვერ ხედავს. ამიტომ ჩნდება კითხვები — რატომ უნდა მივცე ხმა არჩევნებზე რომელიმე პარტიას? რას მთავაზობს ის? თუ ვიცი, რომ მისი პოლიტიკა გამოკვეთილია ან საგარეო საკითხებში, ან სოფლის მეურნეობაში, ან სოციალურ სფეროში, ან განათლების სისტემაში, ვიფიქრებ ხმის მიცემაზე, მაგრამ ასეთი რამ, ჯერჯერობით, არ ჩანს, რაც ზოგადად ქართული პოლიტიკური სისტემის ნაკლია.

გავითვალიწინოთ ისიც, რომ თუ ერთეულებს არ ჩავთვლით, ქართველი ინტელიგენცია თითქმის არ მონაწილეობს ამ პოლიტიკურ პროცესში. ვინ უნდა მოამზადოს, ვთქვათ, საგარეო პოლიტიკური კონცეფცია? პარტიის წევრები ამ საკითხებში შეიძლება არ იყვნენ ჩახედულნი, ამიტომ მათ კავშირი უნდა ჰქონდეთ სათანადო მიმართულების ექსპერტებთან. საქართველოს პოლიტიკოსებს ეს კავშირები არ აქვთ და როცა ამომრჩეველს არავინ არაფერს სთავაზობს, არჩევანს პიროვნებებს შორის აკეთებს. აი, ეს არის პრობლემა, რომელიც მხოლოდ ამომრჩევლის წინაშე არ დგას. ის ერთნაირად უნდა აწუხებდეს ხელისუფლებასაც, ოპოზიციასაც და სამოქალაქო საზოგადოებასაც.

ექსპერტის აზრით

რატომ მოითხოვს რუსეთი აფხაზეთისთვის ეკონომიკური ემბარგოს გაუქმებას

ინტერვიუ პროფესორ ემზარ ჯგერენაიასთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კოსოვოს სტატუსის საკითხის განხილვის შემდეგ, სერბეთის ამ ავტონომიურ ოლქსა და საქართველოში არსებული კონფლიქტების მსგავსება-განსხვავების თემაზე მსჯელობა სულ უფრო აქტუალური გახდა. კოსოვოს პრეცედენტი, შესაძლოა, მომავალში პოსტსაბჭოთა კონფლიქტების მოგვარების მოდელზეც აისახოს. რას მოუტანს ეს საქართველოს და რას უნდა ელოდოს ქვეყანა, რომელიც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნატოში ინტეგრაციის გზით ცდილობს? ანალიტიკოსებისა და ექსპერტების მოსაზრებები, რა თქმა უნდა, ბევრია და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ეკონომიკურად გადაწყვეტის ჭრილში საკუთარი მოსაზრებები აქვს თსუ პროფესორს, ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ რედაქტორს ემზარ ჯგერენაიას, რომელიც მიიჩნევს, რომ აფხაზეთის მომავალი დიდად არის დამოკიდებული 2014 წელს ქალაქ სოჭში დაგეგმილ ოლიმპიადაზე, რომლის სამზადისსაც რუსეთი აფხაზეთის საკითხით მანიპულირების ფონზე, საკუთარი ბიზნესინტერესების სასარგებლოდ წარმართავს.

ხათუნა ხატიაშვილი

— კოსოვოს სტატუსის განხილვის შემდეგ, ავტომატურად გააქტიურდა რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შესაძლო აღიარების თემაც. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია, ორი, ერთმანეთისგან არსობრივად განსხვავებული საკითხის პარალელურ ჭრილში განხილვა?

— რუსეთი, როგორც ყოველთვის, მხარს უჭერდა და ახორციელებდა კიდეც ეკონომიკური კუთხით აფხაზეთთან ურთიერთობის განვითარებას. აფხაზეთში რუსული ფულითა და საბანკო სისტემის ფუნქციონირებით, დიდი ხანია, მისი მხრიდან ირღვევა მთელი რიგი შეთანხმებები. დღეს რუსეთის წინაშე დგას ორი მწვავე საკითხი. ერთია ის, რომ მან, როგორც ქვეყანამ, მისთვის დამამცირებელ აქტზე, რასაც კოსოვოს აღიარება ჰქვია, რამენაირი რეაგირება უნდა მოახდინოს და ამიტომ მხარს უჭერს კოსოვოელ „ნაციონალებს“, რომლებიც სერიოზული დემარშებით გამოირჩევიან. რუსეთის მეორე რეაგირება კი ის გახლავთ, რომ საქართველოს და მის მეგობარ ქვეყნებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით ემუქრება.

— რუსეთი ამ საკითხთან დაკავშირებით რეალური გადაწყვეტილების მიღებას მუდმივად ერიდება და საქართველოს წინააღმდეგ მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით მანიპულირებას სჯერდება. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური შანტაჟის ასეთი ფორმით ის მსოფლიო თანამეგობრობას ანგარიშის გაწევას კიდევ დიდხანს აიძულებს?

— რა თქმა უნდა, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთს, როგორც ქვეყანას და იმპერიას, არ აწყობს და მას არც არასოდეს აღიარებს, მაგრამ ყოველთვის შეეცდება ამ თემით საქართველოსა და მსოფლიო თანამეგობრობაზე ზემოქმედებას. რუსეთი დღეს შეჭიდებულია მსოფლიოს რამდენიმე უმსხვილეს ბიზნესპროექტს, რომელთა შორისაც ერთერთი სოჭში ჩასატარებელი ოლიმპიადაა. კონკურენტებისგან (ზალცბურგის, კორეის, ავსტრიის) განსხვავებით, რუსეთს უზარმაზარი სახსრები სჭირდება ინფრასტრუქტურის ასაშენებლად. მას ზამთრის საკურორტო ქალაქი არ აქვს, აქედან გამომდინარე, საეჭვოდ გაიმარჯვა ზალცბურგთან, რომელიც „ზამთრის სამოთხედ“ არის აღიარებული. 2014 წელს დაგეგმილი ოლიმპიადისთვის ტერიტორიის მოსამზადებლად საჭირო უზარმაზარი სამშენებლო ინერტული მასალის მოხმარება რუსეთში უკვე დაიწყო. რადგან მისი შეტანა შორიდან გიგანტურ შესაძლებლობებს ითხოვს, რუსეთმა გადაწყვიტა, რომ ყველაფერი აფხაზეთიდან წაიღოს.

— რუსეთს აფხაზეთის მეშვეობით სოჭში სამშენებლო ოპერაციების ჩატარება არალეგალურადაც შეუძლია, რადგან საქართველოს იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე ვერ ხორციელდება. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში, რატომ მოითხოვს რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან აფხაზეთისთვის ეკონომიკური ემბარგოს გაუქმებას?

— როგორც კი ინერტული მასალა აფხაზეთიდან რუსეთში ჩუმად გავიდოდა, მაშინვე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იძულებული გახდებოდა, სეპარატისტული რეგიონიდან წარმოებული ნებისმიერი საქმიანობა დაებლოკა. სწორედ ამიტომ, რუსეთმა ამ თემაზე მსჯელობა „ღიად გამოაცხადა.“ აპრილში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან იგეგმება პირველი შემოწმება, თუ როგორ იწყება კომუნიკაციური სამუშაოები საოლიმპიადო ქალაქის მოსამზადებლად. აპრილიდან სოჭში სერიოზული მშენებლობა იწყება. ამის გარდა, არის კიდევ მიზეზი, რომლითაც რუსეთი საქართველოს ჭრილობაზე მარილს აყრის. თუკი ჩვენ წავალთ ნატოსკენ, იგი მსოფლიო ბაზარზე დამოუკიდებელ ენერგეტიკულ პოლიტიკას გაატარებს.

— მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებას ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს, რა გზა შეიძლება გამოინახოს, თუნდაც პრევენციის მიზნით, რაც ხელს შეუშლის რუსეთს აფხაზეთის რესურსის გამოყენებაში?

— თუ აფხაზებმა ისწავლეს სახელმწიფოს მშენებლობა, ეკონომიკურად წელში გაიმართნენ და რუსეთის მეშვეობით მათი ბიზნესში ინტეგრირება მოხდა, მერე ძალიან გაჭირდება აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. დღეს საქართველომ აფხაზეთის საკითხის ირგვლივ ურთიერთობები ყველა დონეზე სერიოზულად უნდა გაამწვავოს. დიპლომატიურად, და თუ გნებავთ, პროვოკაციულად საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უნდა აიძულოს, რომ არ დაუშვან არაღიარებული სეპარატისტული რეგიონების ეკონომიკური თვალსაზრისით ჩაბმა ოლიმპიადის ქარტიაში.

— საამისოდ რა რეალური ბერკეტი არსებობს?

— უნდა გაცხადდეს, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის გამოყენება საქართველოს გვერდის ავლით დაუშვებელია. ეს ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პირდაპირ შელახვას ნიშნავს. ამჟამინდელი მდგომარეობით, სახეზეა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის აბსოლუტური ანექსია. უფრო მეტიც, რუსეთი ანექსირებულ ტერიტორიაზე საექსპორტო სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებს. ჩვენ ვერ ამოვიღეთ ხმა, როცა ვითიბი ბანკი, რომელიც რუსული კაპიტალით საქართველოში ფუნქციონირებს, ფართომასშტაბიან სამუშაოებს ეწევა აფხაზეთშიც. ეს ყველა დონეზე უნდა თქმულიყო. დღეს იდეოლოგიური ფრონტი თითქმის წაგებული გვაქვს. რუსეთი თავის ქმედებებს წარმოაჩენს ისე, თითქოს იგი ეხმარება ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე მდგარ აფხაზერს, რომელსაც საქართველო ბლოკადაში ამყოფებს, რაც მსოფლიოს თვალში „ცრემლისმომგვრელია“.

— ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირებისკენ საქართველოს მიზანმიმართული მცდელობის გამო, რუსეთის აგრესიის მიზეზი მუდმივია. რამდენად არის მოსალოდნელი, რომ არსებულ კრიტიკულ ვითარებაში მსოფლიო თანამეგობრობამ საქართველოს ინტერესების დასაცავად ქმედითი ნაბიჯები გადადგას?

— სამწუხაროდ, ამჟამად, ძალიან რთული პოლიტიკური სიტუაციის მომსწრენი ვართ. რუსეთმა თავისი ეკონომიკური პროექტებით ბევრი ევროპული ქვეყანა „ჯიბეში ჩაისვა“. ახალი გაზსადენის მშენებლობის პროექტთან ევროკავშირის ბევრ ქვეყანას პირდაპირი ბიზნესინტერესი აქვს, რის გამოც, საქართველოს ყველამ უღალატა. ამიტომ გაჩერდა „ნაბუქოს“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ყაზახეთიდან ამიერკავკასიისა და თურქეთის გავლით ევროპაში გაზის მიწოდების ალტერნატიული ვარიანტის მშენებლობას. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა ამ პროექტს ეწინააღმდეგება, რადგან რუსეთმა ისინი სამხრეთ ნაკადში ჩააბა და ამიტომაც არ უჭერენ მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. რუსეთი ახლა ეკონომიკურად ისე ძლიერია, როგორც არასდროს და ძალიან ძნელია მასთან შეჭიდება. ის, ასევე, ძლიერია ხელისუფლების ვერტიკალში — წარმოადგენს აბსოლუტურად დიქტატორულ ქვეყანას, სადაც დასავლური დემოკრატიული ინსტიტუტების გავლენა მაქსიმალურად სუსტია. ამასთან, რუსეთი მაინც ცდილობს, რომ დასავლეთთან ითანამშრომლოს და საამისოდ მან ეკონომიკური პროექტები აირჩია. ნატოში საქართველოს ინტეგრაციის საკითხი მხოლოდ ვაჭრობის თემაა, რუსეთის რეალური პრეტენზია მსოფლიო ბატონობაზე „მილსადენების პოლიტიკაშია“. ყველა მილსადენი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე გადის, ან მომავალში გავა, მთლიანად მისი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, ან საერთოდ არ უნდა იქნას გაყვანილი. ჩვენ ორი გზა გვაქვს, ან მივცეთ გაზსადენის ბერკეტი რუსეთს და ვიყოთ ფორმალურად დამოუკიდებელი და რეალურად დამოკიდებული ამ ქვეყნის სპეცსამსახურებზე, ან ამერიკასთან ერთად ვიომოთ რუსეთის წინააღმდეგ იმ მსხვერპლით, რომელიც მოჰყვება თავისუფლებისთვის ბრძოლას. რომელს აირჩევს ერი, ეს თავად უნდა გადაწყვიტოს.

— ანუ, გამოსავალი პრაქტიკულად არ არსებობს და 2014 წლისთვის აფხაზეთის დაბრუნებაზე ოცნებაც აღარ შეგვეძლება?

— საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის განმავლობაში აფხაზეთის საკითხი ასე მწვავედ არასდროს მდგარა. 2014 წლამდე ან უკიდურესად გავამწვავებთ ვითარებას და რაღაც დათმობებს მივიღებთ, ან რეალურად აფხაზეთს დავკარგავთ. მას შემდეგ, რაც სოჭის ოლიმპიადის მეშვეობით აფხაზეთი ეკონომიკურად აყვავდება და ის დე ფაქტო რუსეთის ნაწილი გახდება, ჩვენ მას ვერასდროს ვეღარ დავიბრუნებთ.

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებას შორის „ჩატეხილი ხიდი“ უნდა აღდგეს

ინტერვიუ სამეურვეო საბჭოს წევრთან, პროფესორ მარინა ვეკუასთან

19 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ერთერთი წევრი, უნივერსიტეტის პროფესორი მარინა ვეკუა სტუმრობდა. შეხვედრა ერთობლივად დაიგეგმა, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სამეურვეო საბჭოს მიერ დასახული ამოცანების პროფესორებისთვის გაცნობას. ამერიკის შესწავლის ცენტრში მარინა ვეკუამ მათ სამეურვეო საბჭოს პრიორიტეტები გააცნო და ღია დისკუსიაში მონაწილეობის მიღება სთხოვა.

მეტი პროფესიონალიზმი! ტელევიზიაში ქართული მეტყველების კულტურაზე ყურადღების გამახვილება! სატელევიზიო დისკუსიებში საუნივერსიტეტო საზოგადოებიდან ექსპერტებად პროფესორების მიწვევა და მათი ხედვისა თუ მოსაზრებების წარმოჩენა! საგანმანათლებლო ხასიათის გადაცემების პროფესიონალურად კეთება! ეროვნული ფასეულობების პატივისცემა და ეროვნული ავტორიტეტების ეკრანზე გამოჩენა! — ეს გახლავთ ის დაკვეთა, რაც, საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებმა ქალბატონ მარინა ვეკუას გაანდეს.

საფიქრალი მართლაც ბევრია, რადგან ახალი საბჭოს საზოგადოებრივ არხზე მისვლა გადაცემებს უნდა დაეტყოს და, პირველ რიგში, ტელევიზია უნდა გათავისუფლდეს სახელისუფლო წრეების კონტროლისგან. სამეურვეო საბჭოს წევრებს ამის დიდი იმედი აქვთ, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ტელევიზიის გენერალურ დირექტორზეც, რომელიც საბჭოს მიერ დასახული ამოცანების ფაქტობრივი შემსრულებელი იქნება. „სამეურვეო საბჭოს წევრებს ხელფასი არ აქვთ... მაგრამ უმეტესობა უნივერსიტეტის პროფესორია, რომელთა გენეტიკურ კოდშიც უკვე დევს — ჯერ საქმე და შემდეგ ხელფასი“, — აღნიშნა პროფესორმა ანასტასია ზაქარიაძემ, რომელსაც საბჭოს წევრების პროფესიონალიზმის იმედი აქვს. ამერიკის შესწავლის ასოციაციის პრეზიდენტის ვასილ კაჭარავას აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ მაშინ დააღწევს თავს სახელისუფლო მარწუხებს, თუ მართლაც შეასრულებს იგი საზოგადოების დაკვეთას. ასეთი შეხვედრები კი სამეურვეო საბჭოს წევრებს ხალხის პოზიციების გაცნობაში დაეხმარება.

რატომ მივედით და რა შევცვალეთ დღემდე? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემით აპირებს მარინა ვეკუა საზოგადოების წარმომადგენლებთან დისკუსიების მოწყობას. მისი მოსაზრებები მან ჩვენთან ინტერვიუში გაგვიზიარა.

ნინო კაკულია

— ქალბატონო მარინა, დიდი ვნებათაღელვის შემდეგ საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი სამეურვეო საბჭო ჰყავს. თქვენ, როგორც ამ საბჭოს წევრი, როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრივი ტელევიზია თავს დააღწევს იმას, რომ სახელისუფლო არხად არ განიხილებოდეს? წარსულის იმიჯიც მას ხელს ხშირად უშლის ხოლმე, რომ საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს....

— წარსულში პირველი არხის იმიჯი შეიძლება ორნაირად განვიხილოთ: ერთის მხრივ, სავსებით ვიზიარებ იმას, რომ იგი ყველა დროში იდეოლოგიურ დატვირთვას ასრულებდა, თუმცა მეორე მხრივ, პირველი არხი მაინც ბრენდი იყო. მას საინტერესო პროგრამებიც ჰქონდა და კარგი წამყვანებიც ჰყავდა. მე ვიხსენებ არა მხოლოდ გუშინდელ დღეს, არამედ ისტორიასაც. ამ ტელევიზიიდან ბევრი კარგი რამ მახსოვს: მაგალითისათვის, თამარ ცაგარეიშვილის ორი არაჩვეულებრივი ციკლი „მათი შვილები“ და „მიამბეთ თქვენზე“ ტელეპუბლიკაციის კლასიკური ნიმუშები გახლდათ. ძალიან ბევრი მასალა დაცულია არქივებში, რასაც ჩვენი „ოქროს ფონდი“ ჰქვია და რისი გამოყენებაც და „გაცოცხლებაც“ აუცილებელია. ამით იმის თქმა მინდა, რომ პირველი არხი, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ იდეოლოგიის მატარებელი თუ გამომხატველი იყო, იმ სიტუაციასა და იმ პირობებშიც ახერხებდა საინტერესო გადაცემების გაკეთებას.

რაც შეეხება კითხვას, შევძლებთ თუ არა ახალი სამეურვეო საბჭოს წევრები არხის იმიჯის შეცვლას, ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ ჩვენი პროგრამებითა და ხედვით მივედით. მათ შეჯერებას ბევრი დრო მოვანდომეთ, რათა ყველა დეტალი და ყველა ნიუანსი გაგვთვალისწინებინა. პირველ რიგში, მაყურებლის ინტერესების დაკმაყოფილება მაქვს მხედველობაში. იმედია, ჩვენი ეს ერთსულოვნება შედეგს გამოიღებს. ყველას პრიორიტეტში გამოიკვეთა ერთი, რომ გვინდა მეტი და მეტი საგანმანათლებლო პროგრამები, შემეცნებითი ხასიათის გადაცემები, მეტი დინამიკა... ყველაფერს ფორმის მოძებნა უნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ჩვენი კომპეტენცია არ არის. იმედი მაქვს, რომ გენერალური დირექტორის შერჩევისას ჩვენ საზოგადოების მთელ რიგ მოთხოვნებს გავითვალისწინებთ.

რაც შეეხება იმ პრობლემას, გავთავისუფლდებით თუ არა კონტროლისგან, ვფიქრობ, რომ ჩვენ დავძლევთ ამას, რისი წინაპირობაც საბჭოს ერთსულოვნება, საერთო ხედვა და ინტერესები გახლავთ. საბჭო კომპეტენტური ადამიანებისგან არის შემდგარი და ყველას გვინდა ყურებადი საზოგადოებრივი ტელევიზიის გაკეთება. და, რაც ყველაზე მთავარია, უნდა აღდგეს ის „ჩატეხილი ხიდი“, რომელიც ამ ტელევიზიასა და საზოგადოებას შორის განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდმა გააჩინა.

— ხომ არ არის რადიკალური ცვლილებები საჭირო, რათა საზოგადოებამ მართლაც ირწმუნოს — რომ საზოგადოებრივი არხი მათი ინტერესების გამომხატველი გახდა?

— ცვლილებები დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება გენერალური დირექტორი. პოლიტიკას ჩვენ ვადგენთ, ის კი ამ პოლიტიკის გამტარებელია. ვთქვათ, მე შეიძლება დავუკვეთო ოთხკუთხედი მაგიდა, ის უნდა წავიდეს და იშოვოს ლურსმანი, მასალა, ხერხი და ა.შ. მაგრამ მან შეიძლება მომიტანოს სამკუთხედი მაგიდა და მითხრას, რომ ეს ოთხკუთხედ მაგიდაზე უკეთესია. ასე რომ, შესრულება მის ნებაზეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ შემოქმედებით პროცესს, დასაწყისში მაინც, ერთად უნდა შევებათ. სხვათა შორის, სატელევიზიო ბადეს რომ გადახედოთ, დასაწუნი თითქოსდა არაფერია. წაიკითხავ პროგრამას და იტყვი: რამდენი გადაცემა მზადდება, რა მრავალფეროვანია, მაგრამ რაღაც მაინც აკლია. უფრო მიმზიდველი რომ გახდეს ეს გადაცემები, ალბათ უფრო მეტი პროფესიონალიზმია საჭირო. მე, ამ შემთხვევაში, ვსაუბრობ როგორც ჟურნალისტი.

— აშკარად ჩანდა ხოლმე ტენდენცია, რომ ოპოზიციიდან რადიკალურად განწყობილი რესპოდენტი არ დაეპირისპირებინათ ხელისუფლების წარმომადგენლისთვის, რომელსაც ეთერში თითქოსდა დებატებისთვის იწვევდნენ...

— მეტსაც გეტყვით, რიგ შემთხვევაში აზრის მონოპოლიზაციაც ხდებოდა. ეკრანზე ერთი და იგივე სახეები მუდმივად ჩნდებოდნენ და საუბრობდნენ, პოლიტიკა იყო ეს თუ არა. ამდენად, გადაცემა ინტერესს კარგავდა. საზოგადოებას სხვა ექსპერტების აზრის მოსმენაც უნდა. ჩვენს გვერდით ბევრი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს და მათი შეხედულებაც საინტერესოა. ამ მრავალფეროვნებას და მრავალმხრივობას საზოგადოებრივი მაუწყებელი ნამდვილად მოკლებული იყო და ამიტომაც გახდა ტენდენციური.

სამეურვეო საბჭომ უკვე ღიად გამოაცხადა თავისი პრიორიტეტები. ჩვენ ამ გაწერილი პროექტით ვხდებით საზოგადოებას და ვცდილობთ, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები. დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან, მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან...

ჩემთვის მოულოდნელი რა არის იცით? განათლებით ეკონომისტი არ ვარ და, ალბათ, ამიტომაც ძალიან გამიკვირდა, რომ სადღაც ერთი მესამედი ბიუჯეტისა პროგრამირებაზე იხარჯება, დანარჩენი ხმარდება ტელევიზიის განვითარებას — მხედველობაში მაქვს ტექნიკა და სიგნალის გავრცელება. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მართლაც ბევრი რამ შეიძინა, მაგრამ ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიის ძალიან პატარა ნაწილს ფარავს. მაგალითად, კახეთი და მაღალმთიანი რაიონები საზოგადოებრივ არხს ვერ იჭერენ.

— საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვეღა დარჩა. პოლიტიკური ოპოზიცია სწორედ ამ არჩევნებისთვის ითხოვდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის რეფორმირებას. თუ მოასწრებთ მანამდე იმის განხორციელებას, რაც დაგეგმილი აქვს ახალ სამეურვეო საბჭოს?

— გენერალური დირექტორის მოსვლისთანავე ტექნიკური და მატერიალური შესაძლებლობების ფარგლებში დავიწყებთ მუშაობას სამი მიმართულებით, რაც ჩვენს პრიორიტეტებშიც ასახულია — ეს არის საგანმანათლებლო-შემეცნებითი, ინფორმაციული და გასართობი ხასიათის გადაცემების მომზადება. მაყურებელმა ტყუილად ხომ არ აგვირჩია... ჩვენ იმისთვის ვართ იქ მისულები, რომ რაღაცები შეიცვალოს. მაყურებელს არ აინტერესებს ანძას სად და როდის დადგამ, მათ უნდათ სიახლე და შედეგი. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ — მათ მოლოდინს და მოთხოვნებს ვუპასუხოთ.

— თქვენი აზრით, უნივერსიტეტი თუ ამზადებს პროფესიონალ ტელეჟურნალისტებს?

— ჩვენ გარკვეული პირობები გვაიძულებს, რომ ნებისმიერ სპეციალობაში დიდ ჯგუფებთან ვიმუშაოთ. რაოდენობა, სამწუხაროდ, ცუდად მოქმედებს ხარისხზე. ჩვენს ფაკულტეტს სულ ორი კამერა აქვს და ვამზადებთ 200-ზე მეტ სტუდენტს. რანაირად შეიძლება ის კარგი დადგეს, თუ ბევრჯერ არ გადაიღო, თავისი სიუჟეტი ბევრჯერ არ განიხილა, რისი საშუალებაც არ არის. ტექნიკური ბაზა არ გვაქვს.

სულ ახლო წარსულში სტუდენტები მიჰყავდათ მე-2 კურსიდან. ეს არ არის გამართლებული, ვინაიდან მათ ვერ მოასწრეს სწავლა, არც ზოგადი განათლება ჰქონდათ მიღებული, არც გამოცდილება და ასე მოუმზადებელნი მივიდნენ არხზე. ტელევიზიებში კი მათთვის არ სცალიათ, რომ ასწავლონ, შეგირდად დაიყენონ და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ უხარისხო კადრი.

ვთვლი, რომ მუდმივად უნდა ვიზრუნოთ ჟურნალისტების პროფესიულ ზრდაზე, სხვანაირად სიტუაციას ვერ შევცვლით. იგივე საზოგადოებრივ მაუწყებელში სტუდენტის სტაჟირების გავლა უნდა იყოს ძალიან დიდი პრივილეგია. ვთქვათ არის 25 კაციანი ჯგუფი, იქიდანაც საუკეთესო ორი ან სამი სტუდენტი უნდა გავგზავნოთ სხვადასხვა ტელევიზიებში სტაჟირებაზე.

— რამდენად შესაძლებელია შეფარვით თუ შეპარვით კვლავ ცენზურის პირობებში მოგიწიოთ მუშაობა და რას მოიმოქმედებთ ასეთ შემთხვევაში?

— მინდა გითხრათ, რომ თუ მე იქიდან წამოვედი, ე.ი. ეს მოხდა.

ჩვენ თუ მაუწყებლის შესახებ კანონს დავეყრდნობით, რომელიც გვეუბნება, რომ ტელევიზია უნდა იყოს დამოუკიდებელი (სარედაქციო დამოუკიდებლობა მაქვს მხედველობაში), უნდა იყოს თავისუფალი, უნდა გამოხატავდეს სხვადასხვა მოსაზრებას... მაშინ რატომ უნდა შეიზღუდოს?

— სამეცნიერო ტიპის გადაცემების გაკეთებას თუ გეგმავთ? მეცნიერების მხრიდან ხშირად ისმის პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ ექსპერტებად მეცნიერებს არ იწვევენ ტელევიზიებში ამა თუ იმ პრობლემის უფრო კომპეტენტურად წარმოჩენისთვის, ასევე ნაკლებად არის სამეცნიერო ხასიათის გადაცემები...

— საზოგადოებრივი მაუწყებლის და, ზოგადად, ტელევიზიის დანიშნულებაზე უკვე მოგახსენეთ, რომ არის სამი ძირითადი მიმართულება. მეცნიერების პოპულარიზაცია სამივე მიმართულებაში შეიძლება ჩაიდოს. სხვათა შორის, ჟურნალისტური გამოცდილება პირველად ტელევიზიაში შევიძინე, როდესაც სამეცნიერო რედაქციაში ვმუშაობდი. ასე რომ, ეს არ არის ჩემთვის უცხო.

ამის გარდა, ინტერნეტში გვაქვს გახსნილი ყველანაირი საშუალება, რათა ადამიანებმა თავიანთი აზრების გაზიარება შეძლონ — მათგან ჩვენ ეს ინტერაქტიული მეთოდით უნდა გავიგოთ. თუმცა ის კი ცხადია, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ იაფფასიან პროდუქციაზე, თუ ასეთი გამოჩნდება, ან საპნის ოპერებზე და ა.შ.

— ტელესერიალების წინააღმდეგი ხართ?

— არა, საპნის ოპერების! კარგ სერიალს სიამოვნებით ვუყურებ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მოყვარული არ ვარ. კარგი სერიალი გასართობიც არის და შემეცნებითიც. საპნის ოპერები კი... მესმის, რომ მასაც ჰყავთ თავისი მაყურებლები, მაგრამ იგი არ უნდა გადიოდეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ჩვენ მაღალი გემოვნება უნდა დავამკვიდროთ. ვისაც ძალიან უყვარს საპნის ოპერები, უყუროს სხვა არხს.

— რამდენად წარმოგიდგენიათ საუნივერსიტეტო ცხოვრების ასახვა საზოგადოებრივ არხზე და თუ გიფიქრიათ ამაზე?

— მიფიქრია, ოღონდ კონკრეტულად როგორ, ვერ გეტყვით. ჩვენს სამოქმედო გეგმაში გვიდევს ქვეყნის პრიორიტეტების პოპულარიზაცია. საუნივერსიტეტო და, ზოგადად, განათლება სამაუწყებლო ბადეში თავის ადგილს მონახავს. საუნივერსიტეტო საზოგადოების აზრის პოპულარიზაციასაც ფორმის მოძებნა უნდა.

— კერძო ტელეკომპანიებში არხის მესაკუთრე განსაზღვრავს არხის პოლიტიკას. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრივი არხის გენერალური დირექტორი მართლაც შეასრულებს საზოგადოების დაკვეთას?

— თუ არ შეასრულებს, ჩვენ გვაქვს უფლება, რომ მოვიწვიოთ, ვკითხოთ ამის შესახებ და თუ ჩვენ ვერ მივიღებთ ამის თაობაზე ახსნა-განმარტებას, მაშინ ჩვენ დავემშვიდობებით გენერალურ დირექტორს და გამოვაცხადებთ ახალ კონკურსს. ამის უფლება გვაქვს.

— მოგეხსენებათ, რომ სულ ახლო წარსულში პარტიების მომსახურე ტელევიზიებად დაიყო მთელი ტელესივრცე, რამაც ობიექტურ ჟურნალისტიკას საფრთხე შეუქმნა. საზოგადოებრივი მაუწყებელი იქნება თუ არა მაგალითის მიმცემი სხვა ტელევიზიებისთვის?

— ეს აუცილებლად უნდა იტვირთოს ამ არხმა და მეტიც... ბევრჯერ მიფიქრია, რომ ზუსტად ამ არხმა უნდა შეძლოს — ადამიანები მოაქციოს ისეთ კულტურულ-ცივილიზებულ ჩარჩოში, სადაც მტრულად არ შეხედავენ მოწინააღმდეგის აზრსა და პოზიციას. ტელევიზია არ არის ის ადგილი, რომ პოლიტიკამ მას თავისი თამაშის წესები დაუკვეთოს.

— თქვენ რეალურად გესახებათ ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკოსების დისკუსიის ისე წარმართვა, რომ ყველამ შეძლოს თავისი აზრის ნორმალურად გამოთქმა ჩხუბისა და დავიდარების გარეშე? მაგალითად, ინგა გრიგოლიას გადაცემაში მაყურებელი არგუმენტებს ხშირად ვერ ისმენს ხელჩართული ბრძოლის გამო...

— სამწუხაროდ, ეს არის პოლიტიკური დებატებისას კულტურის უქონლობა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაგალითი ყველას აჩვენოს, მით უმეტეს, რომ საპარლამენტო არჩევნები მოდის. რატომ არ შეიძლება, კონკურენტებიდან დამარცხებული გამარჯვებულს ღირსეულად ართმევდეს ხელს. მინდა, ჩემს ქვეყანას ვუსურვო მსგავსი აზროვნების დამკვიდრება, ხოლო ტელევიზია უნდა იყოს ის სარკე, სადაც ეს ყველაფერი აისახება.

„მეცნიერებას, პირველ რიგში, აზროვნების სითამამე სჭირდება“

76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა დაჯილდოება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ 13 მარტს 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე 150-მდე ნომინანტს საპატიო დიპლომები საზეიმოდ გადასცა. მათ ნაშრომებს, ერთ წიგნად დაბეჭდილს, ფართო საზოგადოება მალე იხილავს.

ხათუნა ხატიაშვილი

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 2007 წლის გაზაფხულზე თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა. საზოგადოების თავმჯდომარის ტარიელ კვიციანის განცხადებით, ყველა ფაკულტეტზე დარგობრივი სექციებისა და პროფესორ-მასწავლებლებისგან ჟიურის 38 წევრიანმა შემადგენლობამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად 766 სტუდენტი შეარჩია, შედეგების შეჯამების შემდეგ კი, საუკეთესო ნაშრომების ავტორები გამოავლინა. საპატიო დიპლომებიც სწორედ ამავე ჟიურის მიერ საუკეთესო ავტორებად გამოვლენილ სტუდენტებს ხვდათ წილად.

როგორც დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე აღინიშნა, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ — ფართო საზოგადოების წინაშე წარმოაჩინონ სწავლის პერიოდში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

სამეცნიერო ცხოვრებაში სტუდენტების აქტიურად ჩართვას უნივერსიტეტის თანამედროვე ცხოვრების პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა. სწორედ ამ მიზნით, უკვე მეორე წელია, სპეციალურად შექმნილი 100 ათასი ლარის ბიუჯეტის მქონე ფონდი ფუნქციონირებს, რომელიც საუნივერსიტეტო დაფინანსების პირობებში მცირე თანხას არ წარმოადგენს. რექტორის თქმით, ფონდის ძირითადი არსი არის ის, რომ სტუდენტებისთვის სტიპენდიურ წახალისებას ჰქონდეს არა სოციალური სახე, არამედ ის იყოს ყველანაირი აქტივობის ერთერთი ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც მეცნიერებას უკავშირდება.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობის მხრიდან უნივერსიტეტის მაგისტრანტი და დოქტორანტი სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურად ჩართვისკენ გადადგმულ ნაბიჯად სახელდება აკადემიური პერსონალის სახელფასო დანამატებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმებიც. რექტორის თქმით, პროფესორ-მასწავლებლებზე გასაცემი სახელფასო დანამატების ოდენობის დადგენისას ცალკე პუნქტია გათვალისწინებული, რომელიც აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კვლევის სფეროში სტუდენტების აქტიურად ჩართვას ავალდებულებს. „სამეცნიერო სფეროში პრობლემები ბევრია, მაგრამ რეალურად იგრძნობა, რომ მეცნიერება ნაბიჯ-ნაბიჯ იბრუნებს პრესტიჟს, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, სამწუხარო გარემოებების მიზეზით დაიკარგა. დღეს, რეალურად, ჩვენი პროფესორის სახელფასო ანაზღაურება თითქმის გატოლებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების მაღალი დონის პროფესორის ხელფასთან. ვფიქრობ, ეს ფაქტი ახალგაზრდებისთვის ცუდი მოტივაცია არ უნდა იყოს საიმისოდ, რათა მათ საკუთარი კარიერა სამომავლოდ უნივერსიტეტს და მეცნიერებას დაუკავშირონ. უახლოეს წლებში ჩვენ გვექნება ევროპული ინფრასტრუქტურის უნივერსიტეტი და ეს, პირველ რიგში, სამეცნიერო კვლევების საშუალებებს ეხება“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ახალგაზრდა მეცნიერებისთვის დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე რექტორმა გააჟღერა ახალი ინიციატივა, რომელიც ბანკი „ქართუ“-ს მხრიდან უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სფეროში ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს. კერძოდ, „ქართუ“ მზად არის, გამოყოს რამდენიმე მილიონი ლარი, რომელიც უცხოური წიგნების თარგმნას მოხმარდება, ასევე შეიძენენ უცხოენოვან ლიტერატურას და მათ თსუ-ის ბიბლიოთეკებში განათავსებენ.

„რაც მეტი სახელმძღვანელო და სამეცნიერო კვლევებისთვის საჭირო ინტელექტუალური ბაზა ექნება უნივერსიტეტს, უკეთესი გარემო შეიქმნება საიმისოდ, რომ სტუდენტების მსგავსი წარმატებების მომსწრენი ხშირად გავხდეთ. სამეცნიერო საქმიანობა არ არის ერთჯერადი ღონისძიება, მის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. მეცნიერებას, პირველ რიგში, აზროვნების სითამამე სჭირდება. თავისუფალი აზროვნება კი ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობაშია წარმოჩენილი. უნივერსიტეტი იმის მოლოდინშია, რომ მომავალი წარმატებები ძველი ფასეულობების ღირსეული გაგრძელება იქნება“, — თქვა რექტორმა.

თსუ-ის სამეცნიერო ცხოვრებაში ბოლო წლებში სტუდენტების მონაწილეობის ინტერესის გაზრდას მნიშვნელოვან მოვლენად აფასებს პროფესორი რისმაგ გორდეზიანი. მისი აზრით, უნივერსიტეტში მოქმედმა ინსტიტუტებმა, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ძალებით გამოსცენ სტუდენტების შრომები, უნდა გაზარდონ გამოცემის პერიოდულობა, რადგან ნაშრომების ბეჭდვის არსებული სიხშირე სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის სტიმულირებისთვის საკმარისი არ არის.

პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან საინტერესო ინიციატივების წამოჭრისას ითქვა ისიც, რომ ახალგაზრდების სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საინტერესო ტრადიციები აქვს, რომლის აღდგენაც ურიგო არ იქნება. კერძოდ, ცნობილია, რომ ათწლეულების წინათ, საუნივერსიტეტო კონფერენციებზე დასასწრებად და მასში მონაწილეობის მისაღებად ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის სოციალისტური ქვეყნების უნივერსიტეტებიდან, ყოველწლიურად, თბილისში, 100-მდე სტუდენტი ჩამოდიოდა.

რისმაგ გორდეზიანის თქმით, ამგვარი ურთიერთობები მაშინაც მეტად ეფექტური იყო და მით უმეტეს დღეს, როცა თსუ-ის საუკეთესო საერთაშორისო კონტაქტები გააჩნია, ხოლო ამ ტრადიციის აღდგენა გაცილებით ეფექტური და შედეგიანი იქნება.

თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება ახლო მომავალში აპირებს, შეუდგეს პერიოდული ბიულეტენების გამოცემას, რომლითაც უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა ცნობილი გახდება.

გერმანიის კათოლიკური აკადემიის გაცვლის სამსახურის ფონდი სტუდენტებს გერმანიაში გასამგზავრებლად ფინანსურ დახმარებას სთავაზობს

გერმანიის კათოლიკური აკადემიის გაცვლის სამსახურის ფონდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის მსურველ სტუდენტებს გერმანიაში გასამგ ზავრებლად ფინანსურ დახმარებას სთავა ზობს.

აღნიშნული ფონდის წარმომადგენლობამ 17 მარტს სტუდენტებთან შეხვედრა გამართა და სტიპენდიების მოპოვებისთვის საჭირო კრიტერიუმები გააცნო.

ხათუნა ხატიაშვილი

როგორც შეხვედრაზე ითქვა, გერმანიის კათოლიკური აკადემიის გაცვლითი სამსახური თავის საქველმოქმედო საქმიანობას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ხანია ახორციელებს, ხოლო საქართველოში ამგვარი ფონდი ცოტა ხნის წინათ ამოქმედდა. იმისათვის, რომ ქართული აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა გერმანიაში საქმიანობის განხორციელება შეძლონ, ფონდი უმაღლეს სასწავლებლებში ინტენსიურ შეხვედრებს აწყობს და ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით, დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებს მართავს.

ამ სამსახურის ეგიდით, თსუ-ში გერმანიის საელჩოს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში კრისტიან პერნ ჰოოსტმა სტუდენტებთან შეხვედრისას თემატური ლექცია წაიკითხა და საქართველოში გერმანელების მოღვაწეობის ისტორიულ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება. ორი ქვეყნის თანამედროვე პარტნიორული ურთიერთობის საკითხებზე არანაკლებ საინტერესოა საქართველოში გერმანელების ჩამოსახლებისა და კავკასიაში მათი მოღვაწეობის დეტალები. კრისტიან პერნ ჰოოსტის თქმით, გერმანელებისა და ქართველების ურთიერთობაში დღევანდელი წარმატებულობის წინაპირობა სწორედ ისტორიის იმ მონაკვეთიდან იღებს სათავეს, როცა 1818 წელს კოლონიზატორების მიერ შევიწროებული 500-მდე გერმანული ოჯახი კავკასიაში გამოჩნდა და თავშესაფარი საქართველოში ჰპოვა. კულტურულ სფეროში ერთობლივი მოღვაწეობის თვალსაჩინო მაგალითად კი მან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა დაასახელა, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანელი არქიტექტორის მიერ აშენდა და ხანძრის შედეგად საჭირო რეაბილიტაციაც კვლავ გერმანელი სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდა. გერმანელების მხრიდან საქართველოს ყველა ასპექტით გაცნობის მუდმივ ინტერესს, დიპლომატის განმარტებით, ადასტურებს ის, რომ პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, 250-მდე გერმანიის მოქალაქე, ამჟამად, საქართველოში ცხოვრობს, ამ ქვეყნის გაცნობის მიზნით ყოველწლიურად ჩამოსულ უცხოელებს შორის კი გერმანელების რიცხვი მუდმივად ყველას აჭარბებს.

გერმანიის ამგვარი დაინტერესება საქართველოსადმი თანამედროვეობაში აისახება ყველა დონის ურთიერთობაში და აქედან გამომდინარე, გერმანიის კათოლიკური აკადემიის გაცვლის სამსახური მიიჩნევს, რომ ამგვარი დაინტერესება ცალმხრივი არ უნდა იყოს. ორმხრივი კონტაქტების არსებულზე მეტად გაღრმავების მიზნით, ფინანსური ხელშეწყობის გარდა, აღნიშნული ფონდის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ ქვეყნის რეგიონებს, ხვდებიან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს და სტუმრობენ საგანამანათლებლო სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს, სადაც გაცნობითი სახის სემინარებს მართავენ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პირადად კრისტიან პერნ ჰოოსტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შარშანაც სტუმრობდა და სტუდენტებს გაერთიანებული ევროპისა და ამ ჭრილში საქართველოს პერსპექტივებზე ესაუბრა.

„ადამიანი ენობრივი არსებაა და იგი მისი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს“

ჰუმანიტარული ფაკულტეტის „ნორჩთა სკოლის“ პრეზენტაცია

შურთხია გეროშვილი

15 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საბავშვო უნივერსიტეტის" ფარგლებში გამართულმა ჰუმანიტარული ფაკულტეტის „ნორჩთა სკოლის“ პრეზენტაციამ, რომელსაც თბილისის და რუსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ, სრული ანშლაგით ჩაიარა.

როგორც ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, სკოლის მიზანია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელები აზიაროს უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოს, ტრადიციებს, ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიღწევებს; მოსწავლეებს გაუღვივოს ინტერესი მეცნიერებისადმი, ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი კვლევისა და მუშაობის უნარი, მისცეს სათანადო ცოდნა და გააცნოს ფილოლოგიურ მეცნიერებათა საფუძვლები, რაც კიდევ უფრო გაუფართოებს ზოგადჰუმანიტარულ თვალსანიერს და უთუოდ დაეხმარება მათ მომავალი პროფესიის არჩევანში.

დარეჯან თვალთვაძის ინფორმაციით, ,,ნორჩთა სკოლა" მიზნად ისახავს, მოამზადოს მოსწავლეები მომავალში უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ჩართვისთვის, რათა არ გაუჭირდეთ თანამედროვე, საუნივერსიტეტო სწავლებაში ინტეგრაცია. მისი თქმით, „ნორჩთა სკოლაში“ მოსწავლეები მიიღებენ ზოგად ჰუმანიტარულ განათლებას და, ასევე, ზოგადად, შეისწავლიან წერის, უცნობი ტექსტის გააზრებისა და დამუშავების ტექნიკას, რიტორიკის საფუძვლებს, რაც აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის თანამედროვე კონკურენტულ გარემოში.

მისივე განცხადებით, „ნორჩთა სკოლის“ მოსწავლედ ჩაითვლება რეგისტრაციაგავლილი ნებისმიერი მსურველი, რომელიც რეგულარულად დაესწრება ლექციებსა და სემინარებს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სწავლის პროცესში. სასწავლო წლის ბოლოს კურსდამთავრებულებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით გადაეცემათ ნორჩ ფილოლოგთა სკოლის დამთავრების მოწმობა.

სკოლაში სალექციო კურსებს წაიკითხავენ და სემინარებს წაიყვანენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორები, დოქტორანტები და მაგისტრანტები. სკოლა გეგმავს საქართველოს მუზეუმებში ექსკურსიების, ექსპედიციებისა და ყოველწლიური კონფერენციის ორგანიზებას, რომელშიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სკოლის კურსდამთავრებულები. გაიცემა ჯილდოები და მოწმობები.

მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ ისარგებლონ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკით.

პირველი ლექცია, რომელიც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა, უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა წაიკითხა. ენათმეცნიერის მიერ შერჩეული თემატიკა — „ადამიანი, როგორც ენობრივი არსება“, როგორც აღმოჩნდა, ზუსტად და სწორად იყო შერჩეული, რაზეც დარბაზში მყოფი რვაასამდე მოსწავლის რეაქციაც მოწმობდა.

მიხეილ ქურდიანი შეეცადა ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე აეხსნა, რა განსხვავებაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის. მისი აზრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები იმ სამყაროს სწავლობენ, რომელიც უფლის მიერ დამოუკიდებლად შეიქმნა, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებები სწავლობენ იმას, რაც ადამიანმა შექმნა. პროფესორმა მოსწავლეებს აუხსნა, თუ რას წარმოადგენს ადამიანი ამ მეცნიერებების თვალთახედვით.

მიხეილ ქუდიანის განმარტებით, ადამიანი ენობრივი არსებაა და იგი მისი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს. სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად აღიქვამს სამყაროს და თუ ერთი ენა დაიკარგა, დაიკარგება სრულყოფილი ცოდნა სამყაროს შესახებ. ამიტომ ვალდებულნი ვართ, გავუფრთხილდეთ ყველა ენას. უკანასკნელი მონაცემებით, არსებობს ენა, რომელზეც მხოლოდ ორასორმოცდაათი ადამიანიღა ლაპარაკობს, მაგრამ კაცობრიობას მისი მოსპობით სამყაროს შესახებ ცოდნა დააკლდება.

არსებობს მოსაზრება, რომ კაცობრიობის დაყოფა ერებად სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის დაყოფა ენებად. თუმცა ეს არასწორი მოსაზრებაა.

ჩვენ, ქართველები, მართალია, ოთხ დიალექტზე ვლაპარაკობთ, მაგრამ საბოლოოდ სალიტერატურო ენაზე ვახდენთ ორიენტირებას.

ძველი წელთაღრიცხვით 284 წელს ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა და ეს მეფე ფარნავაზის დამსახურებაა. მართალია, იგი 303 წელს გამეფდა, მაგრამ დიდი დრო დასჭირდა, რომ ქართველები ერთ ერად ვექციეთ.

მიხეილ ქურდიანი მარტივი მაგალითების მოშველიებით შეეცადა აეხსნა ბავშვებისთვის, რა არის სახელმწიფოებრიობა.

„ინდაური, რომელიც დარბის ეზოში, ხახვი, რომელიც იზრდება ბოსტანში, კაკალი, რომელიც აბია ხეს, წიწაკა, რომელიც იზრდება ქოთანში, ზაფრანა, რომელიც კიდია აივნის ბოძზე, უცხო სუნელი, რომელიც ხმება სხვენზე, მარილი, რომელიც ინახება განჯინაში და წყალი, რომელიც არის ჭაში — ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს არის საცივი. საცივს იმ შემთხვევაში მივიღებთ, როდესაც ამ ყველაფერს ერთ ქვაბში მოვათავსებთ. ასევეა ერიც — თუ იგი ერთი სახელმწიფოს ქვაბში და ერთი ერის წვენში არ მოიხარშა, ერად ვერ ჩამოყალიბდება. აი, ასეთი სახელმწიფო შეგვიქმნა ფარნავაზმა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებით. მას შემდეგ ქართველები გვქვია და ჩვენი დაშლა შეუძლებელია. ამ ენაზე დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, ამ ენაზე ითარგმნა „ბიბლია“, ამ ენაზე წერდნენ ვაჟა და გალაკტიონი," — აღნიშნა მან.

პროფესორმა სკოლის მოსწავლეებს თამაშით შესთავაზა ენის უნიკალურობისა და მისი განვითარების მაგალითებიც. ბავშვები ძალიან გაამხიარულა „დროთა აღრევის“ თამაშმა: „წარმოიდგინეთ, რომ მეზობელი აკაკუნებს კარზე და გეუბნებათ: 3 მარტისთვის მეუღლეს საჩუქარი მოვუმზადე და თუ შეიძლება ცხედარს თქვენთან დავმალავ! — თქვენ გგონიათ, რომ კრიმინალურ ისტორიაში გაებით? — არა, უბრალოდ ის მეთორმეტე საუკუნის ადამიანია და ტახტის შენახვას გთხოვთ, რადგან იმ დროში სწორედ ასე ერქვა ამ ნივთს".

მიხეილ ქურდიანმა ასევე „ბავშვურად“ ახსნა რას ნიშნავს სახელმწიფოებრიობა: მისი თქმით, თუ ეთნოსისთვის აუცილებელია სისხლით ნათესაობა, ერისთვის მთავარია ერთი ენა და ერთი სახელმწიფო. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა არც გვარს, არც თვალების და კანის ფერს, არამედ მნიშვნელობა აქვს საკუთარი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრებას.

„ნორჩთა სკოლის“ პრეზენტაციაზე მოსული პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტთან კავშირი მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში დაეხმარება.

რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგის მანანა წერეთლის აზრით, მომავალი თაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფასეულობებთან მიახლოება, რომელიც უნივერსიტეტშია შენარჩუნებული.

თბილისის 165-ე სკოლის ფიზიკის პედაგოგის მანანა ინჯიას თქმით, უძრაობის წლებში უნივერსიტეტსა და სკოლებს შორის კავშირი თითქმის შეწყვეტილი იყო, ახლა კი „საბავშვო უნივერსიტეტი“ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალგაზრდების აზროვნების სწორად ჩამოყალიბებაში.

ემოციებს ვერ ფარავდა რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი თინათინ რიჟამაძეც:

„უნივერსიტეტი ოცდახუთი წლის წინ დავამთავრე, აქ მოსულს ყოველთვის წარსული მახსენებს თავს. მახსენდება სტუდენტობა, ახალგაზრდული წლები. დღესაც სიყვარულით და კრძალვით ვიხსენებ ჩემს საყვარელ ლექტორებს: გრიგერ ფარულავას, რევაზ სირაძეს, მზექალა შანიძეს, მარიამ ლორთქიფანიძეს, ნათელა ქუთელიას, დავით გეწაძეს... ბედნიერი ვარ, რომ დღეს უნივერსიტეტში ჩემს მოწაფეებთან ერთად მოვედი. ისინი ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც აქ ისწავლიან.

ძალიან საინტერესო ლექცია მოვისმინეთ. ჩემი ბავშვების სახელით მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს ასეთი საინტერესო წამოწყებისთვის. მიმაჩნია, რომ „საბავშვო უნივერსიტეტის“ როლი მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აზროვნების ჩამოყალიბებაში“, — აღნიშნა თინათინ რიჟამაძემ.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე სკოლის მოსწავლეებთან პირველ საინფორმაციო შეხვედრას დადებითად აფასებს და თვლის, რომ „ნორჩთა სკოლა“ მოსწავლეების იმედს გაამართლებს.

„რა გრძნობაც პირველად დამეუფლა, ეს იყო გაოცება და სიხარული! — სააქტო დარბაზის იარუსებიც კი ბავშვებით იყო სავსე. ჩვენს ფაკულტეტზე რამდენიმე მიმართულებაა და, ამდენად, მომავალში ფართომასშტაბიანი ღონისძიებებია დაგეგმილი. თითოეულ მიმართულებას თავისი კონსულტანტი პროფესორი ეყოლება. ჯგუფების შექმნის დროს, ჩვენ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ ბავშვების შესაძლებლობებს. ბატონი მიხეილ ქურდიანის ლექციამ მოსწავლეები აღაფრთოვანა, იმედი გვაქვს, რომ ასეთივე საინტერესო იქნება სხვა ლექციებიც“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

„ნორჩთა სკოლის“ კოორდინატორის გიული შაბაშვილის ინფორმაციით, ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები მაქსიმალურად ინფორმაციული და ინტერაქტიული იქნება, მოსწავლეები მიიღებენ როგორც ზოგად განათლებას, ასევე, შეიძენენ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს. მისი აზრით, ამ სკოლაში სწავლით ისინი თავიდანვე შეეჩვევიან საუნივერსიტეტო აკადემიურ სივრცეს, რაც შემდგომში პოფესიის არჩევანსაც გაუადვილებთ.

სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას განსაკუთრებით ღელავდა პროფესორი მიხეილ ქურდიანი, თუმცა საბოლოოდ — ექსპერიმენტმა გაამართლა!

„თავიდანვე დაიგეგმა, რომ საჯარო ლექციები ყველა დარგში წაკითხულიყო. ენათმეცნიერების წარმოდგენა მე დამევალა. რა თქმა უნდა, არ არის ადვილი, სკოლის მოსწავლეებს აუხსნა ამ მეცნიერების ძირითადი პრინციპები, რადგან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის ენათმეცნიერება განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩევა და არც ისე ადვილი აღსაქმელია. გარკვეულწილად, მათთან ურთიერთობაში ჩემს შვილებთან მიღებული გამოცდილება გავითვალისწინე“, — აღნიშნა მიხეილ ქურდიანმა.

გიული შაბაშვილის ინფორმაციით, რეგისტარაციის შემდეგ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან საბავშვო უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ლექცია თემაზე „თანამედროვე წარმოდგენები სამყაროს აგებულებაზე“

7 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორმა მერაბ გოგბერაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „თანამედროვე წარმოდგენები სამყაროს აგებულებაზე“.

მაია ტორაძე

ლექციას ესწრებოდნენ 21-ე, 42-ე, 24-ე, 195-ე, 199-ე, 145-ე, 98-ე და პირველი საჯარო სკოლების, ასევე, საერო სკოლა „ოპიზასა“ და სართიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეები და ფიზიკის მასწავლებლები.

ლექციის თემატიკა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. პროფესორმა მერაბ გოგბერაშვილმა ისაუბრა მანძილების მასშტაბებზე კოსმოლოგიაში, აინშტაინის გრავიტაციის თეორიაზე, მზის სისტემაზე, გალაქტიკის აგებულებაზე, სამყაროს შემადგენლობაზე, ბნელი ენერგიისა და ბნელი მატერიის რაობაზე, სამყაროს დაჩქარებული გაფართოების შესაძლო მიზეზებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე, რომელიც სამყაროს აგებულების თანამედროვე წარმოდგენებს შეეხებოდა.

ლექციის დასრულების შემდეგ პროფესორმა მერაბ გოგბერაშვილმა შეკითხვებს უპასუხა. მოსწავლეები დაინტერესდნენ, სადამდეა შესაძლებელი სამყაროს გაფართოება? რამ გამოიწვია დიდი აფეთქება? შესაძლებელია თუ არა სამყაროს გაფართოება შეჩერდეს და ისევ დაუბრუნდეს საწყის წერტილს? არის თუ არა მეცნიერულად დასაბუთებული სხვა ცივილიზაციების არსებობა? არსებობს თუ არა პარალელური განზომილებები? რა არის ბერმუდის სამკუთხედის იდუმალების მიზეზი?

მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ლექცია საინტერესოდ მიიჩნიეს. მათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ სკოლის მოსწავლეებთან ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს ფიზიკის, როგორც მეცნიერების პოპულარიზაციას.

მარინა ლაშხია, 145-ე საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი:

— სამწუხაროდ, ბოლო დროს სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დონემ იკლო. ჩემი აზრით, „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფორმატი გააღვივებს ამ მეცნიერებებისადმი ინტერესს, რაც მოსწავლის მიერ სპეციალობის არჩევის პროცესზეც მოახდენს გავლენას“.

ლალი ნადირაძე, პირველი საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი:

— ლექცია წარმატებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვები პოპულარულ ენაზე გაეცნენ მათთვის საინტერესო საკითხებს ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებაში, როგორიც ფიზიკაა.

მაქვს მცირე შენიშვნაც: ჩემი აზრით, საჭიროა მოსწავლეთა ასაკობრივი დიფერენცირება, რადგან დაბალი კლასების მოსწავლეები ძნელად გაიგებენ ისეთ რთულ საკითხებს, როგორიც დღეს იყო წარმოდგენილი.

მერაბ გოგბერაშვილი, თსუ-ის პროფესორი:

— ძალიან საინტერესო და აქტიური აუდიტორია გვყავდა.

ასეთი სახის ლექციები ემსახურება იმას, რომ ბავშვები მიხვდნენ — არსებობს გართობასა და პოლიტიკაზე უფრო საინტერესო სამყარო ფიზიკისა თუ სხვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სახით. მათ ეს ლექციები ინტერესის სფეროსა და სპეციალობის არჩევაშიც დაეხმარებათ.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე „საბავშვო უნივერსიტეტი“ მუშაობას აგრძელებს. 14 მარტს ფიზიკის მიმართულებაზე პროფესორმა ლერი ქურდაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „ელემენტარული ნაწილაკების სამყარო“; 24 მარტს კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებაზე პროფესორმა ალექსანდრე გამყრელიძემ წაიკითხა ლექცია „ალგორითმები და რაკურსია“.

ამერიკელი ექსპერტის დეივიდ რაილის ვიზიტი თსუ-ში

დღეს გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და განათლება ერთერთი ძირითადი რესურსია ქვეყნის პროგრესული განვითარებისთვის. განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, პროგრესული და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის. მართალია ქართული განათლება მდიდარია თავისი პედაგოგიური ტრადიციებით, მაგრამ სხვა წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება მას უფრო ეფექტურსა და ხარისხიანს გახდის.

ამ მხრივ საინტერესოა ამერიკული განათლების სისტემის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.

1991 წლის 18 აპრილს ჯორჯ ბუშმა განათლების რეფორმა — „ამერიკა 2000 განათლების სტრატეგია" წარმოადგინა, რომელიც მიზნად ისახავდა ამერიკის მსოფლიო ლიდერად, ეტალონად გადაქცევას. „განათლება — ეს არის გასაღები, რომელიც საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფს ამერიკის კონკურენტუნარიანობას" — ჯორჯ ბუშის ეს სიტყვები ნათლად წარმოაჩენს ამერიკელებისთვის განათლების არსსა და ფასს.

თამარ მარუაშვილი

19 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრა შედგა ამერიკელ ექსპერტთან, ფსიქოლოგიისა და განათლების დეპარტამენტის ემერიტუს პროფესორთან, რატგერსის უნივერსიტეტის დოქტორთან, ბატონ დეივიდ რაილთან, რომელმაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს გააცნო აშშ-ში განათლების, მეცნიერებების მდგომარეობა, მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების, პედაგოგიური სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ამერიკული მოდელი. ამერიკელი ექსპერტი მსმენელებს სხვა ბევრ საინტერესო საკითხზეც ესაუბრა. მან კონსულტაცია გაუწია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემდგომ სრულყოფასთან და მოსწავლეთა გადამზადების პროგრამასთან დაკავშირებით. ქართველმა კოლეგებმა მოისმინეს მისი მოსაზრებები და რჩევები სასწავლო პროგრამების კონცეფციებთან, სტრუქტურასთან, საგნების ჩამონათვალთან, სწავლის შედეგებთან მიმართებაში. მისი ვიზიტის შედეგად მომზადდება განათლების მეცნიერებების სრულიად ახალი, თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამსაფეხურიანი კურიკულუმი, რომელიც 2009 წელს განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს უნივერსიტეტის აკრედიტაციისთვის წარედგინება. ამერიკელ ექსპერტთან შეხვედრას უძღვებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირინე დარჩია, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელი ექსპერტის ვიზიტის მნიშვნელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

მისი თქმით, შემოთავაზებული კურიკულუმის მოდელი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი იქნება. ქალბატონმა ირინე დარჩიამ ექსპერტის მოწვევის ინიციატივისათვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას და ქალბატონ ეთერ ღვინერიას, რომლის დახმარებითაც ეს ვიზიტი შედგა.

ბატონმა დეივიდმა ისაუბრა განათლების ამერიკული მოდელის უპირატესობაზე, ხარისხსა და ეფექტურობაზე. ჩვენთვის საინტერესო იყო, თუ რას ფიქრობს იგი და რამდენად იცნობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს...

— ბატონო დეივიდ, ზოგადად მაინც თუ იცნობთ ქართული საგანმანათლებლო სისტემის მოდელს, მის ტრადიციებს და რა არის თქვენთვის ამ სისტემიდან მისაღები და რა დასახვეწი, მოსაწესრიგებელი?

— თქვენს ქვეყანას მეხუთედ ვსტუმრობ. პირველი ვიზიტი 1990 წელს შედგა. ძალიან კარგად ვიცნობ მის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს და აღფრთოვანებული ვარ ამ წეს-ჩვეულებებით. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ საქართველო არ კარგავს თავის ტრადიციებს და ამ ტრადიციების შენარჩუნებით ვითარდება.

ერთერთი აქტუალური საკითხი, რაზეც მინდა გესაუბროთ, ეს არის მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. მთელი 15 წელია ვმუშაობ განათლების სისტემაში. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. მათ თავიანთ დანიშნულებასა და მოვალეობებზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

იყო შემთხვევები, როცა ლექტორის სწავლების ხარისხის არასაკმარისი დონის გამო სტუდენტი ლექციას ტოვებდა. დადგა საკითხი, გაგვერკვია, რამდენად კვალიფიციურნი იყვნენ დაქირავებული მასწავლებლები და რამდენად მომზადებულნი — მათი სტუდენტები. ამის დასადგენად შევქმენით ხარისხის უზრუნველყოფის დამცავი სააგენტოები. დღეს მსგავსი პრობლემა საქართველოშიც დგას. მოგეხსენებათ, დამქირავებელი ითხოვს კვალიფიციურ, პროფესიონალ სპეციალისტს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკომისიის წარმომადგენლობითი სააგენტო და ხარისხის უზრუნველყოფის ადგილობრივი სამსახური.

საჭიროა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება, სწავლის პროცესი ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს, ყველა რესურსი უნდა გამოიყენოთ, რომ პროგრამები სტუდენტის ხარისხიან განათლებაზე იყოს ორიენტირებული — ბოლონიის დეკლარაციაც ხომ ამას ითვალისწინებს.

ამერიკაში მხოლოდ დოქტორანტს შეუძლია ასწავლოს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო მაგისტრს და ბაკალავრს თავისი ხარისხი უფლებას აძლევს, გახდეს სკოლის მასწავლებელი. თქვენთან სხვაგვარადაა. ქართული განათლების სისტემის მიხედვით, მხოლოდ მაგისტრს აქვს უფლება სკოლაში ასწავლოს. ამ ფაქტს მივესალმები, რადგან მაგისტრი თავისი განათლების დონით და ხარისხით მეტია, ვიდრე ბაკალავრი. შესაბამისად, მისი სწავლების მეთოდიც უფრო დახვეწილი და სრულყოფილია. ეს ძალიან კარგია, რადგან მოსწავლის მომზადების მაღალ დონეს უზრუნველყოფს..

— შემოთავაზებული ამერიკული სწავლების მოდელი იძლევა თუ არა იმის გარანტიას, რომ ქართული უნივერსიტეტი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებს უპასუხებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს სხვა ცნობილ უნივერსიტეტებს შორის?

– დიახ, გამოიკვეთა ტენდენციები, რომ დღეს თქვენს უნივერსიტეტში მუშავდება და აპრობაციას გადის მაღალი დონის სასწავლო პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების დონის სპეციალისტის მომზადებას. ეს ძალიან რთული პროცესია, მას ახლავს გარკვეული სიძნელეებიც... ბევრ ადამიანს არ მოსწონს სიახლეები და მტკივნეულად განიცდის ახალი ტენდენციების დამკვიდრებას. მაგრამ მჯერა, რომ ეს მოდელი აქ იმუშავებს და ყველა სიძნელე დაძლეული იქნება... კარგად გაწერილი კურიკულუმი გარანტიაა იმისა, რომ უნივერსიტეტი ჭეშმარიტად მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიან მასწავლებელს გაზრდის.

თსუ-ში სექტემბრიდან ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი ფუნქციონირებას დაიწყებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სექტემბრიდან ფუნქციონირებას დაიწყებს ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი, სადაც ინფორმატიკის მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტებს უმაღლესი განათლების ფრანგულად მიღების საშუალება მიეცემათ.

ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი საფრანგეთის ცნობილი უნივერსიტეტების ფილიალის სტატუსით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2002 წელს ამოქმედდა, რომლის დამფუძნებლებიც არიან: საქართველოს საელჩო საფრანგეთში, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, უნივერსიტეტი „პარიზი-8", ვერსალ-სან-კანტენის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ენებისა და ცივილიზაციის ეროვნული ინსტიტუტი, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო, იონის გენერალური საბჭო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ხათუნა ხატიაშვილი

როგორც „პარიზი 8"—ის პროფესორი ჰერალდ ვერცი აცხადებს, ფრანგული უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი ინსტიტუტმა ტექნიკური უნივერსიტეტის ფორმატში წარმატებით განახორციელა და ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირება სწორედ ის ვექტორია, რომელიც უკვე არსებულ პოტენციალს სამეცნიერო კვლევის სფეროს გასაფართოებლად ესაჭიროება.

ფრანგი პროფესორები ჰერალდ ვერცი, ჟან-ჟაკ მარიაჟი, ვილიამ ჟალბი და ქართულ-ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი არჩილ ელიზბარაშვილი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ფრანკოფილიის ტიპის სასწავლებლის შექმნის იდეის ავტორად ტექნიკური უნივესიტეტის ყოფილ რექტორსა და საფრანგეთში საქართველოს ელჩს გოჩა ჩოგოვაძეს ასახელებენ, რომელთა ინიციატივითაც სავარაუდო პარტნიორებთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 10 წლის წინათ დაიწყო.

იონის გენერალური საბჭოს ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით, ქართულ-ფრანგულმა ინსტიტუტმა ორმხრივი თანამშრომლობა წარმატებით განახორციელა. საწყის ეტაპზე მიღებული და მომზადებული დიპლომირებული პროფესიონალების რაოდენობა დღეისთვის 47-ს აღწევს, რომელთაგან ნაწილი სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობას საფრანგეთში, ნაწილი კი, საქართველოში აგრძელებს.

პროფესორ ჰერალდ ვერცის თქმით, საქართველოში დიპლომირებულ ბაკალავრებს საშუალება აქვთ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლა საფრანგეთის უნივერსიტეტებში განაგრძონ. „ჩვენი ფილიალის გაცვლითი პროგრამების მეშვეობით პირველი ნაკადის სტუდენტები, თბილისში ორწლიანი სწავლის შემდეგ, ერთი თვით სტაჟირებაზე ვერსალის, ან სხვა უნივერსიტეტებში მიდიან. ერთმა ქართველმა სტუდენტმა გოგონამ, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ვერსალის უნივერსიტეტში სტაჟირებისას სწავლისა და მუშაობის გაგრძელებაზე შეთავაზება მიიღო აშშ-ის ილინოისის უნივერსიტეტიდან. ეს ილინოისისა და ვერსალის უნივერსიტეტების თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა", — აღნიშნა მან.

ქართულ-ფრანგული ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წინაშე ახალი პარტნიორების ძებნის აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა აკრედიტაციის მოპოვება და სტუდენტების მიღების უფლება ველარ მოიპოვა. ახალ პარტნიორად თსუ-ის შერჩევის მიზეზად კი ფრანგი პროფესორები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ მათ წინაშე კომპიუტერული ტექნიკის ფართოდ გამოყენების დანერგვისა და ამ მიმართულებით კვლევის სფეროს განვითარების აუცილებლობის საკითხი დადგა. ახალი პარტნიორის ძიებისას კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ის უალტერნატივო ობიექტი აღმოჩნდა, რომელსაც თანამედროვე ტექნიკური სისტემის გამოსაყენებლად მედიცინის ფაკულტეტი და სპეციალობების ფართო სპექტრი გააჩნია, რომელიც სამეცნიერო გამოთვლებს საჭიროებს. ორმხრივი ინტერესების კუთხით, საინტერესო გამოდგა, ასევე, თსუ-ის საერთაშორისო კავშირები და პერსპექტივა, რომ შესაძლოა, აღნიშნული დარგის გარდა, ფრანგული უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები საქართველოში სხვა დარგობრივი ფილიალების გახსნითაც დაინტერესდნენ. „კმაყოფილი ვართ, რაც ტექნიკურ უნივერსიტეტში გაკეთდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საჭირო ხდება პროექტის გაფართოება და ექსპანსია, უნივერსიტეტი ის საუკეთესო ადგილია, რომელიც შემდეგი ეტაპის განხორციელებისთვის წარმატების წინაპირობას იძლევა", — აღნიშნა პროფესორმა ვილიამ ჟალბიმ.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ-ფრანგული ინსტიტუტი თსუ-სთან ინტეგრირებას აპირებს, მის სპეციალობაზე სტუდენტების მიღებისა და სწავლების პირობები სრულად შეესატყვისება იმ სტანდარტებს, რომელიც ამ დროისთვის უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს.

ქართულ-ფრანგული ინსტიტუტის სასწავლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღნიშნული ფრანგული უმაღლესი სასწავლებლების მიერ შედგენილი საერთაშორისო სასწავლო პროგრამით. ლექციების კურსს წაიკითხავენ საფრანგეთის უნივერსიტეტის პროფესორები. სწავლება დაფუძნებულია ევროპულ კრედიტულ სისტემაზე და ისინი ფრანგულ ენაზე წაიკითხება.

ინსტიტუტი გასცემს საქართველოსა და საფრანგეთის განათლების სამინისტროების მიერ აღიარებულ ორ დიპლომს (ქართულს და ფრანგულს).

სასწავლებელი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებითა და სხვა ტექნიკით: ფრანგული არხებით, თანამედროვე ბიბლიოთეკით.

გამორჩეულად ნიჭიერი კურსდამთავრებულები ფინანსდებიან ფრანგული მხარის მიერ, რათა მათ მაგისტრატურაში სწავლა გააგრძელონ საფრანგეთში (ფრანკოფონულ ქვეყნებში). წარმატებული მეორეკურსელები იგზავნებიან სტაჟირებაზე საფრანგეთში.

ოთხწლიან ბაკალავრიატში სწავლა შეეძლებათ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგულენოვანი სპეციალობის სტუდენტებს მეორე კურსის დასრულების შემდეგ.

იაპონიაში საბუნებისმეტყველო დარგების პოპულარობა განპირობებულია კურსდამთავრებული სტუდენტების დასაქმებით

კიუშუს უნივერსიტეტში მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერს ვახტანგ ჯანდიერს (მან 2006 წელს სწორედ ამ უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია) იაპონიაში მიღებული გამოცდილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის წარმატებით გაგრძელებაში დაეხმარება. ყველაზე მეტად მას იაპონელ სტუდენტთა მასწავლებლებისადმი დიდი კრძალვა და მოწიწება აკვირვებს, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში დღეს მართლაც იშვიათ გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ.

რა სიახლეს ეზიარა ახალგაზრდა მეცნიერი იაპონიაში, რა მოღვაწეობას ეწევა და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდება ერთი წლის შემდეგ — ამის გარკვევა ინტერნეტის საშუალებით მასთან საუბრით შევძელით.

ვახტანგ ჯანდიერი:

— იაპონია ის ქვეყანაა, რომელიც უმრავლესობისთვის სამურაებთან, გეიშებთან, ტექნიკის უახლეს მიღწევებთან ასოცირდება. ალბათ ასეც არის, მაგრამ როდესაც რამდენიმე წელი ცხოვრობ ქვეყანაში, იგი უკვე, გარკვეულწილად, შენი ცხოვრების ნაწილი ხდება. ცდილობ ამოიცნო ადგილობრივი ხალხის ბუნება, თვისებები და კარგად გაეცნო მათ კულტურას.

2002 წლიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების იაპონიის 7 წამყვანი უნივერსიტეტიდან (ტოკიოს, ოსაკას, კიოტოს, სენდაის, კიუშუს, ტსუკუბას, ნაგოიას) ერთერთ — კიუშუს უნივერსიტეტის ,,კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული მეცნიერებების" დეპარტამენტში, ჯერ როგორც დოქტორანტი, დღესდღეობით კი როგორც მიწვეული მეცნიერი ვმუშაობ. სამეცნიერო თემა საკმაოდ აქტუალურია. ზოგადად, მის ძირითად მიზანს წარმოადგენს შორ მანძილებზე ინფორმაციის გადაცემის ხარისხის გაუმჯობესება,ატმოსფეროს შესწავლა, ანტენების დიზაინი და ა.შ.

საქართველოში მაგისტრატურაში სწავლის პერიოდიდან მოყოლებული, ჩემს სამეცნიერო თემას წარმოადგენდა თეორიული რადიოტექნიკის ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა ელექტრომაგნიტური ტალღებისა და იმპულსური სიგნალების გავრცელების თავისებურებების შესწავლა არაერთგვაროვან, რეალურ გარემოში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ატმოსფეროს შესწავლასთან, გარემოს დიაგნოსტიკის მეთოდების შემუშავებასთან და საიმედო არხების შექმნასთან რადიოკავშირის დასამყარებლად დიდ მანძილებზე. თავიდან ამ სამეცნიერო თემით მამაჩემმა დამაინტერესა, რომელიც აღნიშნულ თემაზე მრავალი წელია უცხოელ კოლეგებთან ერთად მუშაობს.

იაპონიის კიუშუს უნივერსიტეტში დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში ჩემთვის ახალ, მაგრამ ძალიან აქტუალურ თემაზე დავიწყე მუშაობა. იგი ეხებოდა ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივებისა და გაბნევის შესწავლას პერიოდულ სტრუქტურებში. პერიოდულმა სტრუქტურებმა მას შემდეგ მიიქცია მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება, რაც 1987 წელს პერიოდული სტრუქტურებისთვის დამახასიათებელი თვისება ამერიკელმა მეცნიერმა აღმოაჩინა. მარტივად რომ ვთქვათ, გაირკვა, რომ პერიოდულ სტრუქტურებში ხდება ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელება სიხშირეთა მხოლოდ გარკვეულ დიაპაზონში, რაც საშუალებას გვაძლევს ვარეგულიროთ გავრცელების მიმართულება. მოცემულმა თემამ უდიდესი პრაქტიკული გამოყენება პოვა რადიოტექნიკასა და ელექტრონიკაში და სწორედ მისმა აქტუალობამ განაპირობა ჩემი ინტერესიც. ამგვარ სტრუქტურებში ტალღების გამოსხივებისა და გაბნევის თეორიული და რიცხვითი ანალიზი წარმოადგენდა ჩემი სადოქტორო დისერტაციის ძირითად თემას. ამ თემასთან დაკავშირებით, დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, საუკეთესო მოხსენებებისათვის იაპონიის ელექტრულ საინჟინრო ინსტიტუტმა დამაჯილდოვა მედლითა და სერტიფიკატით.

დღეს იაპონიაში აღნიშნული სამეცნიერო თემის გარდა მაგისტრანტებთანაც ვმუშაობ. მათი სამაგისტრო თემები მოიცავს ელექტროდინამიკის ისეთ საკითხებს, როგორიცაა ელექტრომაგნიტური ტალღების გაბნევა სხვადასხვა სახის პერიოდულ სტრუქტურებზე; მინაში ჩაფლული მეტალო-პლასტმასის საგნების ადგილმდებარეობის, მისი ფორმების დადგენა იმპულსებისა და ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით; სტატისტიკური სიგნალების დამუშავების მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრანტების უმრავლესობა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას კერძო კომპანიაში სამუშაოს დაწყებას ამჯობინებს, მოცემული სამეცნიერო საკითხების მიმართ მათი დაინტერესება საკმაოდ დიდია. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ მათ იციან, მომავალში ნებისმიერ ელექტრო-ტექნიკურ კომპანიაში მუშაობისას ელექტროდინამიკაში მიღებული ღრმა ცოდნა აუცილებლად გამოადგებათ.

იაპონიაში საბუნებისმეტყველო დარგები, მედიცინის შემდეგ, ერთერთ ყველაზე პოპულარულ დარგებად ითვლება. ანაზღაურების მხრივაც მედიცინის სფეროში მოღვაწე მეცნიერებს ყველაზე მაღალი ანაზღაურება აქვთ. საბუნებისმეტყველო დარგების პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია კურსდამთავრებული სტუდენტების დასაქმებით სხვადასხვა წამყვან ტექნოლოგიურ კომპანიებში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კომპანიების წარმომადგენლები სტუდენტებს აწვდიან დეტალურ ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, გეგმების და სტუდენტის მომავალი როლის შესახებ ამა თუ იმ პროექტში. ამ მხრივ, კონკურენცია, საკმაოდ მაღალია. თუმცა უნდა ითქვას, რომ კერძო კომპანიაში მუშაობის დაწყება ნიშნავს ამ კომპანიისადმი ერთგულების ბოლომდე შენარჩუნებას. კომპანიის დატოვება, სხვისგან თუნდაც უკეთესი პირობების შემოთავაზების გამო, ძალიან ცუდ ტონად ითვლება და ასეთი შემთხვევები, პრაქტიკულად, იშვიათია.

საერთოდ, იაპონიაში ძალიან ძნელია საკარიერო კიბეებზე ასვლა. ძნელია როგორც კერძო კომპანიაში, ასევე უნივერსიტეტში. მაგალითად, კიუშუს უნივერსიტეტში, და ასეა ყველგან, დეპარტამენტში მხოლოდ ერთი სრული პროფესორი, ერთი ასოცირებული და ერთიც ასისტენტ-პროფესორია. მხოლოდ სრული პროფესორის მიერ საპენსიო ასაკის გამო სახელმწიფო უნივერსიტეტის დატოვების შემდეგ ეძლევა ასოცირებულ პროფესორს შანსი — მიიღოს სრული პროფესორის სტატუსი. ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკეთესი მონაცემების მქონე მეცნიერი სხვა უნივერსიტეტიდან არ გამოთქვამს აკადემიური თანამდებობის დაკავების სურვილს. ამის გამო, ხშირია პროფესორ-მასწავლებლების მიერ უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში გადასვლა, უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით.

დოქტორანტთან მუშაობა მხოლოდ სრული პროფესორის პრეროგატივაა. რაც შეეხება ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორებს, ისინი მაგისტრანტებსა და ბაკალავრებს აუცილებელი სალექციო საათების გარდა დამატებით ლექციებსა და სემინარებს უტარებენ, ამავე დროს, მათთან ერთად დისკუსიებშიც მონაწილეობენ.

ყველაზე ძალიან რაც მომწონს და, ამავე დროს, გარკვეულწილად, ცოტათი მაკვირვებს კიდეც — არის ის, რომ იაპონელ სტუდენტებს გააჩნიათ უდიდესი პატივისცემა და რიდი ხელმძღვანელის, მასწავლებლის მიმართ. ურთიერთობაში ძალიან გულწრფელები, მორიდებულები არიან. შეიძლება ევროპელს ასეთი დამოკიდებულება სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის უცნაურად, ცოტა გადამეტებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ ასეთი ურთიერთობა არა მარტო უნივერსიტეტში, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, შეუძლებელია — შეუმჩნეველი დარჩეს. ეს კულტურა მათი შინაგანი ბუნებიდან მოდის. სწორედ ამის და კიდევ სხვა გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო იაპონელები ჩემს უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებენ.

სტუდენტები დროის ძალიან დიდ ნაწილს უნივერსიტეტში ატარებენ. პრაქტიკულად, ეს მათი მეორე ოჯახია. დოქტორანტურაში სწავლის დროს ძალიან ხშირად ყოფილა, რომ მეგობრებს ღამეები გვითენებია სამეცნიერო ლაბორატორიაში, ვსაუბრობდით, ვკამათობდით, თან ერთმანეთს ნაშრომის დაწერაში ვეხმარებოდით. მხოლოდ დილით ვბრუნდებოდი სახლში. ის პერიოდი ერთერთი ყველაზე დასამახსოვრებელია.

ძალიან გამიმართლა, რომ დოქტორანტურაში ერთერთ წამყვან, მსოფლიოში ცნობილ პროფესორთან ვმუშაობდი. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე როგორც, რა თქმა უნდა, მეცნიერული თვალსაზრისით, ასევე სტუდენტთან ურთიერთობის კუთხითაც. მის მიერ ლექციის ახსნა, გადმოცემის უნარი ჩემთვის დღემდე სამაგალითოა.

ერთი რამე ნამდვილად ვიცი, რომ არ არსებობს იმაზე კეთილშობილური საქციელი, ვიდრე შენი ცოდნისა და გამოცდილების სხვისთვის გაზიარებაა. მჯერა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ სამეცნიერო გამოცდილებისა, და უბრალოდ, იაპონიის უნივერსიტეტში არსებული ურთიერთობების მაგალითზე, წარმატებით გავაგრძელებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან მუშაობას.

გისენის უნივერსიტეტისა და თსუ-ის ურთიერთთანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ინიციატივით, 21 მარტს უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი მეცნიერის, გისენის (გერმანია) უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ პეტერ ფელიქს-ჰენინგსენის საჯარო ლექცია თემაზე — „მძიმე ლითონებით ნიადაგებისა და კვების პროდუქტების გაბინძურება მდინარე მაშავერას ხეობაში".

ხათუნა ხატიაშვილი

პროფესორის ლექციას საფუძვლად დაედო უკანასკნელ წლებში ბოლნისის რაიონში ჩატარებული კვლევები. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდნენ როგორც გერმანელი, ისე ქართველი ნიადაგმცოდნეები, კვლევები კი "Volkswagenstiftung"-ის ფონდის მიერ დაფინანსდა.

საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია იმ მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მდინარე მაშავერას ხეობაში კაზრეთის საბადოების ღია წესით დამუშავების შედეგად შეიქმნა.

როგორც ლექციაზე აღინიშნა, ამ ტერიტორიაზე მძიმე ლითონების შემცველობა საგრძნობლად აღემატება ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა და შესაბამისი მიმართულების სტუდენტებში. დამსწრე საზოგადოების მხრიდან შეკითხვები დაისვა, მაგალითად, — როგორ შეიძლება შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება. გამოითქვა მოსაზრება რეგიონის მოსახლეობისთვის ეკოლოგიური სემინარების ჩატარების შესახებ, რათა მათ კარგად გააცნობიერონ ამჟამად რეგიონში არსებული მძიმე მდგომარეობა.

გისენის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეებს ურთიერთთანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ, რომელიც 1999 წლიდან დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ამ თანამშრომლობას სათავე ქართველმა ქალბატონმა ელისო ნარიმანიძე-კინგმა დაუდო, რომელიც გისენის უნივერსიტეტის გარემოს კვლევისა და საერთაშორისო განვითარების ცენტრის მეცნიერთანამშრომელია. მისი მეუღლე – გისენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი ლორენც კინგი ასევე აქტიურადაა ჩართული ამ თანამშრომლობაში. მან მიმდინარე სასწავლო წელს უკვე წაიკითხა ლექციების ციკლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, მომდევნო კურსის ჩატარებას კი მაისის თვეში გეგმავს. ამავე პერიოდში განიხილება ბაკალავრი, მაგისტრი და დოქტორანტი სტუდენტების გაცვლის საკითხიც.

1999-2007 წლებში მომზადდა და განხორციელდა ფონდ "Volkswagenstiftung"-ის მიერ დაფინანსებული ერთობლივი სამეცნიერო პროექტები, რომელსაც გერმანიის მხრიდან გისენის უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობისა და ნიადაგების კონსერვაციის ინსტიტუტის პროფესორი პეტერ ფელიქს-ჰენინგსენი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის პროფესორი დიტრიხ შტეფსენი, საქართველოს მხრიდან კი თსუ-ის პროფესორი გიზო ურუშაძე ხელმძღვანელობდნენ.

2008 წლის ოქტომბერში დაგეგმილია გისენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან არსებული თანამშრომლობის ფარგლებში ინტერდისციპლინური კონფერენციის გამართვა საქართველოში, რისთვისაც მზადდება კრებული "Georgia in Transition" (გამომცემელი პროფესორი გიორგი ხუბუა და პროფესორი ლორენც კინგი); თბილისის DAAD-ის ბიუროსთან ერთად მუშავდება სამწლიანი პროექტი "Alumni Summerschool Kaukasus – Umwelt und Ressourcen".

როგორც ცნობილია, 2005 წლის მაისში სამწლიანი ვადით თანამშრომლობის ხელშეკრულება დაიდო თსუ-ის გეოგრაფიისა და ეკონომიკის ფაკულტეტებსა და გისენის უნივერსიტეტის ეკონომიკის, მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკისა და გეოგრაფიის, ასევე აგრარული მეცნიერებების, ეკოტროფოლოგიისა და გარემოს მენეჯმენტის ფაკულტეტებს შორის.

2008 წლის თებერვალში თსუ-ის რექტორის გიორგი ხუბუას გისენის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულების უვადო გაგრძელებას და აღნიშნული თანამშრომლობა გაფართოვდა იურიდიული ფაკულტეტით.

ერთობლივი სამეცნიერო პროექტების გარდა, არსებული თანამშრომლობა ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას. გისენის უნივერსიტეტს უკვე სტუმრობდნენ პროფესორები: თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, თინათინ მარგალიტაძე, ნოდარ ბელქანია, გიზო ურუშაძე, ალექსანდრე შენგელია, ირმა რატიანი, მარიამ ელიზბარაშვილი, ასისტენტ-პროფესორი ბესიკ კალანდაძე, მზექალა აჭაიძე.

სპეციალისტებს იმედი აქვთ, რომ ორ უნივერსიტეტს შორის წლების განმავლობაში განმტკიცებული სამეცნიერო ურთიერთობები და ერთობლივად დაგეგმილი სამუშაოები მომავალში დიდი წარმატების გარანტია იქნება.

ახალი უნივერსიტეტი

რას მოუტანს დედამიწას კლიმატის გლობალური დათბობა და ბუნებრივი კატასტროფები

გლობალურმა დათბობამ და ტემპერატურის უწყვეტმა მატებამ შესაძლოა, კიდევ უფრო გაამძაფროს ატმოსფერული და ჰიდროსფერული პროცესები დედამიწაზე, რამაც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კაცობრიობა ფატალურ შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს, მაგრამ ისევე, როგორც დედამიწა ვერ გახლეჩს თავის თავს, გლობალურ დათბობასაც გააჩნია დამამუხრუჭებელი ფაქტორები. კაცობრიობისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემაზე მეცნიერებს თავისი მოსაზრებები აქვთ.

დღეს უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი აღინიშნა ბუნებრივი კატასტროფების რაოდენობის ზრდით. ამ კატასტროფებმა მილიარდობით დოლარის ზარალი და მრავალი ადამიანის დაღუპვა გამოიწვია. კატასტროფების რიცხვი სამჯერ, ხოლო ეკონომიკური ზარალი ცხრაჯერ გაიზარდა. ამ კატასტროფების ძირითადი ნაწილი მოდის ატმოსფეროში და ჰიდროსფეროში მიმდინარე კატასტროფების ხარჯზე, როგორიცაა წყალდიდობები, ქარიშხლები, ქარბორბალა, ძლიერი ღელვა, შტორმი და ა.შ. (მაგალითად, ცუნამის რიცხვი სტაბილური გახდა, მუდმივი – 30 ცუნამი წელიწადში), რაც ნაწილობრივ მოსახლეობის ზრდამაც გამოიწვია. მე-20 საუკუნეში მოსახლეობამ 6,5 მილიარდს მიაღწია, ანუ მე-19 საუკუნესთან შედარებით (3 მილიარდი) მოსახლეობის რიცხვი გაორმაგდა. მე-20 საუკუნეში აღინიშნა მოხმარებული ენერგიის კატასტროფული მატება. დაიხარჯა ენერგია, რომელიც აჭარბებს მთლიანად ადამიანის არსებობიდან დაწყებული, მე-19 საუკუნის ჩათვლით, მოხმარებულ ჯამურ ენერგიას. ენერგიის პროდუქტი, რომელიც ნავთობის, გაზის და მაზუთის წვის შედეგად გამოიყო, სათბური გაზების სახით გაიფანტა ატმოსფეროში, რაც ხელს უწყობს გლობალურ დათბობას, მოქმედებს რეგიონალურ ამინდზე და, ზოგადად, კლიმატზე. გლობალური ტემპერატურის 0,5 გრადუსით მომატებამ, ბოლო ასი წლის განმავლობაში, ატმოსფეროში კოლოსალური რაოდენობის ენერგიის დაგროვება გამოიწვია (2,6 10^{21} ჯოულის სახით), რომელიც ათეულობით და ასეულობით აჭარბებს ყველაზე ძლიერი ტროპიკული ციკლონების, ვულკანური ამოფრქვევის და მიწისძვრების ენერგიებს და მისგან გამოწვეულ ცუნამის ენერგიას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეოცე საუკუნეში ამ მატებამ ბუნებრივი კატასტროფების ზრდა გამოიწვია, ე.ი. მოხდა სტაბილური სისტემის ატმოსფეროს – ხმელეთი-ოკეანის დესტაბილიზაცია, ეს სისტემა პასუხისმგებელია მთლიანად დედამიწაზე ამინდისა და კლიმატის სტაბილურობაზე. თუკი ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ გლობალური კატასტროფები ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულნი არიან გლობალური დათბობის გამო. კატასტროფები პირდაპირ მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და, საერთოდ, ბიოსფეროზე, რაც გამოწვეულია ფიზიკური ველებით: აკუსტიკური, ელექტრულ-მაგნიტური მოვლენებით, რომლებიც კატასტროფების თანხვედრია.

მაგალითისთვის განვიხილოთ ერთერთი კატასტროფული მოვლენა, რომელსაც ტროპიკული ციკლონი ეწოდება. იგი ძირითადად ოკეანის ზედაპირზე წარმოიშვება. ციკლონში წნევა უაღრესად სწრაფად ეცემა და ამიტომ იგი დიდი სიმძლავრით შეიწოვს ჰაერის მასებს პერიფერიებიდან და ცენტრში აღმავალი დინება წარმოიშვება. ციკლონი იწყებს ბრუნვას საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით და თანაც საშინელი სისწრაფით (50-60კმ/სთ-დან 320-400კმ/სთ-მდე) გადაადგილდება, მისი სიმძლავრე კოლოსალურია (16 ტრილიონი კილოვატსაათი). ასეთ სიმძლავრეს, ელექტროენერგიის სახით, აშშ ნახევარი წლის განმავლობაში ხარჯავს. წარმოდგენა რომ გვქონდეს მის კოლოსალურ სიმძლავრეზე, მოვიყვანთ მაგალითს ბირთვულ აფეთქებაზე, რომელიც 60-იან წლებში ამერიკელების მიერ წყნარ ოკეანეში მოხდა და რომელმაც ჰაერში 10 მილიონი ტონა წყალი აიტაცა. პუერტო რიკოში ტროპიკულმა ციკლონმა წვიმის სახით რამდენიმე საათში 2,5 მილიარდი ტონა წყალი გამოყო. ძირითადი ენერგია, რომელსაც გამოიმუშავებს ტროპიკული ციკლონი, კონდენსაციის ფარული სითბოა. ასეთი ძლიერი ტროპიკული ციკლონის შესაჩერებლად საჭიროა ისეთი სიმძლავრე, რომელსაც გამოყოფს 500 000 ატომური ბომბის აფეთქება. საშუალოდ ტროპიკული ციკლონის ენერგია 6x10^{19} ჯოულის ექვივალენტურია. ჯერჯერობით ადამიანს არ შეუქმნია ისეთი სიმძლავრის ბირთვული იარაღი, რომელსაც ძალუძს შეაჩეროს ტროპიკული ციკლონის გადაადგილება ან შეცვალოს მისი ტრაექტორია.

ტროპიკული ციკლონი მიწასთან ასწორებს თითქმის ყველა კომუნიკაციას. მაგალითად, 1935 წელს, ფლორიდაში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტროპიკულ ციკლონს ისეთი სიძლიერით მოჰქონდა ქვიშა, რომ პლაჟზე მყოფ ადამიანებს მთლიანად გააძრო ტანსაცმელი და კანიც, შედეგად კი, პრაქტიკულად, ყველა დაიღუპა. პატარა ხის ნაფოტი ისეთი სიძლიერით მოჰქონდა ციკლონს, რომ უზარმაზარი პალმის ხე გახვრიტა.

ერთერთი კატასტროფული მოვლენაა აგრეთვე ცუნამი. „ცუნამი“ იაპონური სიტყვაა და ზღვის ყურეში დიდ ტალღას ნიშნავს. ცუნამის ტალღას არავითარი კავშირი არ აქვს ძლიერ ღელვასთან ან მოქცევა-უკუქცევის ტალღებთან. ცუნამის გამომწვევი მიზეზების 99% ზღვის შიგნით, მის ფსკერში განვითარებულ მიწისძვრებში უნდა ვეძებოთ. ძალიან იშვიათად ცუნამი შეიძლება კოსმოსურმა სხეულებმა (ასტეროიდები, კომეტები) გამოიწვიოს. ასევე მისი ხელოვნურად წარმოქმნის მიზეზი შეიძლება გახდეს წყლის ქვეშ მძლავრი ბირთვული იარაღის აფეთქება.

მიწისძვრის ძალა 10-12 ბალიანი სისტემით ფასდება. 9-12 ბალის მიწისძვრას კატასტროფულს უწოდებენ, რასაც შენობების და კომუნიკაციების ნგრევა მოჰყვება. ასეთი მიწისძვრა მოხდა სომხეთში — სპიტაკში, რომლის სიმძლავრე 9 ბალი იყო. გეოფიზიკოსები მიწისძვრას აფასებენ არა ბალიანობით ე.ი. ნგრევის ხარისხით, არამედ მიწისძვრის ენერგიით. 1935 წელს ამერიკელმა სეისმოლოგმა რიხტერმა მიწისძვრები დაახარისხა სხვადასხვა ენერგიის რაოდენობით. მიწისძვრის ენერგია ხასიათდება მაგნიტუდით, ანუ სეისმური ტალღების ამპლიტუდის კვადრატით. (ნებისმიერი ტალღის ენერგია მისი ამპლიტუდის კვადრატის პროპორციულია). „მაგნიტუდა“ ლათინური სიტყვაა და სიდიდეს ნიშნავს. სუპერმიწისძვრის დროს აბსოლუტურად ინგრევა ყველაფერი, მიწა განიცდის დეფორმაციას, იხლიჩება და აჩენს უზარმაზარ ნაპრალებს. საბედნიეროდ, ასეთი მიწისძვრები დედამიწაზე ძალიან იშვიათია. სუპერმიწისძვრის კვალი წყნარი ოკეანის ფსკერზეა, სადაც გადის ძლიერი რღვევის ხაზი, რომლის სიგრძეა 10 000 კმ, სიგანე 1000 კმ, სიღრმე 300 კმ. მის გაჩენას გეოლოგები და გეოფიზიკოსები უკავშირებენ პლიტების მოძრაობას და კონვექციურ პროცესებს და არა სუპერმიწისძვრას, თუმცა რომელია პირველი წყარო ამ გიგანტური რღვევის ხაზის გაჩენისა, დანამდვილებით არავინ იცის.

ისმის ლოგიკური კითხვა: თუ მოხდა სუპერმიწისძვრა, გაიხლიჩება თუ არა დედამიწა და დაიღუპება თუ არა კაცობრიობა?

ამ კითხვაზე პასუხი პირდაპირ შეიძლება გავცეთ — დედამიწა თავის თავს არასოდეს დაღუპავს, ამას ვერც კაცობრიობა შეძლებს. ამჟამად დედამიწაზე დაგროვებულია ათი ათასი ერთეული ბირთვული იარაღი, რომელთა აფეთქების ჯამური ენერგია 10 გიგა ტონის ტოლია, რაც სუპერმიწისძვრის ექვივალენტურია. იმისათვის, რომ დედამიწა დაინგრეს, უნდა დაიხარჯოს პლანეტის გრავიტაციული ენერგიის ტოლი ენერგია. აქედან გამომდინარე, ვერც ადამიანი და ვერც სუპერმიწისძვრა ვერაფერს დააკლებს ჩვენს პლანეტას, თუმცა ადამიანებს და ბიოსფეროს კოლოსალურ ზარალს მიაყენებს. პრაქტიკულად, დედამიწა შეიძლება დაანგრიოს მხოლოდ კოსმოსურმა ობიექტმა, რომლის დიამეტრი დედამიწის დიამეტრის ტოლი იქნება (12,8 ათასი კმ). თუ გავითვალისწინებთ, რომ მზის სისტემაში არსებული ყველაზე დიდი ასტეროიდის დიამეტრი ათას კილომეტრს არ აღემატება და იმასაც, რომ ასეთი დიდი ასტეროიდები თავიანთ ძალზე სტაბილურ ორბიტებზე მოძრაობენ, დედამიწას, თავისი გრავიტაციული ველით, მათი მიზიდვა არ შეუძლია, ანუ დედამიწის ნგრევა კოსმოსური ფაქტორით გამორიცხულია. დედამიწას შეუძლია მიიზიდოს მზის სისტემაში შემავალი ასტეროიდები, რომლის ყველაზე დიდი დიამეტრი 10 კმ-ს არ აღემატება.

მიწისძვრა საშინელი სტიქიური მოვლენაა. რა ხდება მაშინ, როცა მიწისძვრა ხდება წყლის ქვეშ? ეს იწვევს მიწისძვრის ეპიცენტრის თავზე წყლის ზედაპირის ძლიერ შეშფოთებას, რომელსაც მიწისძვრის ანალოგიურად შეიძლება ვუწოდოთ ზღვის ძვრა. ამ დროს წყლის ზედაპირზე ხდება ძლიერი ჰაერის ბუშტების გამოყოფა და ჩნდება მდგრადი ტალღები.

ზღვის ძვრის დროს, ზღვის ზედაპირი და ზღვის ფსკერი ტალღების რეზონატორის როლს თამაშობს, ხოლო წარმოქმნილი ტალღების ამპლიტუდის სიდიდე თითქმის არ იცვლება და მათ სოლიტონების ფორმა აქვთ. სოლიტონი არის ისეთი ტალღა, რომელსაც ერთი ამოზნექილობა ან ერთი ჩაზნექილობა გააჩნია. თეორიიდან ცნობილია, რომ სოლიტონის სიჩქარე მით მეტია, რაც მეტია მისი ამპლიტუდა. ამ დროს დიდი ამპლიტუდის მქონე სოლიტონი ადვილად ეწევა მცირე ამპლიტუდის მქონე ტალღას და ორივე ტალღის ამპლიტუდა იკრიბება. გარკვეული დროის შემდეგ 17 ტალღის ამპლიტუდა 21-25 მეტრს აღწევს, რომელსაც ფრონტი მთლიანად ვერტიკალური აქვს. ისინი ნაფოტებად აქცევენ ხოლმე მცირე გემებს. ტალღის სიმძლავრე P=2 გიგავატის ტოლია. მაგალითად, ეს სიმძლავრე რამდენიმე ათეულჯერ აღემატება იმ სიმძლავრეს, რომელსაც საქართველო მოიხმარს მთელი წლის განმავლობაში.

ოკეანეს გააჩნია კიდევ ერთი ფენომენი ე.წ. ტალღა მკვლელი. მისი ტალღის ამპლიტუდის სიმაღლე 26-30 მეტრს უდრის. ასეთი ტალღები იშვიათად ჩნდებიან. მაგალითად, 1995 წლის 7 იანვარს ხელოვნურმა თანამგზავრმა დააფიქსირა ისეთი ტალღა, რომლის ამპლიტუდა 26 მეტრს უდრიდა. იგი წარმოიშობა მოულოდნელად, ოკეანის აბსოლუტურად წყნარი ზედაპირის ფონზე. ამ ტალღის სეისმური ბუნება, მისი წარმოშობის თეორია და ფიზიკური ბუნება ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ამიტომ არ შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვებს, თუ როგორ და საიდან ჩნდება ის. ფიქრობენ, რომ მიზეზი შეიძლება თვითორგანიზაციის მექანიზმი იყოს, ანუ სუსტი ტალღები ისე ხელსაყრელად ერთიანდებიან, რომ წარმოშობენ ტალღა-მკვლელს. რეკორდული ტალღა-მკვლელი დაფიქსირდა 1985 წლის 10 ივლისს, ტალღის ამპლიტუდა 524 მეტრი იყო, ხოლო სიჩქარე 300 მ/წმ-ში.

ვულკანიზმი, ისევე როგორც მიწისძვრა გეოლოგიური პროცესების პროდუქტია. ვულკანებსაც შეუძლიათ იმოქმედონ ატმოსფეროზე, დედამიწის ახლომდებარე კოსმოსზე და ჰიდროსფეროზე. ამოფრქვეული ვულკანის პროდუქტები 80 კმ-ზე ადიან და შემდეგ ილექებიან, დაახლოებით, მილიონი კვადრატული მეტრის ფართობზე. ამ დროს ატმოსფეროს გამჭვირვალობა ძლიერ ეცემა და ირღვევა ენერგეტიკული ბალანსი. გლობალური მასშტაბით ხდება ატმოსფეროს გაციება და დგება ხელოვნური ზამთარი, ანუ ვულკანური ზამთარი. იცვლება გლობალური დათბობის ტემპი. ვულკანური ზამთრის ხანგრძლივობა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე, რაც მრავალჯერ აჭარბებს ვულკანის ამოფრქვევის დროს. ამ პერიოდში ოკეანის ტალღებმა შეიძლება რამდენიმე ათეულ მეტრს მიაღწიოს.

მიუხედავად ყველაფრისა, ისევე როგორც დედამიწა ვერ გახლეჩს თავის თავს, გლობალურ დათბობასაც გააჩნია დამამუხრუჭებელი ფაქტორები, რომლებიც არსებობენ ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროში და რომლებიც ინტენსიურად ჩაირთვებიან ტემპერატურის მატების გარკვეულ ზღვარზე, რაც გამოიწვევს ამ მატების შემცირებას და დედამიწის საშუალო კლიმატური ტემპერატურის ახალ სტაციონალურ მნიშვნელობაზე გადასვლას და რომელიც ერთი გრადუსით იქნება განსხვავებული ძველ სტაციონალურ მნიშვნელობასთან შედარებით. ეს საინტერესო თემები მეცნიერთა განსჯის საგანია.

არჩილ ხანთაძე
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ვაჟა ტრაპაიძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტ პროფესორი

მოკლედ

„თემიდას მსახურების“ ლიტერატურული საღამო

შურთხია გეროშვილი

11 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა თვითშემოქმედებითი საღამო გაიმართა. ამჯერად „თემიდას მსახურები“ სიტყვის თავისუფლების „დაცვას“ პოეზიის თუ პროზაული ნაწარმოებებით შეეცადნენ.

იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის თეორიის მიმართულების პროფესორის გურამ ნაჭყებიას ინფორმაციით, ამგვარი ღონისძიებები ფაკულტეტზე უკვე ტრადიციად იქცა, რაც იმის დასტურია, რომ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს იურისტები მხოლოდ ცივი გონებით აზროვნებენ, მცდარია.

„გაზაფხულის შემობრძანებას ჩვენი ფაკულტეტის შემოქმედი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ყოველწლიურად, მარტის დასაწყისში, ერთად აღვნიშნავთ. ყოველგვარი კრიტიკის და პოლემიკის გარეშე ვაცნობთ ერთმანეთს საკუთარ შემოქმედებას. ეს ჩვენთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა“, — აღნიშნა გურამ ნაჭყებიამ. პროფესორის იუმორისტულმა პამფლეტებმა და ლექსებმა სტუდენტების მოწონება დაიმსახურა.

შემოქმედებით საღამოს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ქოჩაშვილი უძღვებოდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გაზაფხულის მოსვლა გიორგი ლეონიძის სიტყვებით მიულოცა.

იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ლია კობალაძემ მომავალი მოსამართლეები და ადვოკატები საკუთარი საბავშო ლექსებით გაახალისა.

შემოქმედებით საღამოზე თავიანთი ნაწარმოებებით წარდგნენ სტუდენტები: დიანა კვარაცხელია, მარიამ ჩალაძე, მაია ფარჯიშვილი, დიმიტრი გეგენავა. მათ შორის ისეთებიც აღმოჩდნენ, ვინც უკვე საკუთარი კრებულებიც გამოსცა: თამარ ხარჩილავა, ირაკლი სამხარაძე და თაკო დიოგიძე. მათ ლექსები და მოთხრობები თავიანთი წიგნებიდან წაიკითხეს. სტუდენტების განსაკუთრებული მოწონება თორნიკე პარუნაშვილის იუმორესკამ დაიმსახურა, რაც სტუდენტების მხურვალე აპლოდისმენტებით გამოიხატა.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების და პროფესორ–მასწავლებლების მოწონება დაიმსახურა დავით ქიტიაშვილის მიერ ფანდურზე შესრულებულმა მთიულურმა და ინდურმა მელოდიებმა.

დავიცვათ თითოეული ადამიანის უფლებები

ჟურნალ "სოლიდარობის" პრეზენტაცია

დღეს ბევრი იწერება და ითქმება ადამიანის უფლებებსა და ინტეგრაციის საკითხებზე. მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციამ მოიცვა. მსოფლიოს „ერთიანობის“ პრინციპმა, რომელიც კოსმოპოლიტურ აზროვნებას ეფუძნება, საყოველთაო ხასიათი შეიძინა. კაცობრიობის მოდგმის განვითარება, ერებად და სახელმწიფოებად ჩამოყალიბება ორი ურთიერთსაპირისპირო ნიშნით ხორციელდება: ინტეგრაციის (შერწყმის) და დეზინტეგრაციის (გაყოფის) გზით — ამის ნათელ მაგალითს ისტორია იძლევა. გლობალიზაციის პროცესი გულისხმობს მსოფლიოს ჰარმონიულ განვითარებას, იგი ხელს უწყობს სხვადასხვა ხალხების კულტურებისა და ტრადიციების ინტეგრირებასა და დაახლოებას, როცა პროცესის მონაწილე ხალხები და ცივილიზაციები ინარჩუნებენ თავისთავადობასა და „მეობას“ — ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენნაირი ძველი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქვეყნებისათვის.

თამარ მარუაშვილი

ვინც დღეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თვალყურს ადევნებს, ერთხმად ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა უპირველეს მორალურ თუ პოლიტიკურ ფასეულობადაა აღიარებული. ადამიანის უფლებებისა და დაცვის იდეა საზოგადოების გაკეთილშობილებას, სხვისი შეხედულებებისა და აზრების პატივისცემას, შემწყნარებლობისა და მიტევების მაღალ გრძნობას უნდა ემსახურებოდეს. ტოლერანტობა ხომ აუცილებელი პირობაა საზოგადოების მართებული, პროგრესული განვითარებისათვის.

დღეს აქტუალურია, საზოგადოებამ გააცნობიეროს ისიც, თუ რა შეიძლება ამ პროცესების განვითარებას მოჰყვეს, თუ იგი იქნება არასწორად მართული და ანტისახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული. საზოგადოება რაც უფრო მეტად ინფორმირებული იქნება ამ მნიშვნელოვან საკითხებზე, მით უფრო მეტად გაიზრდება მოსახლეობის თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის დონე, ქვეყანაში მიმდინარე გლობალურ პროცესებსაც მეტად ადაპტირებული და მომზადებული შეხვდება. აი, ამიტომ არის აქტუალური ყველა ის ნაბიჯი, რომელიც საზოგადოებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ობიექტურ შეფასებაში დაეხმარება.

სწორედ ამ თემებზე მსჯელობასა და ანალიზს გვთავაზობს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის პერიოდული გამოცემა — ჟურნალი „სოლიდარობა“, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განახლებული კონცეფციითა და ფორმატით გამოდის. გამოცემის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის გაღრმავებას, ტოლერანტობისა და სოციალური თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას, სამოქალაქო კულტურისა და ლიბერალური დემოკრატიის განვითარებას. მსგავსი შინაარსის გამოცემებით არც თუ ისე განებივრებულია ქართველი მკითხველი და ამიტომ მისასალმებელია სახალხო დამცველთან არსებული ცენტრის ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელსაც იმედია, საზოგადოების მხრიდან დაინტერესება და სათანადო შეფასება მოჰყვება.

ჟურნალის პირველ ნომერს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გერმანიის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის პასტორის მარტინ ნიიმიოლერის სიტყვები: „გერმანიაში ნაცისტები რომ კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირელი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“ დავიცვათ თითოეული ადამიანის უფლებები — ეს უნდა იყოს ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი მრწამსი. რედაქციის მინაწერში ვკითხულობთ: „სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება მრავალმხრივ რეფორმებს ახორციელებს, მაგრამ ამავდროულად ადამიანის უფლებების უხეშ იგნორირებას ახდენს, ფუნდამენტური პოლიტიკური და სოციალური საკითხების გადაუჭრელად შეუძლებელია მყარი საფუძველი შეექმნას ტოლერანტობას, თანასწორობისა და პლურალიზმის ღირებულებების დამკვიდრებას. სწორედ ამიტომ ამ ბოლო მოვლენებითვეა გამოწვეული დემოკრატიული ინსტიტუტების, ადამიანის უფლებების, თავისუფალი მედიის, პოლიტიკური პლურალიზმისა და დიალოგის მნიშვნელობის აქტუალიზაცია“.

ჟურნალის პრეზენტაცია, რომელიც ორგანიზებული იყო სახალხო დამცველთან გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, 13 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში გაიმართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე მატილდა დიმოვსკა, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

„ტოლერანტობა და მიმტევებლობა ოდითგანვე ახასიათებდა ქართველ ერს. პატიების უნარი არასდროს არის ადამიანური სისუსტის გამოვლინება. სუსტი ვერასოდეს გაპატიებს — ეს მხოლოდ ძლიერს შეუძლია... შემწყნარებლობის კულტურის დამკვიდრება ხელს შეუწყობს ჩვენს სიძლიერეს. ადამიანებმა საკუთარ თავში უნდა ვიპოვოთ ძალა, რომ მივუტევოთ, ვაპატიოთ ერთმანეთს, ვიყოთ ტოლერანტულნი საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისა და სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების, განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ. ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა, რომელიც უდავოდ გასათვალისწინებელია პროგრესული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. ასეთი შინაარსის ჟურნალი დიდ როლს შეასრულებს ქართული პოლიტიკური კულტურის განვითარების თვალსაზრისითაც“, — აღნიშნა რექტორმა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში.

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოკლედ მიმოიხილა ჟურნალის დაარსების ისტორია. მან ყურადღება გაამახვილა იმ მიზნებზეც, რასაც ამ ჟურნალის მთავარი იდეა და მრწამსი ემსახურება. სახალხო დამცველმა ისაუბრა საქართველოს თავისუფალ მასმედიაზე, მის დანიშნულებასა და პასუხისმგებლობაზე საზოგადოების წინაშე, ტელევიზიებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების როლზე დემოკრატიის განვითარების საქმეში.

„ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები აქტუალური თემატიკაა არა მარტო საზოგადოებისათვის, სტუდენტებისთვისაც... ისინი ხომ დემოკრატიული სახელმწიფოს მომავალი მსენელები არიან“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა მატილდა დიმოვსკამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას თანამშრომლობის, შეხედულებებისა და მოსაზრებების ურთიერთგაცვლისკენ მოუწოდა.

საზოგადოებასა და სტუდენტებს ურთერთთანამშრომლობა და დისკუსიებში მონაწილეობა შესთავაზა ჟურნალის რედაქტორმა ნინო ცინცაძემ. „თუ ჩვენი გამოცემა ქართველი ხალხის ინტერესს გამოიწვევს და ამას საზოგადოების მხრიდან გამოძახილი მოჰყვება, ეს ჩვენი ჟურნალის დიდი გამარჯვება იქნება“, — აღნიშნა ჟურნალის რედკოლეგიის წევრმა ბექა მინდიაშვილმა.

პრეზენტაციაზე აქტიურობდნენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტებიც, რომლებმაც ერთსულოვნად გამოთქვეს ჟურნალთან თანამშრომლობის სურვილი.

„სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“

„სტატისტიკა ყველასთვის“, — „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, — ამ სათაურით გამოიცა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულების პროფესორის ბიკენტი გაბიძაშვილის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, მაგისტრანტებისთვის, დოქტორანტებისთვის და, ასევე, ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის არის განკუთვნილი.

შურთხია გეროშვილი

სახელმძღვანელოს პრეზენტაცია უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა, რომელსაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ წიგნი დაწერილია ევრო-ამერიკული პროგრამის მიხედვით, მასში გაშუქებულია ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში სტატისტიკის გამოყენების აქტუალური საკითხები. თეორიული მასალა განმტკიცებულია პრაქტიკული მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნით.

ნაშრომში განხილული ზოგიერთი საკითხი, გარკვეულწილად, სიახლეს წარმოადგენს მსოფლიო სტატისტიკის განვითარების ისტორიაში. მათ შორის: მეთოდოლოგიური სრულყოფანი სტატისტიკური კვლევა-ძიებისა და მეთოდები სიღარიბის გაზომვის თაობაზე. სპეციალისტთა თქმით, ბიკენტი გაბიძაშვილის ეს მეთოდები უკვე აპრობირებულია.

ნაშრომი ავტორის მრავალწლიანი მუშაობის შედეგია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ცალკეულ მონოგრაფიებში და სახელმძღვანელოებში აისახა. პროფესორის განმარტებით, ეს პროგრამა მეტისმეტად პრაგმატული ხასიათისაა და როგორც ეკონომიკურ, ისე ბიზნესისა და მენეჯმენტის სტატისტიკაში უმნიშვნელო ცვლილებებით, ერთსა და იმავე საკითხებს განიხილავს. ეს საკითხებია: სტატისტიკის რაობა, სტატისტიკური განაწილებანი და გრაფიკები, სტატისტიკური სიდიდეები, ალბათობანი, შერჩევითი მეთოდი, მცირე შერჩევები და ჰიპოთეზები, ჰიპოთეზის კრიტერიუმები, კონფლიქტების ანალიზი, კორელაცია და რეგრესია, გადაწყვეტილების მიღება განუსაზღვრელობის პირობებში, შემთხვევითი სიდიდეები, აღწერილობითი სტატისტიკა.

ავტორმა გაითვალისწინა ევროპული სტატისტიკური სკოლის გამოცდილება და სახელმძღვანელო შეავსო ისეთი თემებით, როგორიცაა: სოციალურ-დემოგრაფიული სტატისტიკა, შრომის ბაზრის სტატისტიკა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, საფინანსო საბანკო და სადაზღვევო ბიზნესის სტატისტიკა, მარკეტინგული კვლევის სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა.

„სტატისტიკა, როგორც ადამიანთა მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის სფერო, ჯერ კიდევ უძველეს დროში ანბანის წარმოშობასთან ერთად გაჩნდა საზოგადოებაში. მას შემდეგ დღემდე სტატისტიკა ფართოდ გამოიყენება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში.

რა არის სტატისტიკა? მისი ძირითადი არსისა და შინაარსის შესახებ სწორი და მეცნიერული მსჯელობა მხოლოდ სპეციალური განათლების მქონე პირებს თუ შეუძლიათ. სტატისტიკური საქმიანობა ადამიანთა საზოგადოების პრაქტიკული თუ სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი უბანია. ამიტომ მისი წარმოშობა და განვითარება ჯერ კიდევ ბიბლიურ დროში დაიწყო. თვით ტერმინი „სტატისტიკა“ ლათინური სიტყვაა, რაც ნივთების, მოვლენების მდგომარეობას ნიშნავს.

საზოგადოების ისტორიული განვითარების აუცილებლობამ წარმოშვა სტატისტიკა, როგორც ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის სფერო და როგორც მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრიობის შემსწავლელი მეცნიერება“, — განმარტავს ავტორი.

როგორც ბიკენტი გაბიძაშვილმა აღნიშნა, სახელმძღვანელო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იწერებოდა. „ოცდათორმეტი წელი ვემსახურები ამ დარგს, ვკითხულობ ლექციებს. წიგნის შექმნას წინ უძღვოდა მონოგრაფიები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და სხვადასხვა სახელმძღვანელოების გამოცემა. ფაქტობრივად, ეს არის მეოთხე, შევსებული და შესწორებული გამოცემა“, — განაცხადა მან.

პროფესორის ინფორმაციით, 2008 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა მეოთხე შევსებული და გადამუშავებული სახელმძღვანელო — „პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, რომელიც უშუალოდ სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს ბიკენტი გაბიძაშვილის სახელმძღვანელომ — „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გაიმარჯვა ნომინაციაში — „საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი ეკონომიკაში“.

„მართლაც სამყაროა სტატისტიკა, როგორც ადამიანთა პრაქტიკული თუ სამეცნიერო საქმიანობის სფერო. იგი ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში, ბიზნესში, მენეჯმენტში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და სხვა დარგებში.

სტატისტიკის, როგორც მეცნიერებისა და ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროთა გამოყენების აუცილებლობა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა თანამედროვე განვითარებული მსოფლიოს ყველა სფეროში. მათ შორის ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. დღეს განსაკუთრებით საჭიროა არსებობდეს არა მარტო პროფესიონალური ჯგუფებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები, რომელიც აგებულია რთული მათემატიკური აპარატის გამოყენებით, არამედ ყველასთვის გასაგები ენით დაწერილი წიგნები ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოსაყენებლად“, — მიაჩნია პროფესორ ბიკენტი გაბიძაშვილს.

პოეტები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ იბადებიან საქართველოში

ანა კალანდაძის ხსოვნას

15 მარტს სრულიად საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა სახელმწიფო პრემიის, გალაკტიონისა და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული პოეზიის დედოფალი — ანა კალანდაძე. ქართულმა საზოგადოებამ ერთხმად მიიღო და მოიწონა სახელმწიფო დამკრძალავი კომისიის გადაწყვეტილება — ანა კალანდაძე მთაწმინდის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში დაეკრძალათ. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II სამების საკათედრო ტაძარში ანა კალანდაძის გამოსამშვიდობებელი პარაკლისი გადაიხადა. საქართველოს მთავრობის, საზოგადოების, ხელოვნების უამრავი წარმომადგენელი იყრიდა თავს. სამების საკათედრო ტაძრიდან პოეტი მთაწმინდაზე გადაასვენეს და სოლომონ დოდაშვილის საფლავის გვერდით დაკრძალეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია უერთდება ქართველი ხალხის სამძიმარს და მუხლს იყრის ქალბატონი ანას შემოქმედებისა და სიდიადის წინაშე.

თამარ მარუაშვილი

„მუზა მოფრენილი მზიდან
ჯვლავაც დაუბრუნდა მზეს“

ჯ. ჩარკვიანი

ქალბატონი ანა კალანდაძის პოეზიისა და პიროვნების საკადრისი რა უნდა დავწერო. სიცოცხლეში, ალბათ, ვერც გავუბედავდი... ვიცი არ დამიწუნებდა, უბრალოდ, ვერ მოვუყრიდი თავს იმ საჭირო სიტყვებს, რომელიც გულწრფელად გამოხატავდა მისი ლექსებით ანთებულ გრძნობებს და აღფრთოვანებას ჩემში. ვიცი, სიტყვას რა ძალა აქვს, მაგრამ მისი ლექსით განცდილი — უფრო დიდი იყო და ენით აუხსნელი... სულ მიკვირდა, ასეთი სადა, უბრალო სტრიქონებით როგორ შეეძლო სიტყვის ძალასა და მადლზე მაღლა დამდგარიყო... მისი სიტყვა სხვა ენერგეტიკისა და ღვთაებრივი ჰანგის მატარებელი იყო, რომელიც ხან ძვირფასი სამოსივით უხდებოდა და ზუსტად ერგებოდა შენს განწყობას, ხანაც სალბუნად დაედებოდა ყველაზე ახლობელი ადამიანისთვისაც კი გაუმხელელ ტკივილებს. იმ წუთში არავის და არაფერს შეეძლო ეთანაგრძნო და გაეგო შენთვის ისე, როგორც მისი ლექსის თუნდაც ორ სტრიქონს. ასეთი „ინტიმით“ ტკბობას სხვა ვერაფერი მოგანიჭებს... ეს იყო ის „თაფლი“, რომელიც მას პოეზიის უნაზესი და უფაქიზესი ნექტარით უგროვებია და თავისი ხალხის სულში სიყვარულის და უკვდავების სანთლებად დაუნთია.

ამ სანთლით გამთბარი მივუყვები პროცესიას... და დგება წუთი, როცა ადამიანების ხორციელი სიკვდილით დასჯას ვერ ვპატიობ უფალს. (უფალო მაპატიე!) რა ვქნა, არც მთაწმინდის წმინდა მიწისთვის მემეტება... მზის სხივებსა და ცისფერ ღრუბლებში სანანაოდ გავიმეტებდი მხოლოდ...

მაგრამ მჯერა მისივე სიტყვების:

„ქარი მოვა, მზეც ჩამოვა ხშირად ზენით,
და თბილ საფლავს
თვის ოქროს ფეხს დააბიჯებს,
მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,
...სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან,
ასეთია ქარიშხლიან სულის ბოლო“...

მენანებით, სიკვდილისთვის მენანებით... არ მეგულება ქვეყნად სულიერი, რომელიც კარგად იცნობდეს თქვენს პოეზიას და თავის ყოველდღიურ ცხოვრებას, სიხარულს, ტკივილს თქვენივე ლექსებით არ ილამაზებდეს. მჯერა, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა არც ერთის გულწრფელობაში და უსაზღვრო სინანულში იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება. ასეთი მართალი და გულით მოტირალი საქართველო დიდი ხანია აღარ მინახავს... არც ვინმეს საფლავთან საპატიო ყარაულში მდგარი ჩოხოსნების შესანდობარი მომისმენია სადმე... ამისთვის გმადლობთ, ქალბატონო ანა, გმადლობთ და მშვიდობით...

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ სხვისი ტკივილიც ხომ სათქმელია...

ნინო ბურჯანაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:

— კიდევ ერთხელ მინდა დავემშვიდობო ქალბატონ ანას, ვთქვა, რომ ქართულ პოეზიაში მისი ამქვეყნიური წასვლით დამთავრდა დიდი ეპოქა. თუმცა მან, თავისი წასვლის შემდეგ, დაგვიტოვა ის შემოქმედება, ის ლექსები, რომელიც მომავალი დიდი ეპოქების გაგრძელების და დასაწყისის საფუძველია. ბედნიერი ვიყავი, რომ ვიცნობდი ამ უდიდეს ადამიანს, საოცარ შემოქმედს და ხელოვანს. ჩვენს თაობას წილად ხვდა ბედნიერება მის ლექსებზე გავზრდილიყავით. ასეთი თაობები მრავლად ეყოლება საქართველოს, რომელიც ყოველთვის იამაყებს ქალბატონი ანას ლექსებით და ამ ლექსებით მოეფერებიან მის საყვარელ საქართველოს, მის მთაწმინდას... ანა კალანდაძის შემოქმედება ის ფენომენია, რომელიც დროის გასვლის შემდეგ კი არ გახდება დაფასებული, არამედ მის სიცოცხლეშივეა აღიარებული და დიდებული...

თამაზ გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:

— დღეს სრულიად საქართველო უკანასკნელ გზაზე აცილებს და ეთხოვება დიდ ქართველ პოეტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრს, აკადემიკოს — ანა კალანდაძეს. ჩვენგან წავიდა სიცოცხლეშივე ქართული პოეზიის კლასიკოსად აღიარებული, ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, ვისაც ერი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მხოლოდ სახელით მოიხსენიებს. ქართველმა ხალხმა ასეთი პატივი რჩეულთა შორის მხოლოდ რამდენიმეს მიაგო, სწორედ მათ გვერდით დაიმკვიდრებს ქალბატონი ანა სამარადისო განსასვენებელს.

პირველდაწყებითი და საშუალო განათლება ანამ ქუთაისში მიიღო. 1941-46 წლებში ის უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს — კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემდეგ იგი მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში იწყებს მოღვაწეობას.

ანამ ლექსის წერა 11 წლის ასაკიდან დაიწყო, უკანასკნელი ლექსი 80 წელს გადაცილებულმა დაწერა. მისმა დიდმა ნიჭიერებამ და განსაკუთრებულმა პოეტურმა შთაგონებამ პირველივე ლექსებით დაატყვევა ქართველი მკითხველი და მან იგრძნო, რომ მის წინაშეა ინდივიდუალობით გამორჩეული ახალგაზრდა შემოქმედი, რომელსაც თავის თანამედროვეებთან უშუალო და გულში ჩამწვდომი საუბარი სურს მშვენიერებაზე, სიყვარულზე, მარადიულ სულიერ ფასეულობებზე...

ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე უსაზღვროდ შეიყვარა ანა, ახლა კი მთელი ქართველი ხალხი, სრულიად საქართველო ეთხოვება დიდ პოეტს, გამორჩეულ მამულიშვილსა და მაღალი ზნეობის ადამიანს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ღვთით მომადლებულ საკუთარ ნიჭიერებას, რადგან იგი თავს მოვალედ თვლიდა მშობელი ერისა და მდიდარი მშობლიური კულტურის წინაშე.

თამაზ კვაჭანტირაძე, კრიტიკოსი:

— მძიმე დღე უდგას მარტო ქართულ მწერლობას კი არა, მთელ საქართველოს. ჩვენ გვყავდა თამარ მეფე და არა მეფე თამარი, პოეზიაში გვყავს — ანა მეფე. ანა მეფე წავიდა დღეს, მაგრამ ანა მეფეს ძალა იმაშია, რომ მის კვალზე მარტო ქართველი პოეტები კი არა, მთელი საქართველო უნდა დადგეს. ანას გზით სიარული ერთადერთი გზაა გადარჩენისა.

ინესა მერაბიშვილი, პროფესორი, ბაირონის საზოგადოების ხელმძღვანელი:

— გასული წლის შემოდგომა იყო. ქალბატონ ანას უნივერსიტეტის შემოსასვლელ კიბეებზე შევხვდი. ანას თანმხლებს მივესალმე, ქალბატონ ანას ვუთხარი: კრძალვის გამო ვერ გეამბორებითმეთქი. მან გაიხსენა ჩემი სატელევიზიო გადაცემა გალაკტიონის თარგმანებზე. ძალიან განვიცდიდი, რომ ქალბატონი ანას ლექსები არ მქონდა ნათარგმნი. გავიდა ხანი, როცა მისი ავადმყოფობის შესახებ გავიგე, ძალიან შემძრა ამ ამბავმა და გული დამწყდა, რომ არაფერი მითარგმნია მისი. იმ საღამოსვე გადმოვიღე ანას წიგნი და ჩემი ყურადღება მის ცნობილ ლექსზე შევაჩერე: „საქართველოო ლამაზო“. ეს ლექსი ჰიმნია საქართველოზე, დიდებულია ის მუსიკაც, რომელიც თემურ ნაცვლიშვილმა ამ ლექსზე შექმნა. როგორც კი ლექსის კითხვა დავიწყე, წამოვიდა და წამოვიდა სტრიქონები... ეს ის შემთხვევაა, როცა ლექსის მელოდია ითხოვს შენარჩუნებას, ინგლისური ენა ლექსს საოცრად მოუხდა, ალიტერაცია წამოვიღე, ბგერწერა და ის მელოდია შევინარჩუნე. აქვე მინდა წაგიკითხოთ ამ ლექსიდან პატარა ამონარიდი:

You, Georgia,
Beauty's Native Clime

"A land like you where shall I find?"
G. Orbeliani

For you winds sing a lullaby,
For you plane trees tell fairy-tales,
Though wooed by weeping willow's plight,
Oft ill I am with doubts in mind...
You, Georgia, beauty's native clime,
"A land like you where shall I find?"
The sky is lit with stars all bright,
The sky whose equal no one finds,
And when the moon is full of light
The heart, the heart is apt to fly.

ვთარგმნე ჩემთვის ძალიან საყვარელი უსათაურო ლექსიც: „თქვი არჯაკნელო ხვიარავ“... როცა ჩვენ ვსაუბრობთ ამაღლებულ, შემოქმედებითად არტისტულ ადამიანზე, ეს ლექსი ძალიან კარგად გადმოსცემს მის განწყობას, ანაც ხომ სულ ღრუბლებზე ფიქრობდა...

ანას წასვლა, როგორც გალაკტიონი იტყოდა „ვინა სთქვა შენი გარდაცვალება, არა სწორედ დღეს შენ დაიბადე“ — მისი ახალი დაბადება იყო. პოეტები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ იბადებიან საქართველოში და საქართველოსთან ერთად ცოცხლობენ. ეს ეხება ყველა დიდ შემოქმედსა და ხელოვანს...

როსტომ ჩხეიძე, კრიტიკოსი:

— ანა კალანდაძე არის მსოფლიო მოვლენა და მსოფლიო მოვლენა იყო იმთავითვე, როცა გამოჩნდა ლიტერატურის ასპარეზზე. ასეთი დებიუტი იშვიათია და იგი ქალბატონ ანას ერგო, ოღონდ ის, რომ მსოფლიო მოვლენაა, მხოლოდ ჩვენ ვიცით, ქართველებმა... მაგრამ დადგება დრო, როცა ამას ყველა აღიარებს, ეს გარდუვალია. პოეზიის თარგმნა შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, იმდენად, რომ იგრძნო პოეტის სიდიადე...

დარეჯან სუმბაძე, ახალგაზრდა პოეტი:

— ის ორიოდე წლის წინ ერთი წიგნის პრეზენტაციაზე ვნახე. ისეთი იყო, ადამიანებს ღრმა ასაკში სულის გამჭვირვალეობა ბავშვებს რომ ამსგავსებთ. გავიფიქრე, ახლა მივალ, თავზე ხელს გადავუსვამ. ვერ გავბედე...

ის ხალხს უყვარდა. ასე მგონია, პოეზია სულისათვის იმ აუცილებლობას შეესაბამება, რაც ხორცისთვის არის პური, წყალი, ჰაერი. ერთი მეორეს ვერ შეცვლის და ყველას თავისი დოზა გააჩნია. აი, ამ შესაბამისობით მიიღო მკითხველმა ანა – ჰაერი, რომელმაც თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მუსიკა შემოიტანა პოეზიაში, მსუბუქი და ხმოვნებიანი პოეზია. ანას გარეშე მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, არ ვაჭარბებ, უხმოვანო სიტყვას ჰგავს. პაოლო, ტიციანი, გალაკტიონი, შოთა, მუხრანი, მურმანი... და მათ შორის უკიდურესად მაღალი ოქტავის, უკიდურესად მაღალი ბგერის შესაბამისი ხმოვანი — ანა. იმას კი არ ვამბობ, რომ ეს თანხმოვნების ფუნქციას აკნინებს, სპექტრული მრავალფეროვნების ფონზე ანა — ხმოვანია.

პოეტები, და ალბათ ეს ხელოვანების ხვედრია, ახერხებენ იცხოვრონ ყველა დროში დროის გარეშე. ახერხებენ შექმნან საკუთარი დრო და სივრცე. პოეტი არ არის წოდება, იერარქიული ფორმა, მემკვიდრეობა, რომ ვინმეს გადასცე, მიანიჭო. ბესიკ ხარანაული ამბობს: „არც ღონით და არც ჭკუით — ერთი ცრემლით მეტია“-ო პოეტი.

ივანე ამირხანაშვილი, კრიტიკოსი:

— უცნაურია, დღეს, როცა ანა კალანდაძეს უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ, როცა პოეტი ჩვენ შორის აღარ არის, ვგრძნობთ, რომ ის ყველაზე უფრო ახლაა ჩვენთან, ჩვენ შორის, ჩვენს გულებში.

პოეტები არ კვდებიან, პოეტები არ მიდიან, ისინი მუდამ ცოცხლობენ, მუდამ მოდიან ჩვენი გულებისკენ. სასწაული იყო მისი გამოჩენა ქართულ პოეზიაში.

ძველი თაობის მწერლები ხშირად იხსენებენ ხოლმე 1946 წლის 25 მაისს მწერალთა კავშირის სახლში გამართულ პოეზიის საღამოს, სადაც ოცდაერთი წლის ანა კალანდაძემ წაიკითხა თავისი უჩვეულოდ ნაზი და ამაღლებული სტრიქონები და ამით გვამცნო ახალი ქართული ლირიკის დაბადება.

ანა კალანდაძე სამუდამოდ დარჩება ქართული პოეზიის დედოფლად, მას ვერავინ შეცვლის, ვერავინ დაიკავებს ადგილს, რომელიც მას ღმერთმა უბოძა.

ანა კალანდაძემ პოეზია დაინახა იქ, სადაც სხვები ვერაფერს ამჩნევდნენ, მან ქართულ სიტყვას დაუბრუნა ის სიხალისე, რაც ყველაზე ახლოს არის დედაენის ძირეულ შინაარსთან. ქართულმა პოეტურმა ენამ ანა კალანდაძის ლექსებში სრულყოფილებას მიაღწია. ეს ენა არასოდეს გახუნდება, ყოველთვის იქნება ცოცხალი და სიცოცხლის დამბადებელი.

დასრულდა დრო, როცა ანა კალანდაძე ჩვენი თანამედროვე იყო.

დაიწყო დრო, როცა მუდამ თანამედროვე იქნება ანა კალანდაძე — დაუსრულებელი სასწაული.

ჯანსულ ჩარკვიანი, პოეტი:

— ვადღეგრძელებდი ხოლმე და ვეუბნებოდი: მზისკენ გაფრენილი მშვენიერება ხარ-მეთქი, მსაყვედურობდა, მაგას ნუ მეუბნებიო. იცით რა, სულ ვფიქრობდი, რომ არ იცოდა ვინ იყო. ანაზე მორიდებული შემოქმედი იშვიათად შემხვედრია. მაგრამ ქართველმა მკითხველმა ხომ იცოდა ვინ იყო ანა კალანდაძე. ის იყო საოცრება...

ბოლო დროს ავადმყოფობდა. საავადმყოფოში მივედი და ჩემი ლექსი მივუტანე. ცუდად იყო, ხმას ვეღარ იღებდა. ლექსი წავუკითხე. – ჯანუკი... მეგობარივით მომმართა ანამ და თვალები გაახილა. საოცარია, ქალბატონი ანა მობრუნდაო, — მითხრა მკურნალმა ექიმმა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა... როცა სამძიმრის სათქმელად ოჯახში მივედი, ჩემი ლექსი ჩარჩოში ჩასმული კედელზე ეკიდა. მთხოვეს გამოქვეყნება, მაგრამ უარი მიიღეს. ის ლექსი ქალბატონი ანას ოჯახში კიდია და იქ დარჩება-მეთქი. დღეს დილით კი ეს ლექსი მივუძღვენი ქალბატონ ანას:

„ზეცის ანგელოზთა კრებულს
უკმევს სურნელოვან ფერს,
სიტყვას სიყვარულით შებმულს
საღვთო საიდუმლოს ჰფენს.
ტვირთი სიყვარულით ზიდა
სთხოვა ზიარება ზვრებს,
მუზა მოფრენილი მზიდან
კვლავაც დაუბრუნდა მზეს“.

ვხედავ, ქალბატონო ანა, რომ კიდევ ბევრს სურს გითხრათ თავისი სათქმელი, სიყვარული გაგიმხილოთ, მაგრამ არ შეუძლიათ... მათი ცრემლი ყველაფერზე მეტყველია ახლა. ყველა სულგანაბულია და უსმენს ქარის ნაცნობ იავნანას, ზღაპრების მოსაყოლად ემზადებიან ჭადრები, ცა კი ისეთი ახლოა, ისეთი ღრმა და გამჭვირვალე, რომ გგონია საცაა ხელით მისწვდები...

„დრო მასზე მუშაობს!“

თსუ-ში არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 110 წლის იუბილე აღინიშნა



24 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის თაოსნობით ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის ***არნოლდ ჩიქობავას*** *დაბადებიდან 110 წლის იუბილე აღინიშნა.*

ღონისძიება აკადემიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-გამოფენით გაიხსნა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში გამართული სამეცნიერო სესიით დასრულდა.

შურთხია ბეროშვილი

მეოცე საუკუნის უდიდესი ენათმეცნიერის, ქართული და ქართველური ენების მკვლევარის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელს უკავშირდება უნივერსიტეტში ქართული და კავკასიური ენათმეცნიერების ძლიერი სამეცნიერო სკოლის დაფუძნება. იგი ასევე ცნობილია, როგორც ქართული ენათმეცნიერების აზრის ისტორიკოსი, ზოგადი ენათმეცნიერების თეორეტიკოსი, აღწერითი და შედარებითი ქართველური ენათმეცნიერების გამორჩეული წარმომადგენელი.

„მსოფლიო კავკასიოლოგთა აღმზრდელი, მოძღვარი და დიდი საზოგადო მოღვაწე“ — ასე შეაფასეს მეცნიერის ღვაწლი კონფერენციის მონაწილეებმა.

დამსწრე საზოგადოებას ეს მნიშვნელოვანი თარიღი უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მიულოცა, რომელმაც აკადემიკოსის სამეცნიერო მიღწევებსა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„სასიხარულოა, რომ უნივერსიტეტი პატივს მიაგებს დიდი ქართველი მეცნიერის, ბატონი არნოლდ ჩიქობავას ხსოვნას. მან დააარსა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც მთლიანად კონცენტრირებული იყო სწორედ იბერიულ-კავკასიურ ენათა და ისტორიის შესწავლაზე. აფხაზეთის, დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სტატუსი იმ დიდ აღიარებაზე მიანიშნებს, რომელიც მას კავკასიაში ჰქონდა როგორც მეცნიერს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ივანე ჯავახიშვილის, ლომონოსოვის პრემიების ლაურეატს, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების პირველ საპატიო წევრს საქართველოდან, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთერთ დამაარსებელს — ეს არის არასრული ჩამონათვალი რეგალიებისა, რაც ქართველი მეცნიერის საერთაშორისო აღიარებაზე მიუთითებს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და ეს დღე მეცნიერის ყოფილ მოსწავლეებსა და სტუდენტებსაც მიულოცა. მისი თქმით, იუბილეს აღნიშვნა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ არნოლდ ჩიქობავას მიერ მყარად საფუძველჩაყრილ ტრადიციებს სამომავლოდ გაგრძელების და განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს. „უახლოეს ხანში გამოვა არნოლდ ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალის“ ახალი გამოცემა, ამ მიმართულებით კიდევ თხუთმეტამდე წიგნის გამოცემაა დაგეგმილი, რომელიც უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დაიბეჭდება. უნივერსიტეტს მართლაც შეუძლია იამაყოს ამ სამეცნიერო და აკადემიური მემკვიდრეობით“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ინფორმაციით, არნოლდ ჩიქობავას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, მთელ რიგ ღონისძიებებს გეგმავს: ახლო მომავალში მეცნიერებათა აკადემიაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და საზეიმო პლენარული სხდომა გაიმართება, რომელიც მეცნიერის დაბადებიდან 110 წლისთავს მიეძღვნება.

მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა პროფესორმა ცირა ბარამიძემ. მისი აზრით, არნოლდ ჩიქობავა უნიკალური მოვლენაა ენათმეცნიერებაში. „ძნელია მოიძებნოს სხვა მეცნიერი, რომელიც ერთდროულად იკვლევდა როგორც, ზოგადად, ენასა და მის ფუნქციებს, ისე კონკრეტულად ქართულ, ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ენებს, მათ ფონეტიკურ-გრამატიკულ სტრუქტურას, ისტორიულ და გენეტიკურ ურთიერთობებს, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიას, სალიტერატურო ქართული ენის ნორმალიზაციის საკითხებსა და ტერმინოლოგიას“, — აღნიშნა მან.

ცირა ბარამიძემ არნოლდ ჩიქობავას ცხოვრების უცნობი დეტალები, მისი ბავშვობა, ყრმობა და ის წლებიც გაიხსენა, როდესაც იგი 1918 წელს ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე ჩაირიცხა. 1922 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, იგი აკაკი შანიძის წარდგინებით „პროფესორობისთვის მოსამზადებლად“ დატოვეს, მუშაობდა ქართულ ხელნაწერებზე და ქართულ დიალექტოლოგიაში, ზოგად ენათმეცნიერებაში, ფსიქოლოგიის სემინარში.

1929 წელს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან მან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. დისერტაციის დაცვის მთელმა პროცესმა აშკარა გახადა, რომ თბილისის უნივერსიტეტს შესწევდა ძალა — მოემზადებინა კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მეცნიერების განვითარების საქმეში თავიანთ სიტყვას იტყოდნენ. 1933 წელს არნოლდ ჩიქობავა პროფესორად დაამტკიცეს.

სალიტერატურო ქართული არნოლდ ჩიქობავას კვლევისა და განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. იგი იკვლევდა ქართულ ენას დიალექტებითურთ, იკვლევდა მწერლის ენას, ინტენსიურად მუშაობდა სალიტერატურო ქართული ენის ნორმალიზაციის საკითხებზე. სწორედ მას ეკუთვნის ფუძემდებლური პრინციპები ამ ნორმების დადგენისა. იგი იყო ფუნდამენტური რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონის რედაქტორი.

1924 წელს თავის საპროგრამო ხასიათის წერილში არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა: „ქართულსა და მის მონათესავე მეგრულ-სვანურის გარდა სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენო“. აქვეა დასახული ის გზები და თეორიული წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც უნდა წარმართულიყო და წარიმართა კიდეც ჩვენში საენათმეცნიერო მუშაობა ამ ენათა შესასწავლად.

საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას ადგილზე, როგორც იტყვიან, საველე პირობებში. მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შემდგომი კვლევა-ძიების წარსამართად შეიქმნა სათანადო სამეცნიერო სასწავლო სტრუქტურული ერთეულები: უნივერსიტეტში — კავკასიურ ენათა კათედრა (1933წ), ამ კათედრასთანვე ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება, რომლის მიზანი იყო ლინგვისტ-კავკასიოლოგთა მომზადება, 1936 წელს კი ნიკო მარის სახელობის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში კავკასიურ ენათა განყოფილება დაფუძნდა. ორივე სამეცნიერო დანაყოფის ხელმძღვანელი არნოლდ ჩიქობავა იყო. მან მნიშვნელოვნად განაპირობა, რომ ამ ენათა კვლევა ორივეგან ერთიანი სამეცნიერო გეგმით მიმდინარეობდა და ერთმანეთის მუშაობას ავსებდა.

არნოლდ ჩიქობავას, მისი კოლეგებისა და მოწაფეების მიერ ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი საენათმეცნიერო დისციპლინა. ტერმინით — იბერიულ-კავკასიური ენები — აღინიშნება გენეტიკურად დაკავშირებული ენათა ერთობლიობა, ოჯახი; ესაა — ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენები. არნოლდ ჩიქობავა ამ ენათა თავდადებული დამცველი და პროპაგანდისტი იყო. მან ამ ენათა ნათესაობის დასაბუთებას, მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას არაერთი მონოგრაფია თუ თეორიული ხასიათის გამოკვლევა მიუძღვნა.

საქართველოში გამოქვეყნდა არაერთი მთის კავკასიური ენის აღწერითი გრამატიკა, განმაზოგადებელი სახის რამდენიმე ნაშრომი, კერძო გრამატიკული საკითხისთვის მიძღვნილი გამოკვლევები, მონოგრაფიები, ცალკეული სამეცნიერო წერილები, სამეცნიერო კრებულები და სხვა, ყველა მათგანს არნოლდ ჩიქობავას ხელი ატყვია — ან როგორც ავტორისა, ან როგორც რედაქტორისა, ან როგორც კონსულტანტისა, ან როგორც „შინაგანი ცენზორისა“.

1946 წლიდან გამოდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, რომლის რედკოლეგიის წევრი არნოლდ ჩიქობავა გახლდათ, 1974 წლიდან კი მან საერთაშორისო კავკასიოლოგიური ორგანო — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ დააფუძნა.

არნოლდ ჩიქობავას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა ქალაქში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილი რეგიონული სამეცნიერო სესიები, რომელზეც სუფევდა აზრთა ურთიერთგაზიარების მეგობრული ატმოსფერო, რაც დიდად უწყობდა ხელს სპეციალისტების ურთიერთდაახლოებასა და კოლეგიალურ ურთიერთობას.

არნოლდ ჩიქობავა იყო აღმზრდელი კავკასიოლოგთა რამდენიმე თაობისა, რომელთა წარმომადგენლები დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ საქართველოში, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რეგიონში, უცხოეთში. მისი დიდი ამაგის დაფასების ერთერთი გამოვლენაა ის, რომ მას მინიჭებული აქვს ოთხი ავტონომიური რესპუბლიკის (დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, აფხაზეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ცირა ბარამიძის ინფორმაციით, მეცნიერი ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას, კითხულობდა არაერთ საგანს. მის მიერ წაკითხულ თითქმის ყველა სასწავლო დისციპლინაში არნოლდ ჩიქობავამ შექმნა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. მეცნიერულ მონაპოვარს იგი ხალხის სამსახურში იყენებდა. აქვეყნებდა მასწავლებლებისთვის სპეციალურ წერილებს ქართული ენის აგებულების რთულ საკითხებზე, მონაწილეობდა საშუალო სკოლების პროგრამების შედგენაში.

„თავისი მოწოდებით არნოლდ ჩიქობავა მოძღვარი იყო. იგი თითქოს ახლაც თავის გამჭოლი მზერით გადმოგვცქერის და მრავალმნიშვნელოვნად გვეკითხება: „რასა ვიქმთ, კოლეგა?“ — განაცხადა ცირა ბარამიძემ.

როგორცპროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ აღნიშნა, საჭიროა მეცნიერის ნაღვაწის ობიექტური, ღრმა, ყოველმხრივი კვლევა და მისი უმდიდრესი სამეცნიერო პროდუქციის თავმოყრა, სისტემატიზება და შრომების სრული კრებულის გამოცემა პირად არქივთან ერთად.

„როგორც ცნობილია, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა გამოირჩეოდა სამეცნიერო ინტერესთა ფართო თვალსანიერით. მკვლევარისთვის დამახასიათებელი ეს ნიშანდობლივი თვისება კარგად ჩანს კავკასიოლოგიურ ნაშრომებშიც. მათგან სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არნოლდ ჩიქობავას მონოგრაფია-სახელმძღვანელოს — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, რომელიც 1979 წელს გამოიცა. ავტორმა წიგნში მიაღწია კავკასიოლოგიისთვის ყველაზე მთავარ მიზანს: უკლებლივ ყველა იბერიულ-კავკასიური ენის, მათი მიკროვარიანტების ფონეტიკურ-მორფოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური მასალის ღრმა და ყოველმხრივ გამართული ანალიზის საფუძველზე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ნათესაობის პრობლემა. დასანანია, რომ ამ ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემიდან გასული თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ვერ მოხერხდა წიგნის თარგმნა და მისი რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემა, რაც საშუალებას მისცემდა აფხაზ, აბაზა, ადიღელ, ყაბარდოელ, ინგუშ, ჩეჩენ და დაღესტნელ ლინგვისტებს ამ წიგნით აღეზარდათ ენათმეცნიერთა ახალი თაობები და მის დებულებებზე დაყრდნობით უფრო ღრმად გამოეკვლიათ თავიანთი ენები. შედეგად სხვა ეროვნების კოლეგები დარწმუნდებოდნენ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობა რეალობაა და არა მონაგონი. თუმცა, აქვე დავძენ, რომ ყინული უკვე დაიძრა და დასასტამბად მზადდება ამ წიგნის რუსული თარგმანი“, — აღნიშნა თეიმურაზ გვანცელაძემ.

მისი ინფორმაციით, მეცნიერი მამობრივ ზრუნვას იჩენდა თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ ჩრდილოეთკავკასიელი სტუდენტების, ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მიმართ. ეხმარებოდა მათ საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში, ამარაგებდა სამეცნიერო ლიტერატურით და ისე უწევდა დახმარებას, რომ არ შელახულიყო ამაყი კავკასიელების პირადი ღირსება.

როგორც მისი ჩრდილოკავკასიელი კოლეგები იხსენებენ, ყველაზე არსებითი ის იყო, რომ იგი თავის მონაფეებს შთააგონებდა: არა აქვს მნიშვნელობა ეთნოსის რიცხოვნობას, ყოველი ხალხი განუმეორებელია, ყოველი ენა ღირსია ღრმა მეცნიერული კვლევისა და სათუთად მოპყრობისა, რომელიმე ენისა და ეთნოსის გაქრობა საკაცობრიო ტრაგედიაა, იამაყეთ იმით, რომ თქვენი ეთნოსი განსხვავდება მსოფლიოს ყველა ხალხისგანო. ჩრდილოეთ კავკასიაში დღესაც მოიძებნება ისეთი ოჯახები, სადაც არნოლდ ჩიქობავასა და მის ქართველ თანამოაზრეთა პორტრეტები ყველაზე საპატიო ადგილზე ჰკიდია, ხოლო ოჯახის უფროსები მადლიერნი არიან, რომ ისინი ბედმა ქართველ მეცნიერებთან დააკავშირა.

როგორც პროფესორმა ვაჟა შენგელიამ აღნიშნა, ბატონი არნოლდ ჩიქობავას იუბილე უნივერსიტეტის საიუბილეო წელს სიმბოლურად ემთხვევა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალი წოდებით და რეგალიით შემკული ადამიანი იყო, მას ყველაზე დიდ რეგალიად უნივერსიტეტის პროფესორობა მიაჩნდა.

„იგი ძალიან დიდი ნებისყოფის ადამიანი იყო, არასოდეს თავისი სამეცნიერო დებულებების თუ სამეცნიერო მიზნებისთვის არ უღალატია. 1923 წელს თბილისში დაარსდა საენათმეცნიერო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ პროფესორი გიორგი ახვლედიანი დაინიშნა, მდივნად კი — არნოლდ ჩიქობავა. საზოგადოება 1929 წელს შეამოწმეს. არნოლდ ჩიქობავას ჰკითხეს, როგორ ესახებოდა ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა. ბატონმა არნოლდმა უპასუხა: ჩვენ ახლა ფაქტებს ვაგროვებთ, ამ ეტაპზე კი ენათმეცნიერებისთვის მარქსიზმს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მინერალოგიისათვისო. ამის საპასუხოდ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც ეწერა: „ჩიქობავას საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ მინერალოგიასაც სჭირდება მარქსიზმი და ენათმეცნიერებასაც“... ამას მისი მდივნობიდან გათავისუფლება მოჰყვა. მას ხშირად ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცვაში ადანაშაულებდნენ, მაგრამ ძალიან პრინციპული იყო და თავის მრწამსს არ ღალატობდა“, — აღნიშნა ვაჟა შენგელიამ.

მეცნიერი მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა, პროფესორებმა: ნათელა ქუთელიამ, რუსუდან ჯანაშიამ და ზურაბ ჭუმბურიძემაც გაიხსენეს.

რუსუდან ჯანაშიამ მათი ოჯახების ურთიერთობასა და მეგობრობაზე მოუთხრო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას. მან გაიხსენა, თუ როგორ შეასწავლა დიდმა მეცნიერმა შვიდი წლის გოგონას წერა-კითხვა.

„ბატონი არნოლდი იყო ჩემი სამოქალაქო ნათლია. ის და მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრები იყვნენ. ყოველთვის თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს როგორც მატერიალურ მდგომარეობას, ისე საგანმანათლებლო საქმიანობას. ძალიან გვანებივრებდნენ მე და ჩემს ძმას, მაგრამ ინსტიტუტში მოწყობისას ეს ნაცნობობა არ გამოგვიყენებია.

ძალიან საინტერესო იყო მისი ცხოვრების წესი. მას 1945 წელს მარცხენა მხარი წაერთვა და სისხლი ჩაექცა. მიუხედავად ამისა, მისი ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები ამ წლებში შეიქმნა“, — აღნიშნა ქალბატონმა რუსუდან ჯანაშიამ.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, რაც დრო გავა, არნოლდ ჩიქობავას მოღვაწეობა კიდევ უფრო მეტად დაფასდება: „დრო მასზე მუშაობს!“

პოლონელმა ღვთისმეტყველმა და მათემატიკოსმა, აწ გარდაცვლილი პაპი იოანე პავლე მეორეს უახლოესმა მეგობარმა, მიხეილ ჰელერმა ყველაზე დიდი სამეცნიერო პრემია მიიღო გამოკვლევისათვის, რომელიც ასაბუთებს — თუ როგორ შეიძლება მათემატიკამ, არაპირდაპირი გზებით, ღმერთის არსებობა დაადასტუროს. სამოცდათორმეტი წლის კოსმოლოგიისა და ფილოსოფიის პროფესორი მიხეილ ჰელერი მათემატიკისა და მეტაფიზიკის განხრით მუშაობს. ეს პრემია კი – 820 ათასი ევრო – მას ნიუ იორკში გადასცეს.



მიხეილ ჰელერის თეორიები იმდენად ღმერთის არსებობას არ ადასტურებს, რამდენადაც ეჭვებს ბადებს — არის თუ არა ჩვენს ირგვლივ სამყარო ნამდვილად მატერიალური. მან შეიმუშავა რთული ფორმულა, რომელიც ყოველივეს, მათ შორის შემთხვევითობასაც მათემატიკური გაანგარიშების საშუალებით ხსნის.

ფონდი ტემპლტონი, რომელმაც მეცნიერს პრემია გადასცა დევიზით: „სულიერი რეალიების სფეროში კვლევებისა და აღმოჩენების პროგრესისათვის“ 1973 წელს დაარსდა და პრემიის თანხას ყოველწლიურად ზრდის, რათა ნობელის პრემიას გაუტოლდეს. თავად მიხეილ ჰელერმა მაშინვე განაცხადა, რომ ამ თანხას კრაკოვში, კოპერნიკის სახელობის ცენტრის დასაარსებლად გამოიყენებს. ეს ცენტრი კი სწორედ სამეცნიერო და თეოლოგიური კვლევებით დაკავდება.

კათოლიკური ეკლესია გალილეო გალილეისა და მარტინ ლუთერის რეაბილიტაციისთვის ემზადება. პაპი ბენედიქტ XVI განცხადებით, გალილეო გალილეის ქანდაკება ვატიკანში სწორედ იმ ოთახის ფანჯრების წინ აღიმართება, სადაც ასტრონომი სასამართლოს ელოდებოდა. ამ ცოტა ხნის წინ, უნივერსიტეტმა პაპის მიღებაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ეპისკოპოსობის პერიოდში, ამ უკანასკნელმა გალილეო გალილეისა და ჯორდანო ბრუნოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ამჯერად კი, პაპის სამეცნიერო აკადემიის წევრმა, ბირთვული ფიზიკის პროფესორმა ნიკოლო კაბიბომ განაცხადა, ეკლესიას ამ ნაბიჯით გალილეის საქმის დახურვა, მისი მემკვიდრეობის გადაფასება და მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთდამოკიდებულების მტკივნეული თემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარება სურსო. მარტინ ლუთერის საკითხი კი რამდენადმე სხვაგვარად დგას და გაცილებით პრობლემატურია. როგორც ცნობილია, ამ გერმანელმა თეოლოგმა საფუძველი რეფორმაციასა და პროტესტანტულ მოძრაობას ჩაუყარა. კათოლიკური ეკლესია კი მის იდეებს დღემდე არ აღიარებს. მოარული ხმების მტკიცებით, ვატიკანში სერიოზულად ეძებენ გზებს, რათა ლუთერის სახელი ამ მიმდინარეობისგან გამოაცალკეონ.

ბიომეტრია უფრო და უფრო იკიდებს ფეხს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადრე თითების ანაბეჭდი მხოლოდ პოლიციას აინტერესებდა, დღეს კი მისი გამოყენება სხვა სფეროებსაც სურთ. მაგალითად, ლონდონის აეროპორტში მანქანის დაქირავება მხოლოდ თითების ანაბეჭდის დატოვების შემდეგ შეიძლება. ეს პოლიციისა და გამქირავებელი ფირმის ერთობლივი ექსპერიმენტია, თუმცა იგი ყველა კლიენტისთვის სავალდებულოა. მანქანის მოპარვის ან უბედური შემთხვევის შემდეგ, ფირმა პოლიციას თითების ანაბეჭდს გადასცემს, ეს კი მათ მუშაობას ძალიან აიოლებს. „ეს პირად ცხოვრებაში შეჭრას არ ნიშნავს, უბრალოდ, ახალ წესრიგს უნდა მივეჩვიოთ. პოლიცია ხომ ამ ანაბეჭდს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მიიღებს“ — განაცხადა პოლიციის სერჟანტმა. რა თქმა უნდა, ახალი წესრიგი ბევრს არ მოეწონა და ზოგიერთებმა სასამართლოსაც კი მიმართეს. მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში ბიომეტრიის პროცესი კვლავ ვითარდება. უკვე გაჩნდა პასპორტი, რომელშიც მიკროჩიპია დამონტაჟებული მფლობელის მონაცემებით. ასეთი პასპორტი მილიონზე მეტმა ადამიანმა ნებაყოფლობით აიღო. უახლოეს მომავალში, სუპერმარკეტებშიც საკრედიტო ბარათების ნაცვლად, ალბათ, თითების ანაბეჭდს გამოიყენებენ.

მეცნიერებმა ადამიანის სიამოვნების რეიტინგული სია შექმნეს. ამ ორმოცდაათ პუნქტიან სიაში, ინტიმური სიამოვნების, შიმშილისა და წყურვილის მოკვლის გარდა, შემდეგი საინტერესო პუნქტები გაჩნდა:

1. სარკეში საკუთარი თავის თვალიერება.
2. დიდი ფულის მიღება.
3. უსიამოვნო სტუმრის თავიდან მოშორება.
4. ახალი ნივთის შეძენა.
5. ძაღლისთვის ან კატისთვის ხელის გადასმა.
6. ცხვირის დაცემინების უკანასკნელ მომენტში განცდილი აღტაცება.
7. საყვარელი გუნდის მიერ გატანილი გოლი.
8. ახალი ავტომობილით დიდი სისწრაფის განვითარება.
9. სხვისი წერილის წაკითხვა და სატელეფონო საუბრის მოსმენა.
10. უკანასკნელი პაემნის მოუთმენელი მოლოდინი.
11. გაქათქათებულ თეთრეულში ჩაწოლა.
12. ინტიმური სიახლოვის მომენტის გადავადება – ქალებისთვის.
13. ქალის სხეულის თვალიერება – მამაკაცებისთვის.
14. სხვისი უბედურების ამბავი – „მადლობა ღმერთს, მე ამცდა!“
15. გემრიელი საჭმელი, რომელშიც ფული სხვამ გადაიხადა.

მასალა მოამზადა **მანანა მიქელაძემ**

ბრინჯაოს ხანის ყინულის კაცის — „ოტცის“ დეტექტიური ისტორია

გურამ ლორთქიფანიძე, პროფესორი

1991 წლის სექტემბერში ავსტრიაში ყოფნისას არქეოლოგიური სენსაციის მოწმე გავხდი. ავსტრიის ტელევიზია მრავალსაათიან რეპორტაჟს აწარმოებდა, რასაც მთელი ევროპაც ადევნებდა თვალს. ე.წ. იტალიის ალპებში, ხაუსლაბიეხთან მყინვარ სიმილაუნთან 21 მეტრიან ხრამის პირას ალპინისტებმა ჰელმუტ და ერიკა სიმონებმა შეამჩნიეს ყინულსა და თოვლის ნამქერში შავი ფერის უცხო სხეული. ახლოს მისვლისას ცოლ-ქმარი დარწმუნდა, რომ ეს იყო ადამიანის გვამი. გამოიძახეს ჟანდარმები, რომლებმაც კრიმინალური ძიების სირთულისა და გარკვეული პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით განაცხადეს: მიცვალებული იტალიის ტერიტორიაზე კი არ იყო, არამედ ავსტრიას ეკუთვნოდა და შესაბამისად ავსტრიის ჟანდარმერიამ უნდა აწარმოოს გამოძიებაო. ამის გამო, ეს უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა ავსტრიის პროკურატურის — ფემიდის განკარგულებაში აღმოჩნდა. გაიხსნა საქმე 91/619 და ყინულის ტყვეობისგან ცხელი ჰაერის ჭავლით დახსნილი გვამი პოლიციის პათოლოგანატომებს გადაეცა. ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ არაჩვეულებრივ არქეოლოგიურ აღმოჩენასთან ჰქონდათ საქმე. ინსბრუკის უნივერსიტეტიდან მოიწვიეს არქეოლოგი კონრად შპინდლერი, ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგად წარმოჩინდა შემდეგი სურათი: 5 ათასი წლის წინათ, ჩია კაცი, 160 სმ. სიმაღლისა, მთაში სიარულისგან დაღლილი, ძალების მოსაკრებად, ხრამის ძირში, ბალახისა და ფოთლების გროვაზე დაწოლილა (მარცხენა გვერდზე), თავქვეშ ქვა დაუდია. ფიქრობენ, რომ დასვენებისა თუ ძილისთვის თადარიგიც დაუჭერია — ხისტარიანი, სპილენძის ცული, კაპარჭი (ძვლისპირიანი ისრებით), მშვილდი და ბაგა კლდეზე დაუდვია. მას აქ მოუსწრო სიკვდილმა, რომლის მიზეზი, სავარაუდოდ, ჭრილობები და ქარბუქი გახლდათ. მისი სხეული თოვლისა და ყინულის ფენამ დაიცვა, ამიტომ მეცნიერებს მისი სრული, კომპლექსური შესწავლის უნიკალური საშუალება მიეცათ.

რადიონახშირბადის მეშვეობით დადგინდა ოტცის ცხოვრების ხანა – ძვ.წ. 3350-3300 წლების პერიოდი. ბიოლოგებმა დაადგინეს ყინულ-კაცის ასაკი — 47 წელი და წონაც — 50 კგ. დნკ-ს თანახმად ის ე.წ. გვიანი ევროპეიდების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. სიკვდილის მომენტში ოტცი ძალაგამოცლილი და მშიერი ყოფილა, კუჭი ცარიელი ჰქონდა, ხოლო ორგანიზმი დასუსტებული, გამოფიტული. შემორჩენილი თმების სიგრძე 9 სმ აღწევდა. კბილები კარგ მდგომარეობაში ჰქონდა, თუმცა საკმაოდ გაცვეთილი კევის – არყის ხის კანის რეგულარული ღეჭვის გამო. მას სერიოზულად აწუხებდნენ პარაზიტები, რევმატიული ართრიტები, ცუდად შეხორცებული ტრამვები. სპეციალისტებმა კიდურებით და ფრჩხილებით დაადგინეს, რომ მას მუდმივად მძიმე, ფიზიკური შრომა ჰქონია. დათვისა და ირმის ტყავისგან შეკერილი და თივით ჩათბუნებული ფეხსაცმელები ეცვა, რომელიც თასმებით იკვრებოდა. მისი ტყავისა და ბეწვეულის ტანსაცმელი ზუსტად მიესადაგებოდა მთაში ცხოვრების წესებს. თავზე ბეწვის ქუდი ეხურა, რომელიც ნიკაპქვეშ ტყავის თასმებით იკვრებოდა. წამოსხმული ჰქონდა ალპურ მცენარეთა ბოჭკოებისაგან მოქსოვილი მოკლე ლაბადა. ეთნოგრაფების დასკვნით, მსგავს წამოსასხამებს ალპებში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგსაც ატარებდნენ. ოტცის წამოსასხამის ქვეშ თხის ტყავის უსახელო ტყაპუჭი ეცვა, თხის ტყავის ერთმეტრიანი ნაჭერი წელამდე ჰქონდა შემოხვეული და ლაჯებში გატარებული. წელზე ერტყა ტყავის ქამარი, მასზე ჩამოკიდებული ჰქონდა კაჟის, იფნის ხისტარიანი დანა — ტყავის ბუდეში. მას აღმოაჩნდა კაჟის იარაღის ძვლის ხისტიანი ე.წ. რეტუშიორი სამუშაოს პირის გასაწყობად. საერთო ჯამში, ოტცის თან ჰქონდა ხისგან დამზადებული 18 სახეობის საგანი, მათ შორის ჩვენთვის უცნობი დანიშნულებისა. აღმოჩენილია აგრეთვე არყის ხის ტყავისაგან დამზადებული ტორბები, ნაღვერდალის გადასატანი თავისებური კონტეინერები. გარდა ამისა, ოტცის პატარა ქისაში კვესი და აბედი ეწყო, ზურგჩანთაში გარეული თხის გამომშრალი ხორცის ნაჭერი და გამხმარი სოკოები ედო. ისინი ეკუთვნოდნენ ე.წ. არყისხის სოკოთა სახეობას. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მათ ევროპის ხალხურ მედიცინაში სისხლდენის შეწყვეტის საშუალებად იყენებდნენ. ოტცის კისერზე ქვის მძივების ყელსაბამი ეკეთა, მუხლები და ზურგის ნაწილი დასვირინგებული, ტატუირებული ჰქონდა...

ახლახან, რენდგენის მეშვეობით დადგინდა, რომ ოტცის მარჯვენა ბეჭის თავში ღრმად იჯდა ძვლის ისრისპირი, ხოლო მარჯვენა ხელზე ჰქონდა ნაჩეხი ჭრილობები — ეს კი საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ოტცი მდევარ მტრებს გაექცა და სულის მოსათქმელად თავი ხრამის პირას შეაფარა.

ყველაზე სენსაციური სპილენძის ცულის ანალიზის შედეგი აღმოჩნდა. ის დაუმზადებიათ არა თვითნაბადი სპილენძისაგან, როგორც ეს თავდაპირველად ეგონათ, არამედ მადნეულისგან. ის ჩამოსხმული იყო მიწის ყალიბში და შემდეგ ცივი წყლით იყო გამოწრთობილი. 1998 წელს, მას შემდეგ, რაც ექსპერტებმა ზუსტად დაადგინეს მისი აღმოჩენის ადგილი, ოტცი კვლავ დაბრუნდა იტალიაში. ოტცი განაგრძობს „ცხოვრებას“ ბოლცანოს არქეოლოგიურ მუზეუმში, სპეციალურ მაცივარში „გამყინვარების“ 6 გრადუსის პირობებში. მას ყოველდღიურად უამრავი მნახველი ჰყავს. არქეოლოგებმა მხოლოდ ერთი რამ ვერ გაარკვიეს, ვინ იყო ოტცი სიცოცხლეში — ქურუმი, სპილენძის ჩამოსხმის სპეციალისტი, ტომის ბელადი თუ უბრალო კრიმინალი, რომელიც თანამოძმეების შურისძიებას გაექცა და მაღალ მთებს შეაფარა თავი.

ასეთია ოტცის დეტექტიური ისტორია, რომელიც განეკუთვნება ევროპის არქეოლოგიის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი აღმოჩენების რიცხვს.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34